დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით ლიპარტელიანი

წევრები:

მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ნინო ჭიჭინაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ლელა წურწუმია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ეთერ ქუთათელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის №6 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**249259127**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. ქუთაისი**
იურიდიული მისამართი	**ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2**
ფაქტობრივი მისამართი	**ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2**
საფოსტო ინდექსი	**4600**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**ვებ- გვერდი არ აქვს სკოლას**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**apkhazeti6@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**(0431)-254152 577 67 23 34**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**MES 8 23 0000651097, 2023 წლის 06 ივნისი**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	**2023 წლის 26-27 ივნისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**დაწყებითი**	**ქართული**	**ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2**
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**საბაზო**	**ქართული**	**ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2**
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	**საშუალო**	**ქართული**	**ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-3 შესახვევი №2**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში წარიმართა სასიამოვნო, კომფორტულ და პროფესიონალურ გარემოში. სკოლის ხელმძღვანელთან შეხვედრისას, იგრძნობოდა მისი პროფესიონალიზმი, საქმისადმი სიყვარული, ერთგულება და თავდადება. სკოლის დირექტორს ჰქონდა თითქმის ყველა დეტალზე ინფორმაცია, კარგი იქნებოდა თუკი საკითხთა ნაწილი დელეგირებული იქნებოდა თანამშრომლებზეც. მასწავლებლებთან საუბრისას აშკარად იგრძნობოდა სკოლისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა, მათ მიერ გაწეული საქმიანობისადმი თბილი დამოკიდებულება და საქმის სიყვარული. ვიზიტი დაწყებიდან დასრულებამდე მიმდინარეობდა აბსოლუტურად შეუფერხებლად და საქმიანად. დაწესებულების წარმომადგენლები ყურადღებით ისმენდნენ ექსპერტთა შეფასებებს და რჩევებს, მათი დიდი ნაწილი გაითვალისწინეს საქმიანობის დაგეგმვის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

განსაკუთრებით გამოსარჩევია დაწესებულების ხელმძღვანელობის აქტიური მუშაობა. სკოლამ შეძლო მოეპოვებინა თემის ნდობა. ამჟამად სკოლაში არა მხოლოდ დევნილი და იძულებით გადაადგილებული ოჯახის შვილები სწავლობენ, არამედ ის მოსახლეობაც, რომელიც იმთავითვე სკოლის ახლო-მახლო ტერიტორიაზე ცხოვრობდა. სკოლა გამოირჩევა მოსწავლეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ცდილობს შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება **▇** მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	**▇** შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**▇ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	**დაწესებულებაში არსებული საკლასო ოთახების ჯამური ფართობის შეფარდება მოსწავლეთა მოთხოვნილ რაოდენობასთან შეადგენს დაახლოებით 1.25-1.4კვ.მ-ს ერთ მოსწავლეზე.** **მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის ერთ ცვლაში განთავსების შემთხვევაში, რთული იქნება სწავლების პროცესში მოსწავლეთათვის კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმების გამოყენება.**

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	*ხარვეზი*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;*
1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2023 წლის ნოემბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს 7 წლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმა.*
1.2.2.1	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტრინგისა და და შეფასების მექანიზმებს.*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.*
3.1.23	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას იდენტიფიცირებული*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*უნდა ჰყავდეს ის პედაგოგები, რომელბსაც აქვთ წარმოსადგენი აქვთ „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები და უნდა უზრუნველყოს მათ მიეღ აღნიშნული ცნობების წარმოდგენა.*
3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*
3.2.1.1	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს სკოლის პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების დოკუმენტი.*
3.3.1.1	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.*
3.3.1.2	*იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები.*
3.3.1.3	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;	*ჰქონდეს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, სადაც გაწერილი იქნება გასაჩივრების დეტალური პროცედურები.*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2024 წლის 19 აგვისტომდე უნდა უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.*
3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის 02 ოქტომბრამდე დაწესებულებას განსაზღვრული უნდა ჰყავდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.*
3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2024 წლის 11 სექტემბრამდე დაწესებულების შიდა კიბეებზე დამონტაჟებული უნდა იყოს პანდუსები, ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებისათვის.*
3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის 01 დეკემბრამდე დაწესებულებას შექმნილი უნდა ჰქონდეს სკოლის ვებ-გვერდი, რომლითაც მოახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და ინფორმირებას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის 01 დეკემბრამდე დაწესებულებას შექმნილი უნდა ჰქონდეს სკოლის ვებ-გვერდი, ქართულ ენაზე.*
3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის 01 დეკემბრამდე დაწესებულებას შექმნილი უნდა ჰქონდეს სკოლის ვებ-გვერდი, სადაც განათავსებს სკოლის შესახებ ინფორმაციას (მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია).*
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2023 წლის ნოემბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები.*
4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;*	*ხარვეზის აღმოსაფხვრელად 2023 წლის ნოემბრამდე დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა აკადემიური უნარების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

		გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაციისა და მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხური**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.3	*შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;*	*სტანდართან შესაბამისობისათვის, 2023 წლის 02 ოქტომბრამდე, დაწყებით საფეხურზე საგან „მე და საზოგადოებასა“ და „ჩვენი საქართველოში“ შემუშავებული უნდა იყოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლას აქვს არასრულყოფილი დაგეგმვის პრაქტიკა. სასურველია, დაგეგმვის დროს, დასახული მიზნების მისაღწევად, პასუხისმგებელ პირებზე თანაბრად იყოს გადანაწილებული საქმიანობები და მითითებული იყოს საჭირო რესურსი.*
1.2.2.3	*სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების გასაჯაროების პრაქტიკა, თუმცა აქვს მზაობა ამის განსახორციელებლად. ამასთან, სკოლას აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მარეგულირებელი ზოგადი დოკუმენტი, რაც სკოლის პრაქტიკის საჯაროობის ნაწილსაც მოიცავს. სასურველია, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველსაყოფად, არსებობდეს მეტად მკაფიო და კონკრეტული მექანიზმები.*	*სასურველია, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველსაყოფად არსებობდეს მეტად მკაფიო და კონკრეტული მექანიზმები. მა. სკოლამ გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებები - ვებგვერდი, სკოლის ჯგუფები, დაგეგმოს სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრები და ა.შ.*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.1.1.2	*სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.*	*სასურველია, რომ დაწესებულებამ პერიოდულად შეაფასოს თავისი ორგანიზაციული მოწყობის ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ცვლილებები კონკრეტული სტრუქტურული ან საშტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობებში.*
3.3.2.1	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;*	*სასურველია, რომ სკოლაში არსებული პრაქტიკა გაიწეროს დოკუმენტში და საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (დამტკიცებული დოკუმენტი) აღწერდეს სკოლის პრაქტიკას.*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ უზრუნველყოს შრომის სპეციალისტის დაქირავება.*
3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სკოლაში არის წესრიგის დაცვის მექანიზმები, თანამშრომლები მიყვებიან ამ ინსტრუქციებს, თუმცა ეს ინსტრუქციები გაწერილი და დამტკიცებული არ არის. სასურველია სკოლამ დოკუმენტურად შეიმუშავოს ზემოაღნიშნული მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება პროცედურები.*
3.4.1.6	*სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;*	*სასურველია, რომ გაიწეროს პირადი მონაცემების გამოთხოვისა და გაცემის პროცედურები, ასევე მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.4.1.7	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	*სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი სადაც გაწერილი იქნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების მექანიზმები: ვადები, პასუხისმგებელი პირები, პროცედურები, მონიტორინგის ფორმები და შედეგების გამოყენების ხერხები.*
3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა, უმოკლეს დროში უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დამუშავება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ აღნიშნული რესურსით შეუფერხებლად სარგებლობა.*
3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*კარგი იქნება, სამომავლოდ სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ ლაბორატორიების, არამედ სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი.*
3.6.2.4.	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.*	*სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციებზე რეაგირების პერიოდები და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.
3.7.1.2	*სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება ფინანსების მართვის სისტემა.*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
4.2.1.4	*სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;*	*სასურველია, მოსწავლეთა უფლებების შესახებ დოკუმენტში, კონკრეტულად იყოს გაწერილი რა გზით, რა შემთხვევაში და რა ვადებში ახორციელებს ახორციელებს სკოლა, მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.*
4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;*	*კარიერულ დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებასთან დაკავშირებით, სკოლას აქვს ზოგადი ხედვა. სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტულად რას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს, ვინ და რა გზით გაუწევს დახმარებას მათ ამ მიმართულებით. .*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხური**	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*ტექნოლოგიების ყველა კომპლექსური დავალება უნდა იძლეოდეს II-VI კლასებში ყველა სამიზნე ცნების დაფარვას, დავალებები უნდა მოიცავდეს კონსტრუქტივისტულ ნაბიჯებს.*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სახვით და გამოყენებით ხელოვნების კურიკულემის თავფურცელში არ არის მითითებული ყველა თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები, მხოლოდ მანდ არის გამოკვეთილი, სადაც კომპლექსური დავალება მუშავდება. სასურუველია ყველგან იყოს მითითებული, ასევე მუსიკაში დაწყებით საფეხურზე არ არის დაფარული ყველა სავალდებულო თემა.*
2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განსაზღვრულია სავალდებულო თემატური ბლოკები, სადაც სასურველია დამუშავდეს სტანდარტით განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნება. იმ თემის ფარგლებში რომლებიც კომპლექსური დავალებებით მუშავდება სამიზნე ცნებებთან ერთად სასურველია მისადაგებული ქვეცნებები, რომელიც დავალებაზე მუშაობის დროს ხორციელდება ნაბიჯებში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*სასურველია სპორტის დაწყებით საფეხურზე დაემატოს თეორიული საკითხების განხილვა (პროექტული დავალებები).*
2.2.1.4	*სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);*	*კარგი იქნება, რომ სპორტის მასწავლებლებმა დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.*
2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*ტექნოლოგიების მასწავლებელთა პორტფოლიოში, ან კათედრის ოქმებში დაიგეგმოს ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვის ნაწილი, სადაც ხაზი გაესმევა დიფერენცირებული გაკვეთილების დაგეგმვას, და ცოდნის სამი კატეგორიით ხელშეწყობას.*
2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*	*სასურველია, მომავალ სასწავლო წელს სკოლამ ცალკე დოკუმენტად შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთ მექანიზმებს შექმნის, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.*
2.3.2.2	*შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;*	*შეფასების ჰილისტური მიდგომის უზრუნველსაყოფად (საზოგადოებრივ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		მეცნიერებებში) შეიმუშავოს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები.

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	*რჩევა*
2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*კარგი იქნება, თუ სპორტის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დაემატება თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან. ასევე, შესასწორებელია სასწავლო რესურსებში მითითებული ბმულები (არ იხსნება).*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, სპორტის საგანში დაამატოს თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან.* *მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში, სულ ცოტა, ორი კომპლექსური დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, შეფასების რუბრიკების დახვეწასა და განვითარებაზე, რომ უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატავდეს მოსწავლეთა ნაშრომების საუკეთესო თუ გასაუმჯობესებელ მხარეებს.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასურველია შესწორდეს სასწავლო რესურსებში მითითებული ბმულები (არ იხსნება).*
2.1.2.3	*სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;*	*ესთეტიკური აღზრდის თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. კონტექსტ მაგალითი უნდა იყოს კონკრეტული და არა ზოგადი.*
2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩართონ თემები ოლიმპიზმის ან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიიდან.*
2.2.1.4.	*სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);*	*სპორტის მასწავლებლებმა ჩაამატონ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები. ასევე კარგი იქნება, თუ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დაამატებენ თემებს ოლიმპიზმის ან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიიდან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*	*სკოლამ განახორციელოს შეფასების სისტემის პერიოდული მიმოხილვა და აუდიტი, რათა გამოავლინოს ხარვეზები ან გაუმჯობესების სფეროები. ეს შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის რათა ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას, მოსწავლეებთან და მშობლებთან შეფასების კრიტერიუმების, შეფასების რუბრიკების გაზიარებით.* *სასურველია, მომავალ სასწავლო წელს სკოლამ ცალკე დოკუმენტად შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთ მექანიზმებს შექმნის, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	*რჩევა*
2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*კარგი იქნება, თუ სპორტის მასწავლებლები გამოიყენებენ უფრო მრავალფეროვან რესურსებს, რადგანაც საშუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

		პრეზენტაციის ბმული რაც დაწყებით და საბაზო საფეხურზე. *სასურველია, მომავალი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება მიაქციონ, გარდა მითითებული სასკოლო სახელმძღვანელოსი, თემასთან შესაბამისი სხვა მრავალფეროვანი რესურსების შერჩევას.*
2.1.2.3	*სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;*	*სასურველია ნათლად აისახოს სასწავლო გეგმებში და მოსწავლეების საჭიროებებისადმი ჩაშენებული იყოს კომპლექსურ დავალებებში რაც უზრუვნელყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცეში.*
2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სპორტის მასწავლებლებმა შეიმუშაონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რადგან წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.* *ქართულ ენასა და ლიტერატურაში ავტორიზაციის პროცესში შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაამუშაონ კომპლექსურ დავალებებთან კავშირში სამიზნე ცნებების გათვალისწინებით და ახალი სასწავლო წლიდან აქტიურად გამოიყენონ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*	*სკოლამ განახორციელოს შეფასების სისტემის პერიოდული მიმოხილვა და აუდიტი, რათა გამოავლინოს ხარვეზები ან გაუმჯობესების სფეროები. ეს შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის რათა ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას, მოსწავლეებთან და მშობლებთან შეფასების კრიტერიუმების, შეფასების რუბრიკების გაზიარებით.* *სასურველია, მომავალ სასწავლო წელს სკოლამ ცალკე დოკუმენტად შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთ მექანიზმებს შექმნის, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინდა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინდა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინდა ზოგიერთი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა წინამდებარე დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა აცხადებს, რომ სურს აღზარდოს ტოლერანტი, კანონმორჩილი მოქალაქე, რომელიც ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს გაიზიარებს. თუმცა სკოლა თვლის, რომ სკოლის მისია არასრულყოფილია და აპირებს მის დახვეწაზე მუშაობას, არსებობს დირექტორის ბრძანება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირების გუნდის შექმნის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მისიისა და ხედვის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესი პიროვნებაზეა ორიენტირებული; უსაფრთხო გარემოსა და სკოლის კულტურის გათვალისწინებით, მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას და განივითარებენ სოციალურ უნარებს. სკოლის მისიას ეფუძნება ერთწლიანი გეგმა, სადაც გაწერილია ის ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს სკოლის მისიის შესრულებას.

3. დირექტორის ბრძანების მიხედვით, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირებაზე იმუშავებს გუნდი, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე. თუმცა, მითითებული არ არის ვინ იქნებიან ამ გუნდის წევრები, ან რა მეთოდოლოგიით იმუშავებენ.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რადგან სკოლის მისია სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სასკოლო კურიკულუმები შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, მასში გაწერილი საკითხები და აქტივობები ხელს უწყობს მისიაში დასახული მიზნის მიღწევას.

5. სკოლის მისიის დოკუმენტი გასაჯაროებულია - გამოკრულია სკოლის შესასვლელში, საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

6. სკოლის სახელწოდება სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლას მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას, სახელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის მისია;*
- *დირექტორის ბრძანება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულბების ფორმულირებაზე პასუხისმგებელი გუნდის შექმნის შესახებ;*
- *სასკოლო კურიკულუმები;*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრავდა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა უნდა დასრულდეს 30.09.2023 წელს.

2. სკოლას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 30.10.2023 წელს დასრულდება აღნუშნულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესი.

3. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022 – 2023წ.) შეესაბამება შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. მასში გაწერილია კონკრეტული მიზნები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. გეგმაში გაწერილი აქტივობები უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას. მიზნები მრავალფეროვანია და მოიცავს სკოლის მრავალმხრივ განვითარებას. სკოლას დაგეგმილი აქვს მატერიალური რესურსის განახლება და ორგანიზაციული განვითარება; პერსონალის საჭიროებების გათვალისწინება და მათი განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს დახვეწა და მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება; წახალისების მექანიზმების დანერგვა და მშობლებთან თანამშრომლობა, რაც უზრუნველყოფს თვითშეფასების დროს წარმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, თუმცა არ არის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები მეტნაკლებად რეალისტურია, გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ ბევრი მიზანი აქვს დასახული და ძირითადად ერთი და იგივე პირები არიან პასუხისმგებელი აქტივობების განხორციელებაზე. პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია, თუმცა რესურსები მითითებული არ არის. სასურველია, დასახული მიზნების მისაღწევად, გაწერილი იყოს რეალისტური ვადები, პასუხისმგებლობები თანაბრად იყოს გადანაწილებული და მითითებული იყოს რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის მისია;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;*
- *1 წლიანი სამოქმედო გეგმა.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს, სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახული იქნებოდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 30.09.2023 წელს დასრულდება აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა.

2. სკოლას არ აქვს მონიტორინგის მექანიზმები. შესაბამისად არ არსებობს მონიტორინგის ანალიზის, მისი გათვალისწინების, ან დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მიღების გზები, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლემა ისაუბრა იმ ხედვაზე თუ როგორ გეგმავს აღნიშნული მექანიზმების შემუშავებას, რითაც გამოავლინა მზაობა და ცოდნა მისი შემუშავებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების გასაჯაროების პრაქტიკა, თუმცა აქვს მზაობა ამის განსახორციელებლად. ამასთან, სკოლას აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მარეგულირებელი ზოგადი დოკუმენტი, რაც სკოლის პრაქტიკის საჯაროობის ნაწილსაც მოიცავს. სასურველია, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველსაყოფად, არსებობდეს მეტად მკაფიო და კონკრეტული მექანიზმები.

4. სკოლას არ აქვს მონიტორინგის შედეგების ანალიზისა და სამომავლოდ გათვალისწინების პრაქტიკა. თუმცა აქვს მზაობა, სამომავლოდ დაგეგმოს და განახორციელოს მონიტორინგი, გააანალიზოს და გაითვალისწინოს მიღებული შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია (რომელიც მოიცავს“ დირექტორს, დირექტორის მოადგილე(ებ)ს და ბუღალტერს), ადმინისტრაციას (მტუკ, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი, ინკლ. განათლების სპეციალისტი), სამეურვეო საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, პედაგოგიურ საბჭოს (რომელიც შედგება საგნობრივი კათედრებისგან) და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლას ასევე ჰყავს შტატგარეშე თანამშრომლები: დამლაგებლები და დარაჯი. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და მოვალეობის მარეგულირებელი, სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი, თუმცა თანამშრომლების ხელშეკრულებებში გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. მნიშვნელოვანია სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულები და მათში შემავალი პირების ფუნქცია მოვალეობები. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით არის განსაზღვრული ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული ფუნქცია-ვალდებულებები, საჭიროა სკოლას ჰქონდეს დოკუმენტი სადაც ერთიანად თავს მოიყრის როგორც კანონით განსაზღვრული, ისე სკოლის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტის შექმნა, შესაბამისობი სგეგმის მიხედვით, სკოლად დაგეგმილი ჰქონდა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

2. სკოლის თანამშრომლებს შორის გადანაწილებულია ფუნქცია მოვალეობები, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის ფუნქციონირებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა სადაც გაწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები და ამა თუ იმ აქტივობების განხორციელების ვადები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 7 წლიანი გეგმა გაწერილია 2022-2028 წლებზე. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტი რეალურად არის 6 წელზე გათვლილი გეგმა. ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. დაწესებულებას არ წარმოუდგენია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სასურველია, რომ დაწესებულებამ პერიოდუალად შეაფასოს თავისი ორგანიზაციული მოწყობის ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ცვლილებები კონკრეტული სტრუქტურული ან საშტატო ერთეულის ფუნქცია-მოვალეობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *სკოლის სტრუქტურა;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2022-2028 წლები;*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადამიანური რესურსების მართვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სადაც გაწერილია ის პროცესები, რომლებიც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლა შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც გაწერილია კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები, ასევე გაწერილია თანამშრომელთა მიღების პროცედურები და ეტაპები.

2. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას. თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ემსახურება პერსონალის განვითარებას. მისივე განცხადებით სკოლაში მუშაობს შეფასებისა და თვითშეფასების მექანიზმები, თუმცა აღნიშნული მექანიზმები გაწერილი სახით სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლა ახორციელებს ადამიანური რესურსის საჭიროების დროულ ანალიზს, კერძოდ დადგენილი აქვს კონკრეტულ პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელზე დაყრდნობითაც იქმნება ვაკანტური პოზიციის განაცხადი. აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება სკოლას დაგეგმილი ჰქონდა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

3. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა მიღების წესი. წესის მიხედვით სკოლაში ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება ღია და შიდა კონკურსები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათთან ხელშეკრულების გაფორმება ხდება აღნიშნული წესის შესაბამისად. კონკურსის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე და მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე - teacherjobs.ge-ზე, რითაც სკოლა იცავს საჯაროობასა და გამჭვირვალობას. მასწავლებელთა პირადი საქმეების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლებთან გაფორმებულია კანონმდებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისი ხელშეკრულებები, თუმცა ვიზიტის დროს მასწავლებლებს არ ჰქონდათ ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სკოლას შემუშავებული უნდა ჰქონდეს თანამშრომელთა დაქირავების ისეთი მექანიზმი, სადაც მოთხოვნილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია. ასევე იმ თანამშრომლებს, რომლებსაც არ აქვთ წარმოდგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები, უნდა წარმოადგინონ გონივრულ ვადაში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკითხის გადაჭრა სკოლას დაგეგმილი აქვს 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

4. თანამშრომელთა პირადი საქმეები და მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ბაზების გადამოწმებით დგინდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

5. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ნათლად გამოიკვეთა სკოლის თანამშრომელთა შორის კეთილგანწყობა და თანამშრომლობა. ექსპერტებთან მუშაობისას, სკოლის თანამშრომლებს შორის გადანაწილებული იყო ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული ასევე დასტურდება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით, სადაც გაწერილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქცი -მოვალეობები. ასევე თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი ამათი ფუნქცია-მოვალეობები. სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და კათედრების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება გუნდურობის პრინციპით და შესაძლებლობას იძლევა პროცესში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები.

6. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისებისა და სანქცირების პროცედურები. სკოლაში თანამშრომელთა შორის არის კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი ატმოსფერო. ხდება წარმატების გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთთანადგომა, რაც გარდა დოკუმენტში გაწერილი ფუნქცია-მოვალეობებისა, ასევე დადასტურდა ვიზუალური დაკვირვებითაც ექსპერტებთან მუშაობის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი*
- *გამოცხადებული კონკურსები;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;*
- *პედ. საბჭოს ოქმები*
- *სამეურვეო საბჭოს ოქმები;*
- *კათედრების ოქმები;*
- *სკოლის სტრატეგიული გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აღნიშნავს, რომ პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარებისათვის ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს და კონფერენციებს. სკოლაში ტარდება სამუშაო შეხვედრები. პედაგოგები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში, მონაწილეობენ კონკურსებში და ა.შ. თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია შემუშავებული დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა სკოლის პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომლითაც იხელმძღვანელებდა თანამშრომელთა საჭიროებები დასადგენად და შესაბამისი ინტერვენციების განსახორციეებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმიდან ირკვევა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება სკოლას განზრახული ჰქონდა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

2. დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას, აღინიშნა, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა სახის გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები, თუმცა აღნიშნული პროცესების წინასწარ გაწერილი სისტემა სკოლაში არ არის შემუშავებული. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აღნიშნული პრაქტიკა გააჩნია, ეს იძლევა იმის საფუძელს, რომ სკოლა ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში გააგრძელებს ამ პრაქტიკას, ხოლო სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა აისახება სკოლის დოკუმენტაციაშიც.

3. სკოლის მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში, კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში, მასწავლებელთა პირადი საქმეები შემოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები პერიოდულად იმაღლებენ კვალიფიკაციას, რაც დასტურდება მათი სერტიფიკატებით. მასწავლებლები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების სქემაში. სკოლას არ წარმოუდგენია ხარისხის მართის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა თუ როგორ უწყობს სკოლა ხელს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები სკოლაში მიმდინარეობს, საჭიროა აღნიშნული პროცესები იყოს დაგეგმილი და ხელს უწყობდეს პროფესიულ განვითარებას სწორედ საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. სკოლაში არის თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი ატმოსფერო. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლა უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თანამშრომლებისთვის აღნიშნული ინფორმაციის გაცნობას. სკოლაში ტარდება სამუშაო შეხვედრები, კათედრის სხდომები, პედსაბჭოს სხდომები, სადაც განიხილავენ მასწავლებლების და სკოლის საჭიროებებს.

5. სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები იკვეთება ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. ამასთან სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სკოლის პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით მოტივაციის ფაქტორებად განიხილება: მადლობის გამოცხადება, დაჯილდოება, პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა და .შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *კათედრების ოქმები*
- *პედსაბჭოს ოქმები*
- *მასწავლებელთა პირადი საქმეები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი, სადაც აღნიშნული პროცედურები იქნება გაწერილი. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის მნიშვნელობა, უფლებამოსილებები დელეგირებულია სხვადასხვა პირებსა თუ სტრუქტურულ ერთეულებზე, თუმცა აღნიშნული არ არის გამყარებული დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით, არ არის შემუშავებული წესი, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებდნენ სკოლის თანამშრომლები, რომელიც დაეფუძნებოდა პროცესულ მიდგომას და განახორციელებდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია). სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმიდან ირკვევა, რომ აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება სკოლას განზრახული ჰქონდა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

2. სკოლას არ აქვს გაწერილი მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი, თუმცა სკოლის თანამშრომლებმა და ხელმძღვანელობამ იციან მათი ფუნქცია მოვალეობები და სკოლაში დამკვიდრებული არაფორმალური წესების და კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებენ. პროცესების მდგრადობისათვის სკოლამ უნდა გაწეროს და გააკეთოს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესების ჩამონათვალი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ჩამონათვალის შემუშავება სკოლას განზრახული ჰქონდა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

3. სკოლის შინაგანაწესში და დისციპლინური წარმოების წესში გაწერილია როგორც სასკოლო საზოგადოების უფლება-მოვალეობები, ასევე სახდელებისა დაკისრების წესი. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს, უფლება აქვს დაიცვას საკუთარი უფლებები, გაასაჩივროს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულის და გადაწყვეტილების მიმღები პირის გადაწყვეტილებები. მიუხედავად იმისა, რომ უფლებები გაწერილია, არ არის გაწერილი პროცედურები თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს სასკოლო საზოგადოების წევრმა, თუკი ის ჩათვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა. მნიშნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს აღნიშნული პროცედურების შემუშავება და გამჭვირვალობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წესის შემუშავება სკოლას განზრახული ჰქონდა 2023 წლის 01 ოქტომბრამდე.

4. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. თითოეული ერთეულის წევს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი უფლებები. როგორც სკოლის სტრუქტურაში არსებულ ზემდგომთან, ასევე სასამართლოში, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *დისციპლინური წარმოების წესი;*
- *დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმებად სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავდა მხოლოდ წესის აღწერილობას და მისი რეგულირების სფეროს. წესში არ იყო გაწერილი ის პროცედურები, თუ როგორ ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობა. ექსპერტები დავინტერესდით პრაქტიკაში როგორ მიმდინარეობდა საზოგადოებასთან ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ სკოლაში აქტიურად ხდება სოციალური ქსელის და ელექტრონული ჟურნალის გამოყენება. სკოლა ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას განათავსებს მატერიალური სახით სკოლაში არსებულ თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე). მასწავლებლები და დამრიგებლები, მშობელთა კრებებზე განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხებს, სადაც მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი. ასევე სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მიმართოს სკოლის დირექტორს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. სასურველია, რომ სკოლაში არსებული პრაქტიკა გაიწეროს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში და საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (დამტკიცებული დოკუმენტი) აღწერდეს სკოლის პრაქტიკას.

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები. თითოეული ერთეულის დებულება და მასში მონაწილეობის მიღების პროცედურები განსაზღვრულია კანონმდებლობით, რომელსაც სკოლა იცავს და ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სამეურვეო საბჭოს ოქმები;*
- *პედ. საბჭოს ოქმები;*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;*
- *კათედრების ოქმები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის, უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგების განრიგი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე. მორიგეები გაკვეთილებს შორის პერიოდში აწესრიგებენ მოსწავლეების ნაკადს დერეფანში, ხოლო გაკვეთილების მიმდინარეობისას აკონტროლებენ, რომ არ მოხდეს თვითნებურად საგაკვეთილო პროცესის მიტოვება მოსწავლის მიერ. დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლეთა გაცდენის მიზეზი და უნებართვო გაცდენის შემთხვევაში, სამსახურეობრივი ბარათის საშუალებით, აცნობოს დირექციას. შედეგად, მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეგზავნება შეტყობინება გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა ცდილობს შეასრულოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ზედამხედველობის დეპარტამენტის მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები. სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმები და განთავსებულია ცეცხლმაქრები. სკოლაში დამონტაჟებულია საევაკუაციო გზებზე მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. სკოლამ წარმოადგინა *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს* 2023 წლის 26 ივნისის კორესპონდენცია, სადაც აღნიშნულია, რომ „2023 წლის 20 ივნისის N115 სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის შესაბამისად, დგინდება, რომ სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელს ნორმებს“. მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი განვითარებისათვის სკოლაში მომზადებულია სამედიცინო კაბინეტი, თუმცა ვიზიტის დროს არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნულთან დაკავშრებით სკოლამ წარმადგინა მიმოწერა აფხაზეთის ა. რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან სამედიცინო კაბინეტის მდგომარეობასთან დაკავშრებით. სკოლაში არ იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შტატი. ასევე სკოლას დაგეგმილი ჰქონდა შეექმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა (ვიზიტის დროს არც ეს გეგმა იყო შექმნილი) საგანგებო რეაგირების შტაბი, სადაც განაწილებული იქნება ფუნქციები. სკოლას განსაზღვრული უნდა ჰყავდეს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დაკავებული თანამდებობით ან შესასრულებელი სამუშაოების ხასიათის მიხედვით ასრულებს სახანძრო უსაფრთხოების შესაბამის წესებს ან უზრუნველყოფს მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე, თუმცა წარმოადგინა 2023 წლის 16 ივნისს დარეგისტრირებული განცხადება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სკოლის შენობის ტექნიკური მდგრადობის და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენასთან დაკავშირებით. დოკუმენტის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 30 დღე. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა "სსიპ ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა" და 2023 წლის 07 აგვისტოს წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ დაწესებულენბის მიერ შემუშვებული გეგმა შეესაბამება მოთხოვნებს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც დგინდება რომ შენობა ექსპლუატაციისთის არის უსაფრთხო. რაც შეეხება სამედიცინო კაბინეტის ინვენტარით აღჭურვას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, პროცესი უნდა დასრულდეს 2024 წლის 18 აგვისტოს.

2. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გადაადგილება აკრძალულია. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა იგეგმება მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება. ვიზიტის დროს დაწესებულება გეგმავდა მანდატურისთვის ოთახის შერჩევას. აქვე სკოლამ ასევე წარმოადგინა მანდატურის სამსახურში გაგზავნილი წერილი, რომლის მიხედვითაც სკოლა აზუსტებდა იგეგმებოდა თუ არა 2023-2024 სასწავლო წელს მანდატურის შესვლა სკოლაში. სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მორიგეები, რომლებიც განაწილებული არიან სკოლის ყველა დერეფანში. გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. სკოლა თავის მხრივ სასკოლო რეგულაციების შესაბამისად რეაგირებს მათზე. სასურველია სკოლამ დოკუმენტურად შეიმუშავოს ზემოაღნიშნული მექანიზმები, სადაც გაწერილი იქნება აღნიშნული პროცედურები.

3. დაწესებულების წარმოამდგენლების თქმით, მათი მიზანია დროულად ამოიცნონ ბავშვთა საჭიროებები და მოახდინონ მათზე ჯეროვანი რეაგირება, დროულად გამოავლინონ ძალადობის ნიშნები. ამისათვის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი. დოკუმენტში აღწერილია მოსწავლეთა უფლებები და თავისუფლებები, ასევე გასაჩივრების უფლება. დაწესებულებას არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოუდგენია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ევალება, ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესწავლა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, აღნიშნული პირის განსაზღვრას დაწესებულება გეგმავს 2023 წლის 02 ოქტომბრამდე. დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, მოსწავლეები, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ღიად საუბრობენ პრობლემებსა და გამოწვევებზე, ასევე ერთად იზიარებენ მიღწევებსაც, რაც მხარდაჭერილია მასწავლებლების მიერ და არ ქმნის დისკრიმინაციისა და გარიყვის საფუძველს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა თვითგამოხატვას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს *„მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებული აქტივობების“* დოკუმენტი.

4. ვიზიტის დროს, ვიზუალური დათვალიერებით გამოჩნდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. საპირფარეშოებში განთავსებულია საპონი, სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით. დამლაგებლებს დასასუფთავებლად გამოყოფილი აქვთ კონკრეტულად განსაზღვრული ტერიტორიები. სივრცეების დასუფთავება ხდება გაკვეთილების მიმდინარეობისას. რეგულარულად ხდება სან-ჰიგიენური საშუალებების შეძენა, მათ შესანახად გამოყოფილია სპეციალური სივრცე.

5. სკოლაში დაცულია თანამშრომელთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. სკოლაში არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. სკოლის მიერ ინფორმაციის გაცემისას, ხდება პირადი მონაცემების შესაბამისი წესით დაფარვა (საჭიროების შემთხვევაში). სკოლაში მიმდინარე აქტივობების საზოგადოებისათვის მიწოდებისათვის, ხშირად იყენებენ სოც. ქსელს, სადაც განათავსებენ ხოლმე სხვადასხვა აქტივობების ფოტო და ვიდეო მასალას. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ ფოტო და ვიდეო მასალაზე აღბეჭდილი მოსწავლეების მშობლებისგან სკოლას მიღებული აქვს თანხმობები.

6. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია დირექტორი. სკოლას შემუშავებული აქვს *„სსიპ ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის ვერიფიკაციის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.“* დოკუმენტში გაწერილია, რომ *„ცალკეულ მოსწავლეზე სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია კონფიდენციალურია და მის გავრცელებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.“* დოკუმენტში არ არის გაწერილი როგორ ხდება მონაცემთა დამუშავება, ვინ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პასუხისმგებელი, როგორ ხდება მონაცემთა გამოთხოვა და გაცემა. სასურველია, რომ აღნიშნულ დოკუმენტში გაიწეროს ამ მონაცემების გამოთხოვისა და გაცემის პროცედურები, ასევე მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები.

7. სსიპ - ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლაში უსაფრთხოების მიზნით სკოლას შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლამ ასევე წარმოადგინა წერილი სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან კონსულტაციის გაწევის თხოვნასთან დაკავშირებით წერილი. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს და აღნიშნული წერილის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშავოს დოკუმენტი სადაც გაწერილი იქნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების მექანიზმები: ვადები, პასუხისმგებელი პირები, პროცედურები, მონიტორინგის ფორმები და შედეგების გამოყენების ხერხები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;*
- *ხელშეკრულება დამლაგებელთან;*
- *სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;*
- *სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან გაგზავნილი წერილი (22.06.23)*
- *ვერიფიკაციის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;*
- *მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებული აქტივობების დოკუმენტი;*
- *სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დარეგისტრირებული განცხადება (16.06.2023);*
- *სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2023 წლის 26 ივნისის კორესპონდენცია.*

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ - აფხაზეთის N6 საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას გააჩნია ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, III შესახვევში მდებარე 1828.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული 692.72 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. გარდა ამისა სკოლას შეზღუდული სარგებლობით, სახელმწიფოსგან გადაცემული აქვს, ქ. ქუთაისში, ნიკეას ქ. N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (4202 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობები: შენობა N1 – 535.65კვ.მ, შენობა N2 – 253.61კვ.მ, N3 (ნანგრევი) – 25.91კვ.მ და N4 – 2.51კვ.მ. აღნიშნული შენობები, დგას სასწავლო შენობის მეზობლად და გამიჯნულია მისგან. აღნიშნული შენობები არის გასარემონტებელი, შენობებში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ქ. ქუთაისში, ნიკეას ქუჩა, III შესახვევში მდებარე ორ სართულიან შენობაში (692.72 კვ.მ). შენობაში სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია საკლასო ოთახები, რესურს ოთახი, სველი წერტილები, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილია მცირე სივრცე, სკოლას ასევე გამოყოფილი აქვს ექიმის ოთახი. უახლოეს მომავალში სკოლა გეგმავს მანდატურის შემოყვანას, რისთვისაც, ვიზიტის დროს, სკოლა გეგმავდა ერთი ოთახის გამოყოფას. სკოლას ასევე გააჩნია გარე მოედანი.

2. სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რადგან სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას, რასაც ახერხებენ კიდეც როგორც საგაკვეთილო აქტივობების განხორციელებისას, ასევე არასაგაკვეთილო დროს, კლუბური მუშაობის დროს, არდადეგებსა თუ უქმე დღეებში, ასევე არასაგაკვეთილო დროს მასწავლებლები და მოსწავლეებვი გეგმავენ შეხვედრებს და ახორციელებენ დაგეგმილ აქტივობებს. თუმცა ბიბლიოთეკის შემოწმებისას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ასევე სკოლაში არ არის არც ანბანური, არც თემატური კატალოგები, რაც დაეხმარებოდა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, იგეგმება ელექტრონული კატალოგის შექმნა, ხოლო წიგნების საბიბლიოთეკო წესის მიხედვით დამუშავება მოხდება უახლოეს მომავალში. დაწესებულებას მიეცა რჩევა, უმოკლეს დროში უზრუნველყოს ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დამუშავება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ აღნიშნული რესურსით შეუფერხებლად სარგებლობა.

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ბავშვებს საოცარი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. სკოლას აქვს რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლას ასევე აქვს ადაბტირებული სველი წერტილი, თუმცა ვიზიტის დროს სკოლის შიდა კიბეებზე არ იყო პანდუსები, რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებას მეორე სართულზე განთავსებულ ოთახებთან (ბიბლიოთეკა, ადმინისტრაცია, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები და ა.შ.) წვდომას. დაწესებულების მიერ წარმოგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით. სკოლა პანდუსების შიდა კიბეებზე მონტაჟს გეგმავს 2024 წლის 11 სექტემბრამდე.

4. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ სააქტო დარბაზი, სკოლას ასევე გააჩნია რესურს-ოთახი. სკოლას გამოყოფილი აქვს სივრცე სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებებისათვის. მოსწავლეები ხშირად აწყობენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენას. საკლასო ოთახები აღჭურვილია სწავლისათვის საჭირო ინვენტარით, ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. სკოლას აქვს მცირე ზომის ბიბლიოთეკა, თუმცა არ აქვს სამკითხველო დარბაზი. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, მომავალი წლიდან იგეგმება კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის სივრცეების გაერთიანება, ეს საშუალებას მისცემს სკოლას შექმნას თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, ასევე გამოიყენოს ელექტრონული ბიბლიოთეკა. ასევე სასკოლო საზოგადოებას შეექმნა სამკითხველო სივრცე, რაც უფრო გაზრდის ბიბლიოთეკით სარგებლობის სიხშირეს. დაწესებულებას არ აქვს სპორტული დარბაზი, თუმცა თანამშრომლობს ააიპ - ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებასთან, რომელიც ესაზღვრება სკოლას. აღნიშნული დაწესებულებისგან სკოლას მიღებული აქვს თანხმობა დარბაზით სარგებლობასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაკავშირებით, შეთანხმებულ დროებში. სკოლას ასევე აქვს ღია სპორტული მოედანი, რომელსაც აქტიურად იყენებს სპორტის, ფიზიკური არზრდის გაკვეთილების და სხვადასხვა სპორტული აქტივობების ჩასატარებლად.

5. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მათ შეუძლიათ ეს რესურსები სასწავლო მიზნით გამოიყენონ არასაგაკვეთილო დროსაც. ამისთვის სკოლა უქმნის მათ ყოველგვარ პირობას და უპირობო მხარდაჭერა აქვთ მასწავლებლების მხრიდანაც. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. როგორც უკვე აღინიშნა სკოლას გააჩნია მცირე ზომის ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სახელმძღვანელოები, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, პერიოდიკა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *საკადასტრო-გეგმა;*
- *ინვენტარიზაციის აქტი.*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *აფხაზეთის ა. რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან გაგზავნილი წერილი;*
- *ააიპ - ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებასთან მიმოწერა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის IT ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის პერსონალის განვითარების მხარდაჭერას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის თანამშრომელთა განცხადებით, ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია სკოლიდან ჩაერთოს სხვადასხვა სახის ონლაინ შეხვედრაში და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით გამართულ ონლაინ კონფერენციებსა და ვებინარებში. სკოლაში არის პროექტორი და ლეპტოპები. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების წარმართვისათვის. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება კომპიუტერული ლაბორატორიისა და ბიბლიოთეკის ერთ სივრცეში მოქცევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ელექტრონული ბიბლიოთეკის დანერგვას და კომპიუტერული ლაბორატორიის ფართობის მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც კიდევ უფრო კომფორტულს და ხელმისაწვდომს გახდის კომპიუტერების გამოყენებას სასწავლო პროცესში.

2. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ანგარიშისათვის იყენებს სოციალურ გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ელ-ფოსტას, სატელეფონო შეტყობინებებს, ასევე მშობელთა კრებებს. სასკოლო საზოგადოებისათვის სიახლეების გასაცნობად იყენებს სპეციალურ საინფორმაციო დაფებს, ასევე მიმართავს მშობლებთან სატელეფონო კომუნიკაციას, თანამშრომლობს Messenger-ში შექმნილ მშობელთა და მოსწავლეთა ჯგუფებთან, იყენებს სკოლის Facebook გვერდს, მატერიალური სახით შემოსულ დოკუმენტაციას, რათა უზრუნველყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოების ინფორმირება და მის წინაშე ანგარიშგება. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას გაწერილი აქვს სხვადასხვა ლაბორატორიების სარგებლობის წესი. კარგი იქნება, სამომავლოდ სკოლამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება არა მხოლოდ ლაბორატორიების, არამედ სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციის და სარგებლობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *IT ტექნიკის შესყიდვების დოკუმენტაცია,*
- *ინვენტარიზაციის წიგნი,*
- *Facebook-ზე განთავსებული სკოლის ვებ-გვერდი.*
- *სკოლის ელ. ფოსტა.*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აღნიშნული წესით შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, არქივის წარმოება.

2. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით.

3. სკოლის მიერ ინფორმაცია ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

4. სკოლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. თუმცა სკოლას აღნიშნული პროცესები არა აქვს აღწერილი, შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საქმისწარმოების წესი*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექციის განმარტებით, ვინაიდან სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით იყენებს Facebook გვერდს, ამასთან სკოლის მიერ წარმოდგენილია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნილი წერილი, სკოლის ვებ. გვერდის შექმნასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წამოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება ვებ-გვერდის შექმნას გეგმავს 20203 წლის 1 დეკემბრამდე.

2. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა.

3. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები. ასევე ინფორმაციის მისაღებად და გასაცემად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლა იყენებს სკოლის ოფიციალურ ელ. ფოსტას. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, სკოლა გეგმავს შესაბამის ქმედებებს, აქტივობებს და ღონისძიებებს.

4. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. სკოლის მიერ წამოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება ვებ-გვერდის შექმნას გეგმავს 20203 წლის 1 დეკემბრამდე.

5. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. სკოლის მიერ წამოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება ვებ-გვერდის შექმნას გეგმავს 20203 წლის 1 დეკემბრამდე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნილი წერილი;*
- *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;*
- *სკოლის ელ. ფოსტა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ვაუჩერული დაფინანსების ცვლილებასთან ერთად (მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილება, საკანონმდებლო ცვლილებები და სხვა.) ხდება ბიუჯეტის კორექტირება. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინასება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს. ასევე წარმოდგენილია ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები.

2. სკოლა ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. სამეურვეო საბჭოსვე აბარებს სკოლა ანგარიშს. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმები, სადაც განხილულია ბიუჯეტის დაგეგმვასთან და ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული განხილვები და გადაწყვეტილებები. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სკოლაში შექმნილი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ სკოლაში დაგეგმვისა და განკარგვის პრაქტიკა არსებობს და შეესაბამება კანონმდებლობას, თუმცა მონიტორინგის სისტემა არ არის განსაზღვრული. სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს მონიტორინგის ფორმები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. ასევე სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება ფინანსების მართვის სისტემა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სამეურვეო საბჭოს ოქმები;*
- *სკოლის ბიუჯეტი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფას; დოკუმენტის მიხედვით სკოლაში დაცულია თანასწორობისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპები; სკოლა იცავს მოსწავლის ფიზიკურ და ემოციურ უსაფრთხოებას; სკოლის შინაგანაწესით დადგენილია შეზღუდვები, რომელიც აუცილებელია უსაფრთხოების დაცვისთვის, მითითებულია გადაცდომები და სახდელები, რომელიც გამოიყენება მოსწავლის მიმართ; იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს/მის კანონიერ წარმომადგენელი არ ეთანხმება სკოლის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გაასაჩივროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კანონით განსაზღვრული წესით. სკოლას აქვს პირადი ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი.

2. მოსწავლის მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც მტკიცდება იმით, რომ სკოლას დამრიგებლის მოვალეობებში გაწერილი აქვს მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის და მოსწავლეებისთვის ამ რეგულაციების გაცნობა და აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რაც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლეთა უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმების დოკუმენტი;*
- *საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მარეგულირებელი დოკუმენტი;*
- *მოსწავლეთა პირადი საქმეები.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმები, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. ასევე, სკოლას გააჩნია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პრაქტიკა.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. მისი გადაწყვეტილეებები ეფუძნება ზოგადი განათლების კანონს და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლას აქვს გასაჩივრების მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმები.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას შეიცავს სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის შინაგანაწესი, რაც საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რისი უზრუნველყოფაც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და მოსწავლეთა უფლებების დაცვის დოკუმენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლეთა უფლებების დოკუმენტი;*
- *პერსონალურ მონაცემტა დაცვის დოკუმენტი*
- *მშობლის თანხმობის ფორმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დოკუმენტი სადაც გაწერილი იქნებოდა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, თუმცა დამრიგებლისთვის მინიჭებული აქვს ფუნქციები და განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა. ყველა დამრიგებელი ვალდებულია ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, არსებობს სადამრიგებლო საათის გეგმა. დამრიგებელი ვალდებულია მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს სკოლის შინაგანაწესი. სკოლას აქვს მზაობა დაეხმაროს მოსწავლეს გარემოსთან ადაბტაციაში, რისი პრაქტიკაც აქვს. სკოლას უნდა ჰქონდეს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი - უნდა ჩანდეს ვინ და რა გზით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ხელშეწყობას ამ პროცესში. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების ამსახველ დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება 30.10.2023 წელს.

2. სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები და დამრიგებლები აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს პირველივე დღიდან მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციას. თუმცა სკოლას არ აქვს გაწერილი, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაბტაციის მექანიზმი, სადაც გაწერილი იქნება ის პროცედურები, რომლებსაც მიყვებიან სკოლის თანამშრომლები. სკოლას უნდა ჰქონდეს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი - უნდა ჩანდეს ვინ და რა გზით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ხელშეწყობას ამ პროცესში. დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით, და სკოლაში არსებული პრაქტიკის შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვ მზაობა ხელი შეუყოს მოსწავლეთა ადაბტაციას და შეიმუშავოს შესაბამისი მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა გაწერილი მექანიზმი მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისთვის, თუმცა, როგორც ვიზიტის დროს გამოიკვეთა, სკოლას აქვს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის პრაქტიკა. პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში; მათ აქვთ ხშირი ურთიერთობა მშობლებთან და აწოდებენ ინფორმაციას მათი შვილების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. სკოლას აქვს მზაობა, რომ გაწეროს კონკრეტული მექანიზმი თუ რა შემთხვევაში, რა გზით, რა სიხშირით გაუწევს კონსულტაციასა და მხარდაჭერას მოსწავლეს, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარებასთან დაკავშირებული კონსულტაციების ხელშემწყობი მექანიზმების დოკუმენტზე მუშაობა დასრულდება 30.10.2023 წელს.

4. სკოლას აქვს მოსწავლეთა უფლებების შესახებ დოკუმენტი, სადაც მითითებულია ამ უფლებათა დაცვისა და განხორციელების ზოგადი მექანიზმები. თუმცა არ არის დაზუსტებული რა გზით, რა შემთხვევაში, ან რა ვადაში ახორციელებს მათ მხარდაჭერას. სასურველია, მოსწავლეთა უფლებების შესახებ დოკუმენტში, კონკრეტულად იყოს გაწერილი რა გზით, რა შემთხვევაში და რა ვადებში ახორციელებს ახორციელებს სკოლა, მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

5. სკოლას აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმების დოკუმენტი, სადაც გაწერილია დამრიგებლისა და მასწავლებლების ფუნქცია-მოვალეობები, ასევე არაფორმალური შეხვედრებისა და აქტივობების მხარდასაჭერად მზაობა.

6. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეების ინიციატივებს, თუმცა არ გააჩნია მეთოდოლოგია, რაც გულისხმობს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღებასა და გათვალისწინებას. სკოლას უნდა ჰქონდეს შემუშავებული მეთოდოლოგია, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მისაღებად და გასათვალისწინებლად. დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით და დგონდა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშავოს აღნიშნული მექანიზმები და სკოლაში არსებულ პრაქტიკას მისცეს ფორმალური მხარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმების დოკუმენტი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შინაგანაწესი;*
- *სადამრიგებლო პროგრამები.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებული აქტივობების დოკუმენტი, თუმცა მექანიზმები მკაფიოდ არ არის გაწერილი და დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა. სკოლას აქვს კარირულ დაგეგვმასთან დაკავშირებული მცირე პრაქტიკა, რაც მოიცავს უნივერისტეტებისა და კოლეჯების წარმომადგენლებთან არასისტემურ შეხვედრებს. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მექანიზმები მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი.

2. სკოლას არ აქვს მოსწავლეების/მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის, ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. დამრიგებლებს და მასწავლებლებს აქვთ ამის პრაქტიკა, რაც გამოიკვეთა გასაუბრების დროს. თუმცა ამას არ აქვს სისტემური და რეგულარული სახე. ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაძლებლობებთან დაკავშირებით, სკოლას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას და სისტემურობას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა, აღნიშნულ პროცესებს მისცეს სისტემატიური სახე და შეიმუშავოს დანერგილი პრაქტიკის აღმწერი დოკუმენტაცია.

3. სკოლას არ აქვს უკუკავშირის მიღების, ანალიზისა და სამომავლოდ გათვალისიწნების მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი, ან/და პრაქტიკა. თუმცა სკოლას აქვს მზაობა (ნაწილობრივ ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში), რომ დაგეგმეგმოს და განახორციელოს იგი. უნდა არსებობდეს უკუკავშირის მიღების, ანალიზისა და სამომავლოდ გათვალისწინებისთვის გაწერილი მკაფიო მექანიზმი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები და კარიერულ დაგეგმვასთან დაკავშირებული აქტივობებს დოკუმენტი.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სადამრიგებლო პროგრამა.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, აქვს ინდ. გეგმების შემუშავების რეგულაციები. სკოლაში არის სპეც. მასწავლებელი და ლოგოპედი. არსებობს ინდ. გეგმის შემუსავებასა და მონიტორინგზე მომუშავე ჯგუფების შექმნის ბრძანება და მათი შეხვედრების განრიგი. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პრაქტიკა.

2. სკოლაში არის თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოება ჩართულია ინდ. გეგმების შემუშავებასა და მონიტორინგში. თითოეული მასწავლებელი, ინდივიდუალურ გეგმაზე დაყრდნობით, მუშაობს მოსწავლესთან. მშობლები მონაწილეობენ ამ პროცესში და ადმინისტრაციმ იცის თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ინდ. გეგმების შედგენის რეგულაციები;*
- *ინდ. გეგმებზე მომუშავე ჯგუფების დამტკიცებისა და მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;*
- *მოსწავლეთა ინდ. გეგმები.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის, მომსახურებას.

2. სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის, მომსახურებას.

3. სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის, მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სკოლას აღწერილი აქვს თუ როგორ მუშაობენ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაზე, განვითარებაზე. მოსწავლეთა ინტერესზე მორგებულ კომპლექსური ტიპის, პროექტული ტიპის დავალებებზე, რომ საგნობრივი კათედრები განიხილავენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას გამოვლენილ ხარვეზებს და ერთობლივი გზით გეგმავენ მათი გაუმჯობესების გზებს. თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი, სადაც ნაწილობრივ ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესის გათვალისწინება, კერძოდ როგორც ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, მასწავლებლებმა ერთად იმუშავეს საგნობრივ კურიკულუმზე და მომავალშიც გეგმავენ მეტად გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები, დაადგინონ მათი საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების კითხვარი, რომელშიც ჩანს, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები და მათ საფუძველზე ხდება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავება. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები მუდმივად ინფორმირებული არიან საკუთარი შვილების მიღწევებზე. მშობლებს ეგზავნებათ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ბარათები და პედაგოგები ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას ნარატივით სახით აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილებულია კონცეპტუალურ ჩარჩოზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულებსა და შუალედური სასწავლო მიზნებსა და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე, ასევე დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებს, რაც ნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას .

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნამდვილად გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს წინა წლის სასწავლო პროცესზე დაკვირვების, ანალიზისა და შეფასების გათვალისწინებით, ასევე, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით, ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებითაა შემუშავებული მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. სკოლის ნარატივიდან ცხადი ხდება, რომ მშობლები მასწავლებლებისა და დამრიგებლების საშუალებით მუდმივად ეცნობიან საკუთარი შვილების მდგომარეობას. მშობლებს ეგზავნებათ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ბარათები, სკოლა იღებს უკუკავშირს და მისი გათვალისწინებით დავალება იცვლის ფორმასა თუ შინაარსს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობის შედეგად და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ მასწავლებლებმა კურიკულუმი შეიმუშავეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე, შესაძლებლობებზე და პრიორიტეტებზე დაყრდნობით და გათვალისწინებით, მასწავლებლებთან საუბრისას იკვეთება, რომ კურიკულუმი მუშავდება ერთობლივად კათედრაზე, სადაც ხდება შეჯერება და გაანალიზება იმ სასკოლო საჭიროებების, რაც იკვეთება სკოლაში. გათვალისწინებულია კურიკულუმის შედგენისას მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები. სწორედ ამაზე დაყრდნობით იქმნება სასკოლო კურიკულუმი.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** თვითშეფასების კითხვარის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ცოდნას, შესაძლებლობებს, მშობელთა ინტერესებს, სასკოლო პრიორიტეტებს და რეალიზების მექანიზმებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი შედგენილია სამიზნე ცნებების და საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, გაწერილია საკითხები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლები აღნიშნავენ სხვა საგნების კათედრების საჭიროებების გათვალისწინებას, თუმცა მოცემულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების ზუსტი შეფასება.

მათემატიკა - სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი, საიდანაც ირკვევა, რომ ცალკეული მასწავლებელი ვალდებულია სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე კათედრაზე *„ჩვენი საქართველოს“* ახალი კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმების გაანალიზება და მის საფუძველზე ახალი კურიკულუმების შექმნა მოსწავლეთა, მშობელთა და კათედრის წევრთა ჩართულობით გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს და მასზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა ზემოთ აღნიშნული საგნის კურიკულუმშიც.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშორმობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სასკოლო კურიკულუმში კარგად ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები მკაფიოდ იკვეთება სასკოლო კურიკულუმში. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ მექანიზმებიდან, რომლის საშუალებითაც შექმნილი და შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი. თითოეული მასწავლებელი ამ პროცესში თავის როლს თამაშობს. სასკოლო კურიკულუმის ამსახველ მასალებს დროულად უგზავნის დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილავს ყველა იმ ცვლილებას, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას საკუთარი შესაძლებლობები და ინტერესები აქვს, რაც პირველ რიგში უნდა იყოს მისადაგებული ესგ-თან. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ნათლად იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომელიც ინტერვიუს დროს მსჯელობისას მასწავლებლებმა გაამყარეს, მათ 2023-2024 სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმი აქვთ შედგენილი წინა სასწავლო წლების კურიკულუმის დაკვირვების და გამოცდილების შედეგად, სადაც ნათლად არის ასახული სასკოლო საზოგადოების, წინა წლების გამოცდილება.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები ან აქტივობები. რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. ვიზიტის პერიოდში **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე არ აქვთ წარმოდგენილი, რადგან ამ დოკუმენტზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია ეტაპები რომლებსაც გადის სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შესადგენად. ასევე მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შედგენის პროცესში ჩართულია სხვადასხვა სასკოლო კათედრები.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია მათემატიკის კათედრაზე და მის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრების აზრია გათვალისწინებული, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტით და პედაგოგებთან ინდივიდუალური ინტერვიუებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ნარატივში კურიკულუმის თავდაპირველი ვერსიის შემუშავებაზე არაფერიუა ნათქვამი, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ასევე მზაობა ამ ჩართულობის გასაძლიერებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი მომზადდა სასკოლო საზოგადოების შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად ზემოთაღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი. სასკოლო განვითარების გეგმის შემუშავება ხდება სკოლის პერსონალის სრული ჩართულობით, ანუ დოკუმენტის შემუშავება ხდება მხარეთა მონაწილეობითსა და წარმოდგენილი საკითხების ანალიზის შედეგად მიღწეული შეთანხმებების შედეგად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კურიკულუმს გეგმავს მთელი სკოლის პერსონალი და არა ერთი მასწავლებელი. ცალკეეული მასწავლებელი ვალდებულია სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუგზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

ქართული ენა და ლიტერატურა - დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია კათედრაზე. მის საბოლოო სახით შემუშავებაში გათვალისწინებულია საზოგადოების სხვა წევრების აზრი, ინტერესები და პრიორიტეტები. ეს ყველაფერი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარისა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტით, პედაგოგებთან გასაუბრებაც ამის დასტურია.

ესთეტიკური აღზრდა. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმზე დაკვირვებით, ასევე მასწავლებლებთან საუბრის შედეგად, დგინდება რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც ცხადყოფს კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალებები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილია თუ რა ფორმით და ხერხებით მოხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით მუდმივად ხდება ინფორმაციის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებთან მშობლებთან. ის გაზიარებულია ინტერნეტ სივრცეში One Drive-ზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კითხვარების მეშვეობით სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მშობელთა გამოკითხვას და მათი ხედვის გათვალისწინებას მთელი სასწავლო წლის მანძილზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კათედრებზე ხდება საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა, ინახება მათ პორტფოლიოებში და გაზიარებულია დაინტერესებულ პირთათვის.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაწყებით საფეხურზე აქტიურად იყო კათედრა ჩართული. ასევე იკვეთება სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში გაძლიერება. გარდა ამისა, სკოლა მიზნად ისახავს უფრო მეტი აქცენტების გამოკვეთას ახალი სასწავლო წლიდან და მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს კომპონენტი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის გაზიარების მექანიზმი. სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი გაკვეთილის ჩატარებასთან ერთად ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ნათლად ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. ამდენად იგი გაზიარებულიცაა სასკოლო საზოგადოების მიერ.

ესთეტიკური აღზრდა. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. სადაც წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ბლოკები/თემები, კომპლექსური დავალებები, ასევე მასწავლებლებთან საუბრის შედეგად ირკვევა რომ კურიკულუმის შემუშავების დროს, ჩართული იყო მთელი კათედრა, გათვალისწინებულია სხვა საგნებთან კავშირები, ეფუძნება მოსწავლის პირად გამოცდილებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი;*
- *გასაუბრება პედაგოგებთან.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ესთეტიკური აღზრდა -** სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმის თავფურცელის შედგენის დროს არის მცირედი ხარვეზები, რომლებიც არ წარმოდგენს კურიკულუმის დახარვეზების საფუძველს, რომლის გათვალისწინებაც სასურველია კურიკულუმის შედგენის და განხორციელების პროცესში. მაგალითად სახვით და გამოყენებით ხელოვნების კურიკულემის თავფურცელში არ არის მითითებული ყველა თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები, მხოლოდ მანდ არის გამოკვეთილი, სადაც კომპლექსური დავალება მუშავდება. სასურუველია ყველგან იყოს მითითებული, ასევე მუსიკაში დაწყებით საფეხურზე არ არის დაფარული ყველა სავალდებულო თემა. მიუხედავად ამ მცირედი უზუსტობებისა შეგვიძლია ინდიკატორტან მიმართებით დავადგინოთ შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში ასახულია კლასების მიხედვით შესაბამისი მიმართულებები, სამიზნე ცნებები, მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, თუმცა არ არის წარმოდგენილი ნიმუშები, რაზეც ინტერვიუს დრო მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებლად შეივსება შესაბამისი ველები. კომპლექსური დავალებები ფარავს თითქმის ყველა სამიზნე ცნებას.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე, კერძოდ ჩვენი საქართველოს საგნის მაგალითზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი ნარატივისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ ჯგუფის მასწავლებელებთან გასაუბრების შემდეგ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ეფუძნება ესგ-ს და საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გათვალისწინებულია სასკოლო თემის და საზოგადოების ინტერესები.

სპორტი - ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები არ ემთხვეოდა დაწყებითი საფეურის სტანდარტს. სკოლამ გამოაგზავნა ორივე კლასის კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაშია და წარმოადგენსენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

უცხოური ენები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებში არსებული თემებით. თუმცა მოცემული თემებით რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს მომავლ სასწავლო წელს ამ ეტაპზე არ ჩანს. ასევე არ არის განსაზღვრული რა სამიზნე ცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენაზე და ქვესაკითხზე მოხდება ფოკუსირება კონკრეტული თემის ფარგლებში. ზოგ თემასთან მიმართებაში საკითხად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა, თუმცა არასრული სახით და შესაბამისად არ ჩანს რა სამიზნე ცნებებები დამუშავდება კონკრეტული კომმპლექსური დავალების ფარგლებში. თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ბარათების სამუშაო ვერსია, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა მოამზადონ 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმები რომლებიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლის კურიკულუმები დაეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს

ქართული ენა და ლიტერატურა - წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა სურათი, რომელიც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს (წერილი, რეკლამა, პოსტერი, მოთხრობა და სხვ.), რომელთა საშუალებითაც ისინი ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. როგორც ვიცით, პირველ და მეორე კლასებში ელოდებიან ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმი წარმოდგენილია ერთი თემის ფარგლებში. კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება, სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შექმნილია დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსები.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. (I-IV და V-VI კლასები) დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოდგენილია შემდეგი სახით: პირველი, მეორე და მესამე კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად გაწერილია მხოლოდ ერთი თემა სამიზნე ცნებებით და ქვეცნებებით, ძირითადი საკითხებისა და საკითხთა კლასტერების ჩამონათვალით, შესაბამისი სასწავლო რესურსებით. ხოლო იმ საკითხებისათვის, რომლებზედაც კურიკულუმის ჩარჩოში შუალედური სასწავლო მიზნების - კომპლექსური დავალების განხორციელებაა დაგეგმილი, განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითი. მეოთხე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია მხოლოდ საკითხთა კლასტერები და რესურსები. არ არის მითითებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. რაც შეეხება მეხუთე და მეექვსე კლასის კურიკულუმს გაწერილია მხოლოდ სავალდებულო თემები, საკითხთა კლასტერები და რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არაა გააზრებული მკაფიოდ. კერძოდ: სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დაწყებით საფეხურზე პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მუშავდება ოთხი სამიზნე ცნება კერძოდ:

1. სახვითი და გამოყემენითი ხელოვნების მხატვრულ გამოსახველობითი ხერხები და ელემნეტბი;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა;
3. სახვითი ხელოვნების ჟანრები;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები.

მეხუთე და მეექვსე კლასში ემატება მეხუთე სამიზნე ცნება სხვადასხვა ეპოქის/კულტურის/მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები. სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, მაგრამ მოწოდებულ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები მხოლოდ იმ თემის ფარგლებში რომელიც კომპლექსური დავალებით მუშავდება. ამიტომ თემატური ბლოკის ფარგლებში ვერ ხდება სამიზნე ცნებების სრულად დაფარვა. რაც შეეხება მუსიკას, მის კურიკულუმის ჩარჩოში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია სამი თემა, რაც სავსებით შეესაბამება სტანდარტის მიხედვით მოწოდებულ თემების რაოდენობას. თუმცა მუსიკის კურიკულუმის თავფურცელის ჩარჩოშიც იმ თემის ფარგლებში სადაც კომპლექსური დავალება ხორციელდება მოცემულია მხოლოდ სამიზნე ცნებები და არა ქვეცნებები. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებმა კურიკულუმის ჩარჩო შეავსეს იმ პრინციპით თუ რომელ კომპლექსური დავალების განხორციელებასაც აპირებდნენ, მხოლოდ ის აქვთ ჩაწერილი ცხრილში და მათ არ გაითვალისწინეს სხვა თემატური ბლოკები და თემები რომლის დამუშავებაც სავალდებულოა. დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარს. ის ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არაფორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) სასურველია გათვალისწინებული იქნას რჩევები, რომელიც მოიცავს კურიკულუმის ჩარჩოს სრულად შევსებას, ზემოთ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორტან შესაბამისობა.**

კომპიუტერული ტექნოლოგიები - საგნის კურიკულუმში გათვალისწინებულია როგორც უშუალოდ საგნობრივი სამიზნე ცნებები, ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს, საკითხები და ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში არ იყო ჩაწერილი თითოეული შესასწავლი თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ მე-5 და მე-6 კლასების შესწორებული კურიკულუმები, რომლებშიც სწორად და ზუსტადაა ჩაწერილი მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება თავისი ქვეცნებებით. ამ კურიკულუმებში გაწერილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. რაც შეეხება 1-4 კლასების მათემატიკის კურიკულუმებს, ახლად წარმოდგენილ მასალებში ისინი არაა მოცემული. საწყის ეტაპზე გამოგზავნილ კურიკულუმებში გაწერილი იყო მხოლოდ ერთი თემა თავისი სამიზნე ცნებებით და ქვეცნებებით, ასევე განსახორციელებელი კომპლექსური დავალებით. რადგან სკოლამ ახალი მასალებით წარმოადგინა მე-5 და მე-6 კლასების სწორად და კარგად შევსებული კურიკულუმები, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრას აქვს შესაძლებლობა სწორად წარმართოს სასწავლო პროცესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე კათედრამ წარმოადგინა ჩვენი საქართველოს კურიკულუმი, რომელიც ესგ-ს და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. მე და საზოგადოების კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად გამართავენ მე და საზოგადოებაში კურიკულუმის ჩარჩოს. კათედრაზე ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმის მაგალითზე, არის პოტენციალი კოლეგებმა ურთიერთდახმარებით შეძლონ კურიკულუმის ჩარჩოს დახვეწა.

სპორტი - სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. შემუშავებული კურიკულუმები მიემართება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები.

უცხოური ენები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებში არსებული თემებით. თუმცა მოცემული თემებით რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს მომავლ სასწავლო წელს ამ ეტაპზე არ ჩანს. ასევე არ არის განსაზღვრული რა სამიზნე ცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე და ქვესაკითხზე მოხდება ფოკუსირება კონკრეტული თემის ფარგლებში. ზოგ თემასთან მიმართებაში საკითხად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა, თუმცა არასრული სახით და შესაბამისად არ ჩანს რა სამიზნე ცნებებები დამუშავდება კონკრეტული კომმპლექსური დავალების ფარგლებში. თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალების ბარათების სამუშაო ვერსია, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა მოამზადონ 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ, ორიენტირებული იქნება მოსწავლეს განუვითაროს გლობალურ-ფუნქციური უნარები. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული რომ სკოლის კურიკულუმები დაეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - დაწყებითი საფეხურის კათედრაზე გრძელვადიან მიზნებზე და ფუნქციურ უნარებზე მუშაობა გააზრებულია. სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებით ნათლად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ძალიან ეხმარება მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, ემპათია, კომუნიკაცია). განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ ყურადღება ეთმობა სწავლის სწავლას, მეტაკოგნიტურ პროცესებს. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება. ხსნის, რა გამოუვიდა კარგად, სად გაუჭირდა, მსჯელობს, თავიდან რომ შეესრულებინა დავალება, რას შეცვლიდა და რატომ. შესრულებული აქტივობები რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს უკავშირდება.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სპეც. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ადაპტირებული დავალებების მაგალითები.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას სრულყოფილად აქვს წარმოდგენილი (მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) შესაბამისი ინდიკატორის დამადასტურებელი დოკუმეტაცია, მაგ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები და სხვა), წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები/დაგეგმილია კომპლექსური დავალებები/შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას, უნდა აღინიშნოს, რომ საკლასო გარემო აღჭურვილია ტექნიკურად. მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას: ფილმები, ოპერა, მიუზიკლი და სხვა). შესაბამისად დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორტან მიმართების დგინდება შესაბამისობა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კურიკულუმში ნაწილობრივ გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, ამ მიზნით სკოლა მზაობას გამოთქვამს განავითაროს მისი პროფესიული საქმიანობა. აგრეთვე წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში მეტ- ნაკლებად ასახულია და ჩაშლილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ფუნქციურ-კომპონენტური უნარები.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში წარმოდგენილია ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც სკოლამ უნდა განახორციელოს მომავალ სასწავლო წელს. ასევე წარმოდგენილია მე-4 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალება და მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები. მათგან ჩანს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში შესაძლებელია მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. მასწავლებლებთან ინტერვიუთი და სკოლის თვითშეფასების მიხედვით გამოიკვეთა რომ სკოლას ამ მიმართულებით აქვს საკუთარი გამოცდილება. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებები - თვითშეფასების ნარატივში და დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი ჩარჩოს ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმის მაგალითზე და კათედრასთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა სუსტად იკვეთება, დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, თითოეულ კურიკულუმში გაწერილი თემების დაფარვა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად. საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე წარმოაგინეს ინდ. გეგმები, რომლებიც ძველი ფორმატითაა წარმოდგენილი, მასწავლებელები შეხვედრის დროს აღნიშნავდნენ რომ გაუმჯობესებენ ამ პრაქტიკას ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გაუმჯობესებენ ამ მიმართულებას.

სპორტი - წარმოდგენილ კურიკულუმების საფუძველზე ვერ დგინდება, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს თუ არა დიფერენცირებულ მიდგომებს, მაგრამ სკოლას გადმოგზავნილი აქვს „ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციები," რის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა გაითვალისინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები ფიზიკური აქტივობების შერჩევის თვალსაზრისით.

უცხოური ენები - სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმეტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას რომ სასწავლო პროცესში გთვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლება. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში უცხოურ ენებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი რესურსებში იკვეთება დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სკოლამ ასევე მოგვაწოდა სამუშაო ვერსია კომპლექსური დავალების ბარათის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით სადაც ჩანს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.

ქართული ენა და ლიტერატურა - მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის, ხშირად მიმართავენ წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას. მასწავლებლებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუწყო ხელი დიფერენცირებულმა მიდგომამ მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას. სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სსსმ მოსწავლე თავს არ გრძნობს სასკოლო საზოგადოებისაგან იზოლირებულად. სხვა თანაკლასელებთან ერთად მონაწილეობს სწავლა-სწავლების პროცესში, არაფორმალურ აქტივობებში, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ინტერვიუს დროს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შექმნილი აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით სკოლას ესთეტიკის კათედრაზე მცირედ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (მუსიკა პირველი მესამე, მეხუთე კლასი) კომპლექსური დავალებისთვის, განხორციელებულ ინტერვენციებში სკოლა აღნიშნავს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ეგიდით აქტიურად უნდა გამოიყენონ განმავითარებელი შეფასებები. და ელექტრონულ ჟურნალში მათ აქვთ თითოეულ მოსწავლეზე განმავითარებელი შეფასება წარმოებული, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის მიხედვით სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს, სოლო ტაქსონომიას, აგრეთვე კურიკულუმში გაწერილია შეფასების რუბრიკების შემუშავება, რითიც სკოლა იხელმძღვანელებს შემდგომ პერიოდში, საგნობრივად.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია მათემატიკაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ სხვა თემების შეფასების დროსაც. ინტერვიუებით ასევე დადგინდა კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების N2 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც შეფასება ჩატარდება დიაგნოსტიკური წერების (ყოველი სემესტრის ბოლოს) მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს – საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებების შედეგების მიხედვით დაწყებით საფეხურზე საგან ჩვენი საქართველოს მაგალითზე 6 კლასში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ჩაშენებულია 5-6 კლაის კურიკულუმში (***კურიკულუმი ჩვენი საქართველო)***

სპორტი - ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საგანში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ გამოასწორა ეს ხარვეზი და გამოაგზავნა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათის სამუშაო ვერსია, სადაც სწორად იყო გააზრებული თემასთან და საკითხთან მიმართებაში სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალების ბარათს თან ახლდა შეფასების რუბრიკები როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. აღნიშნული შეფასების რუბრიკები მიემართებოდა გრძელვაიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება, ძირითადად იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს (წაკითხულის გააზრების, პრეზენტაციის, ჩართულობის და სხვ.). განმავითარებელი შეფასებისას მიმართავენ ზეპირ კომენტარს, იშვიათად - წერილობითს. როგორც აღნიშნეს, სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ, შექმნან კურიკულუმში წარმოდგენილი თემების მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, წარმოდგენილი კურიკულუმები არასრულყოფილია იმიტომ, რომ მცირე დროში სრულყოფილი კურიკულუმების წარმოდგენა ვერ მოახერხეს. ინტერვიუს დროს მათ ისაუბრეს ახალი სტანდარტის მიხედვით რა გრძელვადიანი მიზნები აქვთ. სკოლა არსებული უზუსტობების გასწორებას და კურიკულუმის საბოლოო ვერსიაზე მუშაობას ზაფხულის განმავლობაში გეგმავს. კათედრას აქვს მზაობა ერთობლივი მუშაობით შეჯერდნენ კომპლექსური დავალების პირობებზე და კარგად გამოიყენონ კონტექსტ მაგალითები, რაც გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა და ხასიათისა და ნებელობის) განვითარებაზეა ორიენტირებული. ყველა უნარის ეტაპობრივი განვითარება კი პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებია, რადგან ნებისმიერი სწავლის პროცესში, მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს შემოქმედებითად მიუდგეს პრობლემის გადაჭრას, იაზროვნოს კრიტიკულად, იმუშაოს ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ისწავლოს დამოუკიდებლად, მოუსმინოს სხვებს. შეაფასოს, შეძლოს თვითშეფასება, რაც ეხმარება მისი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და ითხოვს არა მხოლოდ ამ უნარების აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზში სკოლა აკეთებს თვითრეფლექსიას და წარმოადგენს ინტერვენციების გზებს, სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), ცხადყოფს, რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ სასწავლო მიზანს. კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესს და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - მასწავლებლების ჩატარებული სამუშაოები ანალიზზე, კათედრის ანგარიშებზე და სკოლის წლიური თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე ხდება ინფორმაციის გაზიარება და გათვალისწინება ახალი სასწავლო წლის პროგრამის შემუშავებაში.

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასების კითხვარით და სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, ასევე USAID-ის დაწყებითი განათლების პროექტში, ამიტომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხოციელებაში. შესაბამისად, ახალ სასწავლო წელს მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დაწყებით საფეხურზე კათედრაზე მასწავლებელების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას, რაც ნათლად ჩანს „ჩვენი საქრთველოს“ კურიკულუმის მაგალითზე, რაც შეეხება მე და საზოგადოებას სრულიად არა არის დასრულებული, მასწავლბელი გეგმავს ახალ სასწავლო წლამდე სრულყოფილი სახე მისცეს „მე და საზოგადოებაში“ საგნის კურიკულუმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. გამოცდილებისა და შედეგების გაზიარება ხდებოდა სიტყვიერად. თუმცა, სკოლას უკვე შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავბის მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მექანიზმი, რის საფუძველზეც მოხდება მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვა.

ქართული ენა და ლიტერატურა - კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და კათედრის წევრთა კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციები;*
- *კურიკულუმები, კომპექსური დავალების ბარათი;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებუის მეთოდოლოგია,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შვიდწლიანი განვითარების გეგმა;*
- *ი.ს.გ. გეგმები;*
- *კათედრების სხდომის ოქმები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა ისეთ შემთხვევაში სადაც ხორციელდება აქტივობები, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით. გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება, წერილობით თუ დიკუსიის სახით და მასწავლებლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეთავაზებული აქტივობები უნდა აძლევდეს მას ამის შესაძლებლობას. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი უნდა იყოს ორგანიზებული რათა შექმნას მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე; ასევე დიდი როლი აქვს მოტივაციისა და სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის თანამშრომლობით სწავლას, სადაც მოსწავლე მუდმივად ინტერაქციაშია თანატოლთან, გასცემს და იღებს დაუყოვნებლივ უკუკავშირს, იზიარებს პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგზე, რაც უნდა გამოვლინდეს უკუკავშირებში, რეფლექსიებში; პრობლემაზე დაფუძნებულ დავალებებში, სასკოლო პროექტებში, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობებით და სხვა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესს და ყველა მასწავლებელი ერთნაირად შეეცდება, რომ ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და ინდიკატორთან დასტურდება შესაბამისობა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იყო დაწყებითი კლასების სხვადასხვა საგნის კომპლექსური დავალებების აქტივობები ნახატების გამოფენა, მხატვრული კითხვის და კალიგრაფიის კონკურსები. თუმცა მათ შორის არ იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების ნიმუშები, უშუალოდ სკოლის პედაგოგთან გასაუბრებისას დასმულ შეკითხვებზე ნაწილობრივ დაახასიათა მის მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალების პირობები, თუმცა მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები კეთებით სწავლების ხელშემწყობ გარემოში მუშაობენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. მათემატიკის შესაბამის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასწავლო წლის განმავლობაში ერთი კომპლექსური დავალების განხორციელება. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნები მიიღწევა შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე.

სპორტი - სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე სხვადასხა სპორტული ღონისძიებების მოწყობას. სასურველია დაწყებით საფეხურზე დაემატოს თეორიული საკითხების განხილვა (პროექტული დავალებები), რაც უფრო მეტ საშუალებას მისცემს მოსწავლეებს განავითარონ შემოქმედებითი უნარები. ვიზიტის დროს სკოლის მიერ გადმოგზავნილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არ იყო წარმოდგენილი ისეთი თემები, რომლის სწავლების დროს გამოჩნდებოდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და გამოაგზავნა შესწორებული კურიკულუმები.

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, რომელებიც ფოკუსირებული იქნება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, რომელიც საინტერესო დავალებას სთავაზობს მოსწავლეებს. ამავე დროს, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული კომპლექსური დავალებების ამსხველი ფოტო მასალა, რომლებზეც ჩანდა მოსწავლეების შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შედეგი. ამგვარად, სკოლას ნამდვილად აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სადაც მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებთ პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა მიეცემა.

ქართული ენა და ლიტერატურა - მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას საუკეთესოდ იძლევა კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების განხორციელების დასაწყისშივე მასწავლებლები მოსწავლეებს აცნობენ დავალების პირობას, შეფასების კრიტერიუმებს, საკვანძო შეკითხვებს. ინტერესდებიან, შეუსრულებიათ თუ არა მსგავსი ტიპის დავალება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც ერთგვარად იწვევს შემოქმედებითი ძალების გააქტიურებას. მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით იყენებენ შემდეგ აქტივობებს: მოთხრობის გაგარძელება მინიშნებებზე დაყრდნობით, „დაფიქრდი-დაწყვილდი-გაუზიარე“; მოიფიქრეთ და დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და სხვ.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ვინაიდან, საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, მისი პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. შედეგად, მოსწავლე ინტერესით ერთვება მსჯელობაში, გამოთქვამს ვარაუდებს, ფიქრობს პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაზე. კურიკულუმებში მოცემული საკვანძო შეკითხვები, დავალებების კონტექსტს მაგალითები და სიტუაციური ქეისები ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში. მნიშვნელოვანია თემის შიგნით ლოგიკური კავშირების არსებობა.

ესთეტიკური აღზრდა - ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. კომპლექსური დავალებები აგებულია წინარე ცოდნის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით და გამოცდილებით, აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორიტან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და საკითხები უმრავლეს შემთხვევაში დალაგებულია თანმიმდევრობით, არის საკითხთა ჯაჭვი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა - პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო თემები თანმიმდევრობა ისეა წარმოდგენილი, რომ ყოველი ახალი თემის შესწავლა მოითხოვს წინარე ცოდნის საფუძვლიან ცოდნას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმზე დაყრდნიბით სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემებით, საკითხებით და კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლა სწავლების პროცესში.

სპორტი - სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების ბუნება კი გულისხმობს ახალი ცოდნის შეძენას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც სწორად და საინტერესოდ იყო ჩამოყალიბებული დავალების პირობა, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართონ ისე სასწავლო პროცესი, სადაც ახალი ცოდნის მიღება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოხდება.

ქართული ენა და ლიტერატურა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აშკარაა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალებებით აქტიურად მუშაობენ. გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, შემდეგ აორგანიზებენ და ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა ნაცნობ თემასთან, საკითხთან, საგანთან. მომდევნო სასწავლო წლისათვის გადაწყვეტილი აქვთ ყველა თემის ფარგლებში კომპლექსური დავალების განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფის მისაღწევად, პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სახის სწავლა-სწავლების სტრატეგიებს და მიდგომებს სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და ინტერაქტიული სწავლების მიდგომები.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა წარმოადგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ თუ როგორ უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მომავალში მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება, სკოლა ინდიკატორთან მიმართებით არის შესაბამისობაში.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილ მასალებში, მათ შორის თანდართულ საგნობრივ კურიკულუმში, აღწერილია ცოდნის სამ კატეგორიაზე გათვლილი ეტაპები, რომლებიც მოწმობს ამ პროცესების მხარდაჭერას სკოლაში.

მათემატიკა - დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსურ დავალების ბუნება კი გულისხმობს რომ აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კერძოდ, მასწავლებლის მიერ გეზის მიმცემი კითხვების მომზადება და სტრატეგიების გაანალიზება, რაც ეხმარება მოსწავლეს გაანალიზოს როგორ ხდება სწავლის სწავლა. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, რომელის განხორციელების ეტაპებზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას იმსჯელეს. მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მიერ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების ხედვა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს სასწავლო პროცესი, სადაც აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - სასწავლო პროცესი დაგეგმვა მოსწავლეს ეხმარება დასწავლის გაიოლებაში სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით. მაგალითად, **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები ხშირად იყენებენ მეთოდს - სწავლა კეთებით, პლასტელინით აძერწინებენ იმ საგნებს, რომელთა დასახელებაც იწყება იმ ასოზე, რომლის შესწავლასაც ახორციელებენ კონკრეტულ გაკვეთილზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიტური პროცესების გააქტიურებას, მოსწავლეებში რეფლექსიის უნარის განვითარებას. მაგ: მოსწავლე თვითონვე აფასებს საკუთარ ნაშრომს - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკვლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს, როგორ იმოქმედებდა იმ შემთხვევაში, ხელახლა რომ იწყებდეს დავალებაზე მუშაობას, რას ურჩევდა თავის თანაკლასელს, გაუზიარებდა გამოცდილებას და ა.შ. გარდა ამისა, მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ კონკრეტულ გაკვეთილზე მოსწავლეთათვის შედგენილი გრაფიკული მაორგანიზებლები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს სწავლის სწავლაში, ასევე, ურჩევენ, დახატონ ის ასო-ბგერა, რომელზეც იწყება ესა თუ ის სიტყვა.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კომპლექსური დავალების პირობის გააზრება თავისთავად ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებაზე. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ნიმუშები იყო წარმოდგენილი, მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას, ახალი სასწავლო წლისათვის ყველა კომპლექსური დავალება მასზე იქნება ორიენტირებული.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობასია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ ტექნოლოგიების საგნის თემატური მატრიცით, ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ხდება ცოდნის ორგანიზება, თემები გამომდინარეობს ცნებებიდან.

მათემატიკა - დაწყებით კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ასევე წარმოდგენილია მე-4 კლასის მათემატიკის კომპლექსური დავალების ნიმუში და მოსწავლეთა ნამუშევრები, სადაც მოსწავლეს მოეთხოვება გამოავლინოს ცოდნა სამივე კატეგორიის მიხედვით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლექსური დავალება) მოსწავლისგან მოითხოვს როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, კათედრაზე წარმოდგენილი დავალებები და ამ დავალებების შეთავაზების საფუძველზე მოსწავლე შეძლებს, რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას.

სპორტი - ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. ფიზიკური აღზრდის კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'' საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.

უცხოური ენები - სკოლა 2023-2024 წელს აპირებს განახორციელოს კომპლექსური დავალებები უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე. კომპლექსური დავალებები კი იძლევა საშუალებას აქცენტი გაკეთდეს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სკოლამ წარმადგინა კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალების ბარათის სამუშაო ვერსია, რომის განხორციელებაც საჭიროებს სამივე კატეგორიის ცოდნის გააქტიურებას. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება.

ქართული ენა და ლიტერატურა - კომპლექსური დავალებები პირდაპირ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. მტკიცებულებად მოსწავლეთა ნამუშევრებიც წარმოადგინეს. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ცოდნის სამივე კატეგორიაზე გასვლა მოითხოვს დიდ დროსა და ენერგიას როგორც მასწავლებელთა მხრიდან, ასევე, მოსწავლეთა მხრიდანაც. სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესების მქონე მოსწავლეთათვის ეს პროცესი განსხვავებული შედეგებით სრულდება.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** 2023-2024 სასწავლო წლისათვის ბუნებისმეტყველებაში დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოყენებას. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებს, მათ შესაძლებლობებსა და ასევე, ამა თუ იმ საკითხზე დაგროვებულ წინარე ცოდნას.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნისა და სხვა საგნების ინტეგრირება ხდება, ხორციელდება ერთობლივი პროექტები, სამომავლოდაც სკოლაში იგეგმება სხვადასხვა ერთობლივი გაკვეთილები და პროექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

მათემატიკა - კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია მათემატიკისა და ისტ-ის ინტეგრირებული კომპლექსური დავალების მოსწავლის ნამუშევარი, რომლიდანაც ასევე ნათლად ჩანს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

უცხოური ენები - სკოლა 2023-2024 წელს აპირებს განახორციელოს კომპლექსური დავალებები უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები კი მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების სამუშაო ვერსია, რომლის შესრულება საჭიროებს მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ სკოლას აქვს მზაობა, შექმნას სასწავლო პროცესი სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლის მიერ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების შესაძლებლობა.

ქართული ენა და ლიტერატურა - საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვა, საკვანძო ასპექტები, კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და თავის მხრივ, მოსწავლეს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერდაკავშირებაში. მასწავლებლები საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით, სხვადასხვა ფორმის მაორგანიზებლებით ახერხებენ მოსწავლეებს ჩამოუყალიბონ უნარი, რომ ცოდნა დაუკავშირონ ერთმანეთს, ხოლო მისი ურთიერთდაკავშირებით გაზარდონ დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპლექსური დავალებები;*
- *კლასების სასკოლო კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *მათემატიკის მე-4 კლასის კომპლექსური დავალების ბარათი;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილი (მათემატიკა, ისტ);*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებთან საუბრისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს შუალედური სასწავლო მიზნებით მუშაობის მწირი გამოცდილება აქვთ. ამ მხრივ სკოლა საჭიროებს მეტ პრაქტიკულ მუშაობას. ინტერვიუს მსვლელობისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მსჯელობისას უკეთესად გააცნობიერეს აღნიშნული და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ კურუკულუმებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. განსაკუთრებული ყურადღებით ჩამოაყალიბებენ საფეხურის საკვანძო შეკითხვებს, ვინაიდან, როგორ ვასწავლოთ და როგორ დავამუშავებინოთ ინფორმაცია მოსწავლეებს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში სახვით და გამოყენებით ხელოვნება, მხოლოდ იქ არის სამიზნე ცნებები მისადაგებული სადაც კომპლექსური დავალებები ხორციელდება. სხვა თემების დამუშავების დროს არ არის სამიზნე ცნებები და შედეგების ინდიკატორები არ არის მისადაგებული თემებს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ჩარჩო კურიკულუმში, სადაც კომპლექსური დავალება ხორციელდება, სწორად არის წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილ საგნის კურიკულუმში გაწერილია როგორც სამიზნე ცნებები, ასევე საკითხები, თუმცა განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მხოლოდ იდეის დონეზეა წარმოდგენილი და ასევე არ არის მაგალითების ნიმუშები. აღნიშნული დაზუსტდა უშუალოდ გასაუბრების დროს, სადაც აღინიშნა, რომ თემატური მატრიცები მასწავლებლების მიერ ერთობლივად მომზადდება კლასების მიხედვით ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე და აუცილებლად იქნება მითითებული კონტექსტ მაგალითები.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნოვრივ საკითხებს, საკვანძო შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

უცხოური ენები - დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებში არსებული თემებით. თუმცა მოცემული თემებით რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს მომავალ სასწავლო წელს ამ ეტაპზე არ ჩანს. ასევე არ არის განსაზღვრული რა სამიზნე ცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენაზე და ქვესაკითხზე მოხდება ფოკუსირება კონკრეტული თემის ფარგლებში. ზოგ თემასთან მიმართებაში საკითხად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა, თუმცა არასრული სახით და შესაბამისად არ ჩანს რა სამიზნე ცნებებები დამუშავდება კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალების ბარათების სამუშაო ვერსია, სადაც სწორად იყო განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ქართული ენა და ლიტერატურა - კურიკულუმის ჩარჩოში, რომელიც წარმოდგენილია კათედრის მიერ, გაწერილია სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, კომპლექსური დავალებები, რაც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც მასწავლებლებმა წარმოადგინეს, გააზრებული და გაცნობიერებულია მიზნის თვალსაზრისით.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** პედაგოგებთან საუბრისა და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გათვალისწინებით. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქო-სოციალური განვითრებისათვის სკოლაში ხორციელდება სხვადსხვა სოციალური პროექტი. აგრეთვე, აქვთ არაფორმალური განათლების გამოცდილება.

ესთეტიკური აღზრდა - დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველძე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - წარმოდგენილ საფეხურის კურიკულუმში მტკიცებულებების სახით თანდართულია განმავითარებელი შეფასების ნიმუში, რომელიც ეკუთვნის ე.წ. სოლო ტაქსონომიით შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილია პროექტი „დავეხმაროთ ფრინველებს გამოზამთრებაში“რომელიც ხაზს უსვამს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს.

სპორტი - კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში.

უცხოური ენები - სკოლამ უცხოური ენის დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში წარმოადგინა კომპლექსური დავალების იდეები. რომელთა გათვალისწინებით, მათი განხორციელების ეტაპების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შეიძლება ვივრაუდოთ რომ საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. სკოლა შუალედურ მიზნად იყენებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების ბუნება კი მოითხოვს სკაფოლდინგის მეშვეობით და საკვანძო კითხვების მეშვეობით როგორც კოგნიტურ ისე სოციო-ემოციურ კეთილდღეობაზე ფოკუსირებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობით. შექმნილია მოსწავლეთა უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც იკითხება, რომ სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის შექმნილი, რომ მან მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები. მოსწავლეს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი. ცალკეული მოსწავლეების მხრიდან კონკრეტული დარგით დაინტერესების შემთხვევაში სადამრიგებლო პროექტების ფარგლებში ყველა პედაგოგი უზრუნველყოფს ასეთი ინიციატივების მხარდაჭერასა და შემდგომ რეალიზებას. სკოლამ ცალკე წარმოადგინა მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები. ეს ყველაფერი მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვის გამოხატულებაა. ხშირად მასწავლებლები და დამრიგებლები იყენებენ ამონარიდებს ცნობილ მწერალთა ნაწარმოებებიდან, სახელმძღვანელოებიდან, რითაც აჩვენებენ ბავშვებს ამ საკითხების მარადიულობას და მის ღირებულებებზე დააფიქრებენ. ისინი ხშირად იყენებენ ამისთვის როლურ თამაშებს და აგრძნობინებენ ერთმანეთის ტკივილსა თუ სიხარულს. ეს ეხმარება მათ ემპათიის გრძნობის ჩამოყალიბებაში. ჩატარებული გასაუბრების შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალური აქტივობებითაც. დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე. (წიგნის, ფილმის, მულტფილმის მიმოხილვა, როლური თამაშები)

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანს ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები სასწავლო პროცესში გამოიყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება ყველა კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასება. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, რომ სკოლა იტოვებს შეფასების პირველ მოდელს, ინტერვიუს პროცესში სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სასკოლო საზოგადოებასთან შეთანხმების შემდეგ აპირებენ დარჩნენ შეფასების პირველ მოდელზე, რადგან მიაჩნია, რომ პირველი მოდელი განმავითარებელი შეფასების ეტაპობრივად დანერგვის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

ესთეტიკური აღზრდა - 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე დაწყებით საფეხურზე დასტურდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლაში შემუშავებული შეფასების სისტემა, განმავითარებელი შეფასების ფორმები და მიდგომების, მიმართულია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად. ასევე სკოლა მზაობას გამოთქვამს მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა, რადგან ეფექტურად უზრუნველყოს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა - დაწყებით საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილ, მე-4 კლასის კომპლექსური დავალების მატრიცაში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ვიზიტის დროს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას არ წარმოუდეგნია დაწყებით საფეხურზე საგნების „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ განმავითრებელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს 01.10.2023 დაასრულოს აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა.

სპორტი - ინტრვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ვიზიტის დროისთვის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები იყენებდნენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავდა სკოლა.

უცხოური ენები - სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ერთიანი ინსტრუმენტი უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე. სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს-შედეგების ინდიკატორებისაგან შექმნილ რუბრიკებს. შექმნილი აქვთ პრეზენტაციის და წერითი დავალების შეფასების რუბრიკები; გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/სრულყოფას. კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. უცხოური ენის დაწყებით საფეხურზე გეგმავენ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას 5-6 კლასებში Kargiskola.ge-ზე განთავსებული დიაგნოსტიკური შეფასების ტესტების მიხედვით. შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემებს დაამუშავებენ მე-2 დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის შეფასების რუბრიკის მიხედვით. რადგან სკოლა გეგმავს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას შეფასება, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, (კითხვის, წერის, ჩართულობის, ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის) ასევე, გაგვიზიარეს გამოცდილება სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასებისა. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების პირველი მოდელი. ასევე, 2023-2024 სასწავლო წლიდან თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის, შუალედური სასწავლო მიზნების დანერგვასთან დაკავშირებით, გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის კურიკულუმში გაწერილია სამომავლოდ რუბრიკების და შეფასების მექანიზმების განხორციელება სკოლაში. შესაბამისად, აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური. აქედან გამომდინარე ერთობლივად შემუშავებული შეფასების სისტემა ობიექტურია.

მათემატიკა - სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მეხუთე მეექვსე კლასის კურიკულუმზე დაყრდნობით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოდგენილია თემის ფარგლებში არის გამჭვირვალე, შესაბამისად აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს-შედეგების ინდიკატორებისაგან შექმნილ რუბრიკებს. შექმნილი აქვთ პრეზენტაციის და წერითი დავალების შეფასების რუბრიკები; გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/სრულყოფას. კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. უცხოური ენის დაწყებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

საფეხურზე გეგმავენ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას 5-6 კლასებში Kargiskola.ge-ზე განთავსებული დიაგნოსტიკური შეფასების ტესტების მიხედვით. შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემებს დააამუშავებენ მე-2 დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის შეფასების რუბრიკის მიხედვით. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა

ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასება სასწავლო პროცესის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების მეთოდოლოგიას, შეფასების კრიტერიუმებს, გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. შესაბამისად, შეფასება ხდება ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, შეფასების სანდოობას განსაზღვრავს.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმის გადახედვას, ვინაიდან, თვლიან, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი დახვეწას საჭიროებს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - იქიდან გამომდინარე რომ შეფასების სისტემის შექმნა ხდება სკოლის კათედრების დონეზე, კათედრის წევრები პასუხისმგებელნი არიან ვერიფიკაციის მექანიზმზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-2024 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა რომ კურიკულუმის შედგენის დროს განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც პირდაპირ პროპორციულად არის აგებული მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებაზე და ურთიერთდაკავშირებაზე, ნათლად იკვეთება როგორც წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე ცოდნათა ურთიერთადაკავშირება ახალ და უკვე შეძენილც ცოდნათა შორის. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებით დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმით და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავდება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებისს ნარატივში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში შემუშავდება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა, სადაც დაგეგმილი აქვს განხორციელების ეტაპები. ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა ემსახურება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლას ამ ეტაპზე ერთ დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. მასში გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები და ძირითადი მიმართულებები. სასურველია, მომავალ სასწავლო წელს სკოლამ ცალკე დოკუმენტად შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთ მექანიზმებს შექმნის, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კურიკულუმის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ასევე სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, რაც მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი ნარატივიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის სემესტრული, წლიური ანგარიშები კლასის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ, ასევე, V-VI კლასის ნიშნების ფურცელი, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური ჟურნალები დაცულია უსაფრთხოდ, კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

უცხოური ენები - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროექტი, შეფასების ნიმუში.*
- *კომპლექსური დავალებები;*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
- *უცხოური ენების საგნობრივი ოქმი;*
- *სკოლის სასწავლო გეგმა*
- *კომპლექსური დავალების ბარათებით;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში წარმოდგენილი მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის თანამშრომლობითი გარემოს წარმოსაჩენად წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესი და ორმხრივი ხელშეკრულებების მაგალითი, რაც ნაწილობრივ იძლევა დადასტურების საშუალებას. თუმცა კათედრებს შორის ურთიერთანამშრომლობის მაგალითებით და ინტერვიუთი ვლინდება სკოლის თანამშრომლობითი გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესთეტიკური აღზრდა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით და მასწავლებლებთან ინტუერვის დროს, გამოიკვეთა, რომ გარემო რომელიც არის სასწავლო პრეცესში შექმნილი მოსწავლეზეა ორიენტირებულ, მის მიმღებლობაზე გათვალისწინებით არის შექმნილი კურიკულუმიც, რომელიც წინასწარ არის შედგენილი , არსებული მსჯელობის გათვალისწინებით და ასევე კურიკულუმზე დაკვირვებით დადგინდა სტანდართან შესაბამისობა.

მათემატიკა - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი სასწავლო გეგმით და სკოლის თვითშეფასების ფორმით. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასებაში იკვეთება თანამშრომლობის კულტურა, თანამშრომლობა კათედრების შორის. ამ ნარატივს ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუებიც, სადაც მათ ისაუბრეს ურთიერთდასწრებაზე.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრება და ურთიერთშეფასება პედაგოგების მიერ. გარდა ამისა, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა ურთიერთმხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ფუნქციების გადანაწილება გუნდური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა, ორგანიზება შექმნა. სკოლამ წარმოადგინა ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - მიმდინარე კურიკულუმების მთავარი ორიენტირია მოსწავლის ინტერესები, არჩევითი დავალებების შეთავაზება, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის პრინციპების გათვალისწინება. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა სხვადასხვა მიმართულებით ინტერესების გამოსავლენად კითხვარების შედგენას და მათზე დაფუძნებით კურიკულუმების მოდიფიცირებას. აგრეთვე მშობლების კითხვარების პრაქტიკაში დანერგვას და არჩევითი საგნების შეთავაზებისას მშობელთა წერილობითი აზრის გათვალისწინებას. თუმცა ამ კუთხით პედაგოგები თვლიან, რომ მეტი აქვთ გასაკეთებელი და ისეთი მექანიზმის შემუშავებაა საჭირო, რომელიც მოსწავლეებს უფრო მეტად წაახალისებს, მათ წარმატებასა და პროგრესს უზრუნველყოფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპიუტერული ტექნოლოგიები - საგნის კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, დავალებები შედგენილია გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებული იდეებით, ნაწილობრივ არის ლოგიკურად დალაგებული და მიზანზე ორიენტირებული.

მათემატიკა - კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა. კურიკულუმის ჩარჩოზე დაკვირვებამ (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუმ ნათალად გამოკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, კურიკულუმის ჩარჩოს შედგენის დროს სწორედ მოსწავლის შესაძლებლობები დგიდგენდება .და ამის გათვალისწინებით იქმნება. ამ მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია ინდიკატორის შესაბამისობა დადგინდა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები განხორციელებული აქტივობები, სწავლა-სწავლების პროცესში წარმოდგენილ კურიკულუმზე დაყრდნობით ჩვენი საქართვლეოს მაგალითზე იკვეთბა მოსწავლეზე ორიენტირებულობა.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორინტირებულად, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ხმა და არჩევანი, რასაც უზრუნველყოფს კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწვალის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია კომპენტეციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მასწავლებლების პირდაპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, რომ სასწავლო პროცესში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი მნიშვნელოვანია, არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის რომელსაც მთლიანი სასკოლო საზოგადოება წარმოადგენს.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - თანამშროლობითი კულტურა ჩანს კათედრების მუშაობის პრინციპში, კურიკულუმში, აგრეთვე ერთობლივად განხორციელებულ და დაგეგმილ ინტეგრირებულ გაკვეთილსა თუ პროექტში.

მათემატიკა - კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სკოლა ასევე ჩართულია USAID დაწყებითი განათლების პროექტში, რომლის ფარგლებში ხდება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ესთეტიკური აღზრდა. კურიკულუმის ჩარჩოს (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) გაცნობისას და ასევე მასწავლებლებთან საუბრისას მკაფიოდ ჩანს რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ზოგადად კომპლექსური დავალებები რომლებიც შეალედურ სასწავლო მიზნად არის დასახული, მოითხოვს თანამშრომლობით ურთიერთობას და კომუნიკაციას. ზემოთხსენებულზე მსჯელობის შედეგად შეგვიძლია დადგინდეს ინდიკატორთან შესაბამისობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაშიც და მასწავლბელებთან ინტერვიურების იკვეთება თანამშრომლობის კულტურა, ურთიერთდასწრება კათედრაზე აზრის გაზიარება, კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემა, რასაც ადასტურებან კოლეგები ინტერვიურების პროცესში.

უცხოური ენები - სკოლაში პირდაპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - ჯანსაღი და პოზიტიური კლიმატის შექმნა სკოლაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის საჭიროა სასწავლო პროცესში შექმნილი იყოს ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სასკოლო საზოგადოებაში დანერგილი წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. ასევე თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს ორგანიზება და შენარჩუნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპიუტერული ტექნოლოგიები - ინტერვიუთი დასტურდება, რომ მასწავლებლები ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს.

მათემატიკა - მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიურების პროცესში იგრძნობოდა კოლეგებს შორის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. რასაც სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღწერენ.

ესთეტიკური აღზრდა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და ასევე არსებულ დოკუმენტებზე დაკვირვების შედეგად, (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი) შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ სკოლაში, კლასში და თითოეულ მოსწავლეზე უზრუნველყოფილია პოზიტიური გარემო და კლიმატი, რომელიც აისახება მოსწავლის როგორც აკადემიურ მოსწავლეებზე, ასევე მის ფსიქოსოციალურ პიროვნულ განვითარებაზე, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ინდიკატორთან შესაბამისობა დავასკვნათ.

უცხოური ენები - სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღ და პოზიტიური კლიმატის შექმნა სკოლაში. სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ასევე, სასკოლო საზოგადოებაში დანერგილია წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. ასევე თანამშრომლობასა და ურთიერთპატივიცემაზე დაფუძნებულ გარემოს ორგანიზება და შენარჩუნება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კომპლექსური დავალებები;*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *კათედრების სხდომის ოქმები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებზე. წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკის მიხედვით გაცემული რეკომენდაციებიც მონიტორინგის მექანიზმებია. სკოლას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ახალი სასწავლო წლიდან გაწერს თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რითაც სრულყოფილად წარმოაჩენს მეთოდოლოგიის არსს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას ზეპირსიტყვიერად, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას, რომელიც განპირობებულია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: მონაცემების მიზნობრიობის, მათი შეგროვებისა და ვადების განსაზღვრით, რაც ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მასწვლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები მუსიკა/ხელოვნება წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება, თუმცა ინსტრუმენტები თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის განვითარების განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვება. კათედრაზე განხორციელდა გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, ასევე, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესი. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სადაც აღწერს, რომ ურთიერთშეთანხების შედეგად ხდება კურიკულუმის დანერგვა, რაც გულისხმობს შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება: მოსწავლის (ნანო) დონე, მასწავლებლის (მიკრო დონე), სკოლის (მეზო) დონეზე. თითოეულ დონეზე მიმდინარე პროცესებს მასწავლებლები აღწერენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების მიხედვით. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. სკოლა ვალდებულია განახორციელოს გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც განისაზღვრება და დგინდება მიმდინარეობს და სრულდება თუ არა კურიკულიუმით დადგენილი პროცესები. აღნიშნული პროცესების დროს ხდება, როგორც დადებითად შესრულებული, ისე არასრულად შესრულებული საკითხების გამოკვლევა და შეფასება. სკოლის მიერ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას წინა წლების გამოცდილება. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მიმდინარე კურიკულუმების ფარგლებში არსებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას: დირექცია ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს, აძლევს უკუკავშირს ჩატარებული გაკვეთილებისა და განხორციელებული პროექტების შესაფასებლად, გამოხატავენ მხარდაჭერას და სრულად იგნორირებულია დასჯაზე ორიენტირება. მომავალი სასწავლო წლიდან ხარისხის ჯგუფი დაესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და მათი თანმიმდევრული მუშაობა, უკუკავშირი და კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ამუშავება ხელს შეუწყობს პედაგოგებს გასაუმჯობესებელ მხარეებზე ორიენტირებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. დირექციის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს.

უცხოური ენები - კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით ასევე მოხდება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. კათედრის წევრები დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს, ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქციულ უკუკავშირს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებთან პირად საუბარში გაირკვა, რომ სკოლა და საბუნებისმეტყველო კათედრა სერიოზულად მუშაობს ამ მიმართულებით, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ხელშეწყობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გასაუბრებისას აღინიშნა. რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესთეტიკის კათედრა - კურიკულუმის მონიტორინგი ერთ-ერთი საშუალებაა იმის, რომ სწორად მოხდეს პრობლემის იდინტიფიცერება და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები, მასწავლებლებთან ინტრევიუს დროს გამოიკვეტა , რომ სკოლა აქტიურად იყენებს კურიკულუმს მონიტორინს რაზეც წინა წელს შექმნილი კურიკუმულის ჩარჩოების შედარება ხდება ახალი სასწავლო წლის 2023-2024 კურიკულუმის ჩარჩო (მუსიკა/ სახვითი და გამოყენებით ხელოვნება) მეტყველებსბ. ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვების შედეგად დადგინდეს ინდიკატორტან შესაბამისობა.

უცხოური ენები - კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს შეუწყობს პრობლემის განსაზღვრასა და გადაჭრის გზებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *განმავითარებლი შეფასებები;*
- *კომპლექსური დავალება ,,ცხოველები მუსიკაში,, შეფასება;*
- *განმსაზღვრელი შეფასებები;*
- *განმავითარებლი შეფასებები დონეების მიხედვით;*
- *სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ახალი სასწავლო წლიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი.

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ისე სასკოლო დონეზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ამჟამად სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე, კომპლექსური დავალებისთვის.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვა და სხვა მეთოდები. კერძოდ, დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასურველია, მასწავლებელმა დაგეგმოს ინტერვენცია კლასის კლიმატის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, სწავლის პერიოდის, მოტივაციისა და მოსწავლეთა ინტერესების შესასწავლად, რათა სიტუაცია დაინახოს მრავალმხრივი კონტექსტიდან და შეძლოს მიზნობრივად შეფასება.

ესთეტიკური აღზრდა - როგორც სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ, სკოლა 2022-2023 წელს იყენებდა შეფასების განმავითარებელ რუბრიკებს I-IV კლასებში, მოსწვლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე აძლევდნენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს, ხოლო სემესტრში ორჯერ აკეთებდნენ მოსწავლეთა შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რაც მშობელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ეხმარებოდა მიეღო ინმფორმაცია თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. რაც შეეხება V-VI კლასების შეფასების დროს სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით იგივე დოკუმენტიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან იკვეთება, რომ სკოლა სამომავლოდ გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის უკეთ დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. იკვეთება მასწავლებლების მზაობა ამ ინდიკატორთან მიმარტებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. დაწესებულებას მიეცა რჩევა, შეფასების ჰილისტური მიდგომის უზრუნველსაყოფად შეიმუშავოს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. თუმცა კონკრეტულად რა კონტექსტის გათვალისწინება ხდება სასწავლო პროცესის შეფასებისას არ ჩანს.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები, ტარდება ინტერვიუები, ხარისხის ჯგუფი აწარმოებს შეფასების ფორმებს და მათი ანალიზის საფუძველზე ისახება პრობლემის გადაჭრის გზები და სამომავლო გეგმები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ რა საშუალებებით მექანიზმებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში, ამიტომ, ცდილობენ გაუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. ასევე გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასებისას გამოიყენებენ მულტიფაქტორულ მიდგომას.

ესთეტიკური აღზრდა. სკოლის მიერ მტკიცებულებამ ცხადყო და მასწავლებლებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რომ სკოლა იყენებს დიფერენცირებულ სწავლის მეთოდებს რაზე დაყრნდობითაც სკოლა ადგენს შეფასების რუბრიკებს (განმავითარებელი/განმსაზღვრელი) , ყოველივე ზემოთხსენებულზე დაყრდნობით დადგინდა ინდიკატორებთან შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე;*
- *უცხოური ენის კათედრის სხდომის ოქმი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** გამოიკვეთა კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომლის შესრულებასაც კათედრა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს და გასათვალისწინებელია, რომ კონსტრუქტივიზმის ყველა პრინციპზე იყოს ნაფიქრი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

ესთეტიკური აღზრდა - მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში სკოლის მაძიებლის თვითეფასების ფორმაში იკითხება რომ შემუშავების პროცესშია. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად თანამშრომლობენ ქოუჩებთან, აქვთ მათგან მხარდაჭერა და მათთან თანამშომლობით ინერგება სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი. მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეიმუშავებს რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს, რომ კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელებასთან ერთად. სკოლავას ასევე შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა, რომელიც ემსახურება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ვინაიდან, კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს, სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში შემუშავებულია წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი, (შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი) კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას წინა წლების გამოცდილება. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას). ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

ესთეტიკური აღზრდა - მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში სკოლის მაძიებლის თვითეფასების ფორმაში იკითხება რომ შემუშავების პროცესშია. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად თანამშრომლობენ ქოუჩებთან, აქვთ მათგან მხარდაჭერა და თანამშომლობით ინერგება სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. ამ ეტაპზე აქტიურად მიმიდინარეობს სამუშაო პროცესი კუკრიკულუმების დახვეწაზე. ზემოთხსენებული მჯელობიდან გამომდინარე დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სასკოლო კურიკულუმი ხელოვნება/მუსიკა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. წარმოდგენილი აქვთ კურიკულიმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (პროექტი),

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების კითხვარი, რომელშიც ჩანს, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები და მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საფუძველზე ხდება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავება. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები მუდმივად ინფორმირებული არიან საკუთარი შვილების მიღწევებზე. მოსწავლეებს და მათ მშობლებს ეგზავნებათ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ბარათები და პედაგოგები ითვალისწინებენ თითოეულ უკუკავშირს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას ნარატივის სახით აქვს წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილებულია კონცეპტუალურ ჩარჩოზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულებსა და შუალედური სასწავლო მიზნებსა და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის რევიზიის, განვითარების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე, ასევე დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს წინა წლის სასწავლო პროცესზე დაკვირვების, ანალიზისა და შეფასების გათვალისწინებით, ასევე, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებითაა შემუშავებული მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. სკოლის ნარატივიდან ცხადი ხდება, რომ მშობლები მასწავლებლებისა და დამრიგებლების საშუალებით მუდმივად ეცნობიან საკუთარი შვილების მდგომარეობას. მშობლებს ეგზავნებათ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ბარათები, სკოლა იღებს უკუკავშირს და მისი გათვალისწინებით დავალება იცვლის ფორმასა თუ შინაარსს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

2. **მათემატიკა -** სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი, საიდანაც ირკვევა, რომ ცალკეული მასწავლებელი ვალდებულია სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიის მაგალითზე ჩანს, რომ ახალი კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წელის კურიკულუმების გაანალიზება და მის საფუძველზე ახალი კურიკულუმების შექმნა მოსწავლეთა, მშობელთა და კათედრის წევრთა ჩართულობით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს და მასზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში, შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა ზემოთ აღნიშნული საგნის კურიკულუმშიც.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სასკოლო კურიკულუმში კარგად ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები მკაფიოდ იკვეთება სასკოლო კურიკულუმში. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ მექანიზმებიდან, რომლის საშუალებითაც შექმნილი და შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი. თითოეული მასწავლებელი ამ პროცესში თავის როლს თამაშობს. სასკოლო კურიკულუმის ამსახველ მასალებს დროულად უგზავნის დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილავს ყველა იმ ცვლილებას, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რადგან მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრაზე განიხილავენ კურიკულუმს, მშობლებთან გაგზავნილი აქვთ დავალების ბარათები. ახდენენ განსახორციელებელი კომპლექსური დავალების ადაბტირებას სსსმ მოსწავლისათვის და მისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში ჩართულია სპეცმასწავლებელი.

მათემატიკა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია მათემატიკის კათედრაზე და მის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრების აზრია გათვალისწინებული, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტით და პედაგოგებთან ინდივიდუალური ინტერვიუებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ნარატივში კურიკულუმის თავდაპირველი ვერსიის შემუშავებაზე არაფერია ნათქვამი, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ასევე მზაობა ამ ჩართულობის გასაძლიერებლად წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი მომზადდა სასკოლო საზოგადოების შეთანხმების საფუძველზე.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი. სასკოლო განვითარების გეგმის შემუშავება ხდება სკოლის პერსონალის სრული ჩართულობით, ანუ დოკუმენტის შემუშავება ხდება მხარეთა მონაწილეობით და წარმოდგენილი საკითხების ანალიზის შედეგად მიღწეული შეთანხმებების შედეგად. კურიკულუმს გეგმავს მთელი სკოლის პერსონალი და არა ერთი მასწავლებელი. ცალკეეული მასწავლებელი ვალდებულია სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუგზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

ქართული ენა და ლიტერატურა - დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია კათედრაზე. მის საბოლოო სახით შემუშავებაში გათვალისწინებულია საზოგადოების სხვა წევრების აზრი, ინტერესები და პრიორიტეტები. ეს ყველაფერი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარისა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტით, პედაგოგებთან გასაუბრებაც ამის დასტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად. ისინი აღნიშნავენ, რომ საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმის დანერგვას, გარდა ამისა, კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რასაც სოციალური ქსელით და საზიარო ღრუბლოვანი სივრცით.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი გაზიარებული იყო მხოლოდ კათედრაზე. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წაროადგინა მასალები სადაც ჩანს, რომ საზოგადობრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმი გაზიარდა სასკოლო საზოგადოებაში.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის გაზიარების მექანიზმი. სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი გაკვეთილის ჩატარებასთან ერთად ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ნათლად ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. ამდენად იგი გაზიარებულიცაა სასკოლო საზოგადოების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *უცხოური ენის კათედრის სხდომის ოქმი,*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო ყველა საგნის (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. მიუხედავად სწორად დასახული სასწავლო პროცესის საბაზო საფეხურის კურიკულუმის თავფურცელში ვაწყდებით რიგ ხარვეზებს, მაგალითად: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეშვიდე კლასის კურიკულუმის თავფურცელში პირველ და მეორე თემის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებაში, ასევე მერვე კლასის პირველ და მეორე თემის ფარგლებში არ არის გაწერილი სამიზნენ ცნებები, მეცხრე კლასის მესამე და მეოთხე თემის ფარგლებში არ მუშავდება სამიზნე ცნებები. მუსიკაში მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასებში მოცემულია მხოლოდ სამიზნე ცნებები და არსად იკვეთება ქვეცნებები, რომლებიც კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მუშავდება, ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, ინდიკატორტან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში არ იყო ჩაწერილი 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი არცერთი კომპლექსური დავალება, ასევე არ იყო თითოეული შესასწავლი თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა კლასის შესწორებული კურიკულუმები, რომლებშიც სწორად და ზუსტადაა ჩაწერილი მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება თავისი ქვეცნებებით. ამ კურიკულუმებში ასევე გაწერილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების, კერძოდ გეოგრაფიის მაგალითზე სკოლის მიერ წარმოდგენილი ნარატივისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე კურიკულუმები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ ჯგუფის მასწავლებელებთან გასაუბრების შემდეგ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ეფუძნება ესგ-ს და საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გათვალისწინებულია სასკოლო თემის და საზოგადოების ინტერესები (საგან გეოგრაფიაში წარმოდგენილი იყო მშობლის ბარათები.) თუმცა ისტორიის და მოქალაქეობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული არ დასტურდება. საბაზო საფეხურზე არაფორმალური განათლების მიმართულებთ ხორციელდება სასკოლო საზოგადოებაზე ორიენტირებული პროექტები, კერძოდ სამოქალაქო განათლების. საზ. მეცნიერების მიერ შემუშავებული კურიკულუმი/ები ისტორიაში და მოქალაქეობაში არ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტი - ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბაზო საფეხურის VII-IX კლასის კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კოპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის მიღწევისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვას. სკოლას მიეცა რჩევა, დაამატოს თემები ოლიმპიზმის ისტორიიდან.

უცხოური ენები - სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა პირველი და მეორე უცხოურ ენების კურიკულუმები. პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ 1 კომპლექსური დავალების იდეა მე-7 და მე-8 კლასში და 2 მე-9 კლასში. კურიკულუმებში არ ჩანს რა თემების, რა საკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს სკოლა პირველი უცხოური ენის საბაზო საფეხურზე მომავლ სასწავლო წელს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებთან მიმართებაში კი, თემა, საკითხი და სამიზნე ცნება სწორადაა განსზღვრული. მეორე უცხოურ ენაში წარმოდგენილია მხოლოდ თემები და საკითხები, შესაბამისად რა სამიზნე ცნებები დამუშავდება კონკრეტული თემის ფარგლებში არ ჩანს. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებს ბარათების სამუშაო ვერსია, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა მოამზადონ 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლის კურიკულუმები დაეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კურიკულუმის ჩარჩო საფეხურზე წარმოდგენილია სრულყოფილად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში, სულ ცოტა, ორი კომპლექსური დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, შეფასების რუბრიკების დახვეწასა და განვითარებაზე, რომ უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოხატავდეს მოსწავლეთა ნაშრომების საუკეთესო თუ გასაუმჯობესებელ მხარეებს.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო ყველა საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) კურიკულუმში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნება ზუსტად არის მიმართული სამიზნე ცნებასა და საკითხზე. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. კომპლექსური დავალებები. პროცესი არის გააზრებული. საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მუშავდება სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი, მუსიკაში ყველა სავალდებულო თემა, თუმცა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემის დამუშავების ფარგლებში არ არის სამიზნე ცნება მითითებული, და მუსიკაში იმ თემის ფარგლებში სადაც კომპლექსური დავალება ხორციელდება, ქვეცნებები არ არის მითითებული. მიუხედავად ამ ცდომილებისა მოსწავლეს შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/პრობლემის გადაჭრისას სჭირდება შემოქმედებითობა, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო, რომელიც ასევე თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელად მუშაობის, რეფლექსიის და მეტაკოგნიტურო სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს დამოუკიდებელ პიროვნებად, რომელსაც თავად შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების მოგვარება. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის რაც მიმართული იქნება არა მხოლოდ აქტივირებაზე, არამედ წაახალისებაზე. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა. შესაძლებელია დავასკვნათ რომ საბაზო, საფეხურზე, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და მეტწილ შესაბამისობასია ინდიკატორთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში არ იყო ჩაწერილი თითოეული შესასწავლი თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა კლასის შესწორებული კურიკულუმები, რომლებშიც სწორად და ზუსტადაა ჩაწერილი მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება თავისი ქვეცნებებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საზ. მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა სრულყოფილი სახით გეოგრაფიის კურიკულუმი, რომელიც ესგ-ის და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე ხდება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრაზე საგან მოქლაქეობასა და ისტორიაში არ იყო წარმოდგენილი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირი არ იყო განსაზღვრული სამიზნე ცნებები სკოლამ წარმოადგინა ზემოთაღნიშნულ საგნებში კურიკულუმი, სადაც განსაზღვრა გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობა თემის ფარგლებში ასევე საგნობრივი საკითხების შესაბამისობა. სკოლას არ წარმოუდგენია საზ. მეცნიერების კათედრაზე საბაზო საფეხურზე საგან ისტორიაში სრულყოფილი კურიკულუმების ჩარჩო მე-8 და მე-9 კლასში. სკოლამ უნდა შეიმუშაოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი.

სპორტი - საბაზო საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სასურველია შესწორდეს სასწავლო რესურსებში მითითებული ბმულები (არ იხსნება).

უცხოური ენები - სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა პირველი და მეორე უცხოურ ენების კურიკულუმები. პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ 1 კომპლექსური დავალების იდეა მე-7 და მე-8 კლასში და 2 მე-9 კლასში. კურიკულუმებში არ ჩანს რა თემების, რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს სკოლა პირველი უცხოური ენის საბაზო საფეხურზე მომავლ სასწავლო წელს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებთან მიმართებაში კი, თემა, საკითხი და სამიზნე ცნება სწორადაა განსზღვრული. მეორე უცხოურ ენაში წარმოდგენილია მხოლოდ თემები და საკითხები, შესაბამისად რა სამიზნე ცნებები დამუშავდება კონკრეტული თემის ფარგლებში არ ჩანს. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებს ბარათების სამუშაო ვერსია, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას რომ სკოლას აქვს მზაობა მოამზადონ 2023-2024 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ, ორიენტირებული იქნება მოსწავლეს განუვითაროს გლობალურ-ფუნქციური უნარები. გზა. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლის კურიკულუმები დაეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ავითარებს სხვადასხვა კომპეტენციას. მაკროცნებების გააზრება ხდება სამიზნე ცნებებზე მუშაობის პროცესში. მასწავლებლებმა, ასევე, აღნიშნეს, რომ მოსწავლის მიერ თხზულებაზე მუშაობის დროს, ცხადია, მათ უვითარდებათ ნარატივის უნარი. ამ შემთხვევაში კი აქტიურდება მაკროცნება ,,წიგნიერება".

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია დიფერენცირება, როგორც შინაარსის, ისე პროცესის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.

ესთეტიკური აღზრდა - წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზღვრულია სასწავლო მიზნები/დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს საგან მუსიკაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ყოველივე ზემოთხსენებულის მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების აღწერა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას, ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მიუზიკლი და სხვა). შესაბამისად, დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილია მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ კათედრა ავალდებულებს თითოეულ პედაგოგს წარმოადგინოს ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები. ცხადია ამ კრიტერიუმებში გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული მიდგომები და მოსწავლეთა ინდივიდუალიზმი. მასწავლებლებთან ინტერვიუთი და სკოლის თვითშეფასების მიხედვით გამოიკვეთა რომ სკოლას ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელი აქვს საკუთარი გამოცდილება, კერძოდ პედაგოგებმა ჩაატარონ საჩვენებელი გაკვეთილები, სკოლამ იზრუნოს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - თვითშეფასების ნარატივში და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი ჩარჩოს გეოგრაფიის საგნის კურიკულუმის მაგალითზე და კათედრასთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა დიფერენცირებული მიდგომები. კათედრამ წარმოადგინა ინდ. გეგმები თუმცა არა სრულყოფილი, მომდევნო სასწავლო წლიდან დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით თითოეულ კურიკულუმში გაწერილი თემების დაფარვა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად. საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე გასაუბრებისას, მასწავლებლებმა ისაუბრეს როგორ გააუმჯობესებენ ამ პრატიკას ზემოთაღნიშნულის საფუძველზე. შესაძლოა დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესებენ ამ მიმართულებას

სპორტი - სკოლამ წარმოადგინა „ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციების“ დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ვადგენთ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა განახორციელონ დიფერენცირებული მიდგომები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. ასევე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის აპირებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ინდივიდუალური სასწავო გეგმა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეიმუშავა ისგ ამ საგანში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენები - სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმეტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში გთვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლება. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში უცხოურ ენებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი რესურსებში იკვეთება დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სკოლამ ასევე მოგვაწოდა სამუშაო ვერსია კომპლექსური დავალების ბარათის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით, სადაც ჩანს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.

ქართული ენა და ლიტერატურა - ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს ყველა შესაძლებლობისა და ინტერესების მქონე მოსწავლეს. მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მოსწავლეს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ გარემოებების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას, მოსწავლისათვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, აღწერილია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, მოლოდინები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, შერჩეულია რესურსები, სავარაუდო აქტივობები.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვთ, რომ შეფასება გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიღწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ფარგლებში საგან მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა, ასევე მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების მუსიკის და ხელოვნების თემატურ მატრიცებში მოცემული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები. ეს ცხადყოფს, რომ განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (მაგ. დიაგნოსტიკური შეფასება, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, შეფასების ტიპი-ზეპირი განმავითარებელი. კომპლექსური დავალებები წელიწადში ორი, კომპლექსური ხასიათის შემაჯამებელი დავალებები და სხვ.). ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამება.

მათემატიკა - პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლითაც პედაგოგები იხელმძღვანელებენ შესაბამისი თემების შეფასების დროს, თუმცა შეფასების ეს რუბრიკები არაა წარმოდგენილი. ინტერვიუებით ასევე დადგინდა კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტები დიაგნოსტირებისათვის, კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეარჩია შეფასების N2 ინსტრუმენტი, რომლის თანახმადაც შეფასება ჩატარდება დიაგნოსტიკური წერების (ყოველი სემესტრის ბოლოს) მიხედვით. საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იყო მოცემული თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, ასევე არ იყო წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, ასევე სხვადასხვა აქტივობების დროს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლამ ასევე წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და ერთი შემაჯამებელი წერის ნიმუში თავისი შეფასების რუბრიკით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს – საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებების შედეგების მიხედვით. წარმოდგენილია საგან გეოგრაფიაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მომდევნო სასწავლო წლისთვის ყველა თემის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით სასწავლო პროცესის წარმართვა. თუმცა კათედრის სხვა საგნებში არ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება არ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს საგან მოქალაქეობასა და ისტორიაში.

სპორტი - ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მაგრამ სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მასწავლებლებს თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.

უცხოური ენები - საბაზო საფეხურზე პირველ უცხოურ ენის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათის სამუშაო ვერსია, სადაც სწორად იყო გააზრებული თემასთან და საკითხთან მიმართებაში სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალების ბარათს თან ახლდა შეფასების რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. აღნიშნული შეფასების რუბრიკები მიემართებოდა გრძელვაიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასებისათვის აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გაიაზრონ, რამდენად ეფექტიან ნაბიჯებს დგამენ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. ამიტომ პედაგოგები მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ „კვირის გეგმის“ აქტივობას. განმსაზღვრელ შეფასებას პედაგოგები იყენებენ პროცესის საბოლოო შეფასებისათვის. მასწავლებლებს აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. კათედრამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა და იქვე მათ მიეცათ რეკომენდაცია, იმუშაონ მის დახვეწაზე. ავტორიზაციის მხარდამჭერი ჯგუფის ქოუჩინგისას მასწავლებლებმა შექმნეს ,,ახალი სკოლის მოდელის“ პრინციპებით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მომავალ წელს იქნება აქტიურად გამოყენებული.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში არ არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებთან ინტერვიუს მეშვეობით არ გამოიკვეთა, როგორ ხდება, რა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით კურიკულუმის განვითარება, რამ განაპირობა ცვლილებები წლევანდელ კურიკულუმში. თუმცა არსებობს იმის მზაობა მასწავლებლებში, რომ მოახდინონ რეფლექსია და ცვლილებები გახდეს მიზანმიმართული.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები საგანებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), ცხადყოფს რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება წარმოაგენს შუალედურ სასწავლო მიზანს და მიემართება საგნის სტანდარტს. ამასთან, კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებზე. ინტერესებზე დაყრდნობით. დატვირთვა მთელი წლის განმავლობაში და სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე შეცვლიან არნიშნულ კლასებში კომპლექსური დავალების და თემების რაოდენობას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვანათ, რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასების კითხვარით და სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", ასევე USAID-ის დაწყებითი განათლების პროექტში, ამიტომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხორციელებაში. შესაბამისად, ახალ სასწავლო წელს მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე კათედრაზე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას, რაც ნათლად ჩანს გეოგრაფიის კურიკულუმის მაგალითზე. საგან მოქალაქეობის და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში არ იყო გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. აღნისნული საგნის კურიკულუმებში გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილება /ანალიზი.

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. გამოცდილებისა და შედეგების გაზიარება ხდებოდა სიტყვიერად. თუმცა, სკოლას უკვე შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მექანიზმი, რის საფუძველზეც მოხდება მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქართული ენა და ლიტერატურა - მასწავლებლებთან გასაუბრებისას აშკარად გამოიკვეთა ის, რომ სწავლის პროცესში ისინი ძალზე ხშირად იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. მათ აღნიშნეს, რომ წინარე ცოდნა მოსწავლისთვის საუკეთესო ინსტრუმენტია სხვა ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისათვის. გაკვეთილებზე უფრო მეტად ხელმძღვანელობენ პრინციპით - მოსწავლის გონების წარმართვა ნაცნობი ინფორმაციიდან უცნობისაკენ, ვიდრე სტრატეგიით - მარტივიდან რთულისაკენ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საგნობრივი კურუკულუმები;*
- *ინდ. გეგმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *სასკოლო გეგმა;*
- *მუსიკა- მე-5 კლასში შეამაჯამებელი დავალების ნიმუში და შეფასების რუბრიკები;*
- *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება განხორციელებული პროექტი „ჩემი საქართველო“*
- *მუსიკაში მეხუთე კლასში და მერვე კლასის თემატური მატრიცა;*
- *სავალდებულო პროექტული სწავლების (მუსიკა) - პროექტის მიზნები და ეტაპები რაც განხორციელდა სწავლების დროს.*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი;*
- *საგნობრივი ჩარჩო დოკუმენტები;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *კომპლექსური დავალების ბარათები;*
- *შვიდწლიანი განვითარების გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედურ მიზნები ზოგიერთ თემასთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალებებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, უმაღლებს თვითეფექტურობას და ზრდის შინაგან მოტივაციას. ამის გარდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელებული პროექტები საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მომავალ სასწავლო წელს განხორციელდება ორი კომპლექსური დავალება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, ჩართული იყვნენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პრიცესში, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნები მიიღწევა შუალედური სასწავლო მიზნების საფუძველზე.

სპორტი - სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ლაშქრობა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას მიეცა რჩევა, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩართონ თემები ოლიმპიზმის ან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიიდან.

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების საბაზო საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, რომელებიც ფოკუსირებული იქნება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, რომელიც საინტერესო დავალებას სთავაზობს მოსწავლეებს. ამავე დროს, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებების ამსხველი ფოტო მასალა, რომლებზეც ჩანდა მოსწავლეების შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შედეგი. ამგვარად, სკოლას ნამდვილად აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს იმგვარად, სადაც მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებთ პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა მიეცემა.

ქართული ენა და ლიტერატურა - მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის საშუალებას საუკეთესოდ იძლევა კომპლექსური დავალებები. სასწავლო პროცესში აქტიურადაა გამოყენებული ისეთი აქტივობები, როგორიც ეხმარება მოსწავლეს შემოქმედებითი უნარების განვითარებაში, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში. ამისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის როლურ თამაშებს, გამომგონებლობებს და ა.შ.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რასაც ადასტურებს სასწავლო პროცესში გამოყენებული და მასწავლებლების მიერ აღწერილი აქტივობები. ამას ასევე უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებების კონტექსტი.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. ყოველივე ცხადყოფს, რომ საბაზო საფეხურზე ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. აღნიშნული მსჯელობა დაადასტურა ორივე საგნის მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში.

მათემატიკა - სკოლა 2021-2022 წლებში ჩართული იყო „ახალი სკოლის“ მოდელში, რომლის ფარგლებში მოხდა კომპლექსური დავალებების განხორციელება სხვადასხვა კლასებში და შესაბამისი გამოცდილების მიღება. საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი ასევე წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო თემები თანმიმდევრობა ისეა წარმოდგენილი, რომ ყოველი ახალი თემის შესწავლა მოითხოვს წინარე ცოდნის საფუძვლიან ცოდნას. შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე საგან გეოგრაფიის კურიკულუმზე დაყრდნიბით სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე ხდება, რაც დასტურდება კურიკულუმში არსებული თემებით, საკითხებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ მოქალაქეობის და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში არ იყო გატვალისწინებული ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით .სკოლის მიერ გაზიარებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ცოდნის კონსტრუირება, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმებში განისაზღვრა კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც უზრუნველყოფს ზემოთ აღნიშნულის მიღწევას.

სპორტი - მასწავლებლები ითვალისწინებენ, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება. სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და დასახული მიზნების მიღწევას.

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების საბაზო საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების ბუნება კი გულისხმობს ახალი ცოდნის შეძენას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც სწორად და საინტერესოდ იყო ჩამოყალიბებული დავალების პირობა, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართონ ისე სასწავლო პროცესი, სადაც ახალი ცოდნის მიღება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოხდება.

ქართული ენა და ლიტერატურა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აშკარაა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას. ხშირად იყენებენ ცხოვრებისეულ მაგალითებს და უკავშირებენ მას ახალ სასწავლო მასალას, იხსენებენ დაწყებით საფეხურზე ნასწავლ ლიტერატურას და მისი დახმარებით ცდილობენ ნაწარმოების მთავარი აზრისა თუ პრობლემის ამოცნობას.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს უსვავენ მეტაკოგნიტურ კითხვებს და ხელს უწყობენ მოსწავლეების რეფლექსიას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა წარმოადგენს ხედვას სამომავლოდ თუ როგორ შეძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. ყოველივე მკაფიოდ იკვეთება ინტერვიუს დროს. მასწავლებლები საუბრობენ თუ როგორ უნდა მოხდეს წახალისებული სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვსა და მონიტორინგის პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა საბაზო საფეხურზე როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება, **სკოლა ინდიკატორტან მიმართებით არის შესაბამისაობაში.**

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მომავალ სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კომპლექსური დავალებებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას (სასკოლო ფესტივალებში).

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების საბაზო საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსურ დავალების ბუნება კი გულისხმობს რომ აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კერძოდ, მასწავლებლის მიერ გეზის მიმცემი კითხვების მომზადება და სტრატეგიების გაანალიზება, რაც ეხმარება მოსწავლეს გაანალიზოს როგორ ხდება სწავლის სწავლა. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, რომელის განხორციელების ეტაპებზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას იმსჯელეს. მასწავლებლების მიერ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების ხედვა იძლევა საშუალებას დავასკვნათ რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს სასწავლო პროცესი, სადაც აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - სწავლის სტრატეგიების დაუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის პროცესში. ამიტომ ამ საფეხურზე მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა იძლევა ეფექტური ხერხებისა და მიდგომების გამოყენების საშუალებას, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

რა ხერხებს სთავაზობენ მოსწავლეებს მიზნის მიღწევაში. ახსენეს მაორგანიზებელი გრაფიკები, ორმხრივი ჩანაწერის დღიური, ვენის დიაგრამა და სხვ. ცხადია, ასეთი მიდგომები მოსწავლეს ეხმარება სიძნელეების დაძლევასა და სწავლის პროცესის გამარტივებაში.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე და მათი განხორციელების ეტაპებზე დაყრდნობით, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს.

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში. აღნიშნული მტკიცებულებებისა და მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლექსური დავალება) მოსწავლისგან მოითხოვს როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, გეოგრაფიაში წარმოდგენილი დავალებები და ამ დავალებების შეთავაზების საფუძველზე მოსწავლე შეძლებს რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ იყო წარმოდგენილი სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივ კურიკულუმში კომპლესური ტიპის დავალებები რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისი ორიენტირებას ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტი - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში არ არის მოცენული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, სადაც გამოჩნდება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მაგრამ, ინტერვიურების დროს გამოჩნდა მასწავლებლის მზაობა, რომ ჩავთვალოთ ამ კრიტერიუმის შესაბამისობა. სკოლას მიეცა რჩევა, ჩააშენოს საბაზო საფეხურის კურიკულუმებში პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები.

უცხოური ენები - სკოლა 2023-2024 წელს აპირებს განახორციელოს კომპლექსური დავალებები უცხოური ენების საბაზო საფეხურზე. კომპლექსური დავალებები კი იძლევა საშუალებას აქცენტი გაკეთდეს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სკოლამ წარმადგინა კომპლექსური დავალების ბარათის სამუშაო ვერსია, რომლის განხორციელებაც საჭიროებს სამივე კატეგორიის ცოდნის გააქტიურებას. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება.

ქართული ენა და ლიტერატურა - ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, თუ როგორ იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შინაარსს მოსწავლე გაჰყავს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. დეკლარატიულზე, პროცედურულსა და პირობისეულზე. აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი მხოლოდ ფაქტების, თეორიებისა და წესების ცოდნით კმაყოფილდებიან და უწევთ დიდი შრომა მათ გაზრდაზე, თუმცა წარმატებასაც აღწევენ.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, კლუბური მუშაობის დროს განხორციელებული აქტივობები, რომელთა განხორცილებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას.

ესთეტიკური აღზრდა - მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში, მუსიკის მერვე კლასის საგნობრივ პროგრამასა და მეცხრე კლასის თემატურ მატრიცაში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზაზე მოსწავლეს კომპლექსური დავალებები ძალზე ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერდაკავშირებაში. ამიტომ ამ საფეხურზე ჩანს, რომ მასწავლებლები ცდილობენ საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით მოსწავლეებს ასწავლონ, თუ როგორ შეიძლება, ცოდნა დაუკავშირონ ერთმანეთს, ხოლო მისი ურთიერთდაკავშირებით გაზარდონ დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობა.

მათემატიკა - კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიაში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შეფასება ხდება წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე, რაც საფუძველს იძლევა დასკვნების გაკეთების, რომ მოსწავლეების შესაძლებლობები მრავალმხრივად ფასდება, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში საგან მოგალაქეობაში და ისტორიაში არ დასტურდებოდა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლამ წარმოადგინა საზ. მეცნიერების კათედრაზე საგან მოქალაქეობას და ისტორიაში საგნობრივი კურიკულუმი სადაც გამოკვეთილია კომპლექსური ტიპის დავალებები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

სპორტი - საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. ინტერვიუირების დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

უცხოური ენები - სკოლა 2023-2024 წელს აპირებს განახორციელოს კომპლექსური დავალებები უცხოური ენების საბაზო საფეხურზე. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები კი მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოადგინა კომპლექსური დავალების სამუშაო ვერსია, რომლის შესრულება საჭიროებს მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამგვარად, შეიძლება ითქვას რომ სკოლას აქვს მზაობა, შექმნას სასწავლო პროცესი, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლის მიერ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *საგნობრივი კურუკულუმები*
- *კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კომპლექსური დავალების ბარათი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *ფოტომასალა;*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბაზო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვეცნებები განსაზღვავენ კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს და უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების გათავისებას. ამასთანავე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოლოდინების განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. აქაც იგივე პრობლემა იკვეთება, მხოლოდ იქ არის კურიკულუმის თავფურცელის ჩარჩოში მითითებული სამიზნე ცნებები სადაც კომპლექსური დავალება ხორციელდება. თუმცა შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოზე დაყრდნობით გეოგრაფიის მაგალითზე კომპლექსური დავალებების დანერგვა უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ მიდგომას სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესის განხორციელება სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოქალაქეობასა და ისტორიაში არ იკვეთებოდა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირი, არ იყო გათვალისწინებული სამიზნე ცნებები, არ იყო განსაზღვრული თემის ფარგლებში საკითხები. სკოლამ წარმოადგინა და გაითვალისწინა საგან მოქალაქეობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ისტორიიის სწავლებისას გრძელვადიანი მიზნები/სამიზნე ცნებები, გაითვალისწინა საგნობრივი საკითხები გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში.

სპორტი - კურიკულუმეში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მასწავლებლებმა აღნიშნეს, როგორ უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილავენ კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

უცხოური ენები - სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა პირველი და მეორე უცხოურ ენების კურიკულუმები. პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ 1 კომპლექსური დავალების იდეა მე-7 და მე-8 კლასში და 2 მე-9 კლასში. კურიკულუმებში არ ჩანს რა თემების, რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს სკოლა პირველი უცხოური ენის საბაზო საფეხურზე მომავლ სასწავლო წელს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეებთან მიმართებაში კი, თემა, საკითხი და სამიზნე ცნება სწორადაა განსზღვრული. მეორე უცხოურ ენაში წარმოდგენილია მხოლოდ თემები და საკითხები, შესაბამისად რა სამიზნე ცნებები დამუშავდება კონკრეტული თემის ფარგლებში არ ჩანს. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებს ბარათების სამუშაო ვერსია, სადაც სწორად იყო განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ქართული ენა და ლიტერატურა - თემები გრძელვადიან მიზნებზე, ანუ განვითარებად უნარებზე მრავალგზის მუშაობის საშუალებას იძლევა. ხოლო საგნობრივი საკითხები კი - სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საშუალებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისეთ საკვანძო შეკითხვებს სვამენ, რომლებიც აძლიერებენ მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და ეხმარებიან მათ მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში, ეხმარებიან სიღრმისეული აზროვნების გააქტიურებაში. ეს კი მათ პირობისეული ცოდნისკენ უბიძგებს. კურიკულუმები სწორედ ამ პრინციპით აქვთ აგებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბაზო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმში სავალდებულო თემებში, წარმოდგენილი ძირითადი საკითხები ისეა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და ორიენტირებულია მის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები, კომპლექსური დავალებები, ყოველივე ზემოთხსენებული ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესი უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება ოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს.

სპორტი - საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. თემები შერჩეულია ისეთნაირად, რომ დავალებები, აქტივობები, შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას, ააქტიურებს მათ ცოდნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა თვითკონტროლი, ემოციების მართვა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენები - სკოლამ უცხოური ენის საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში წარმოადგინა კომპლექსური დავალების იდეები. რომელთა გათვალისწინებით, მათი განხორციელების ეტაპების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შეიძლება ვივრაუდოთ რომ საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. სკოლა შუალედურ მიზნად იყენებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების ბუნება კი მოითხოვს სკაფოლდინგის მეშვეობით და საკვანძო კითხვების მეშვეობით როგორც კოგნიტურ ისე სოციო-ემოციურ კეთილდღეობაზე ფოკუსირებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობით. შექმნილია მოსწავლეთა უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელშიც იკითხება, რომ სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის შექმნილი, რომ მან მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები. მოსწავლეს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი. ცალკეული მოსწავლეების მხრიდან კონკრეტული დარგით დაინტერესების შემთხვევაში სადამრიგებლო პროექტების ფარგლებში ყველა პედაგოგი უზრუნველყოფს ასეთი ინიციატივების მხარდაჭერასა და შემდგომ რეალიზებას. სკოლამ ცალკე წარმოადგინა მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები. ეს ყველაფერი მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვის გამოხატულებაა. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებდა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ მიზნით ისინი ხშირად ერთად უყურებენ ფილმებს და შემდეგ მსჯელობენ მასზე.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილ შეფასების მასალების (მოსწავლეთა შეფასება სოლო-ტაქსონომიით) გაცნობამ ცხადყო, რომ შეფასებისას მასწავლებლები აქცენტს აკეთებს როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რაც ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ესთეტიკური აღზრდა - 2023-2024 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნას. ცოდნიდან, საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს, სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე, (მუსიკაში და ხელოვნებაში) კომპლექსური დავალება ფასდება მხოლოდ განვითარებელი შეფასებით. მასწალებლთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე და დგინდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები და კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, რომლიდანაც ნათლად გამოჩნდებოდა მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; მიუხედავად ამისა პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ასეთი რუბრიკები სკოლას აქვს და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდება მათი დახვეწა. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი საბაზო საფეხურზე არც განმავითარებელი და არც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების არცერთი ნიმუში, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კათედრის წევრები აღნიშნავენ რომ ჩართულები იყვნენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. კურიკულუმის დოკუმენტის მიხედვით პედაგოგებს განხორციელებული აქვთ კომპლექსური დავალებები, რაც იძლევა იმისი დასკვნის გაკეთებას, რომ გრძელვადიანი სასწავლო მიზნებისკენ მიმავალი შუალედური სასწავლო მიზნები, კრიტერიუმების დამუშავება აუცილებლად მოითხოვს სტატიკურ (დეკლარატიული) და დინამიურ (პროცედურული და პირობისეული) ცოდნათა ჩამოყალიბებას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც წარმოაჩენდა როგორ ხდება მოსწვალის ჰოლისტური მხარდაჭერა გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისად, მხოლოდ გეოგრაფიის მაგალითზე იყო წარმოდგენილი. შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე არ არის წარმოდგენილი ისტორიაში და სამოქალაქო განათლებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტი - ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები იყენებენ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომელიც საჭიროებს დახვეწას და რომლის მზაობასაც გამოხატავს სკოლა.

უცხოური ენები - სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ერთიანი ინსტრუმენტი უცხოური ენების საბაზო საფეხურზე. სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს-შედეგების ინდიკატორებისაგან შექმნილ რუბრიკებს. შექმნილი აქვთ პრეზენტაციის და წერითი დავალების შეფასების რუბრიკები; გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/სრულყოფას. კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემებს დაამუშავებენ მე-2 დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის შეფასების რუბრიკის მიხედვით. რადგან სკოლა გეგმავს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომს სკოლას აქვს მზაობა შექმნას შეფასება, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (კითხვის, წერის, ჩართულობის, ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის) ასევე, გაგვიზიარეს გამოცდილება სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასებისა. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე, 2023-2024 სასწავლო წლიდან თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ გამოავლინა, რომ პედაგოგები იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა, ჩანს მზაობა გაანალიზონ ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის აღქმა-გააზრების

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იყო მოცემული თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, ასევე არ იყო წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, ასევე სხვადასხვა აქტივობების დროს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლამ ასევე წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და ერთი შემაჯამებელი წერის ნიმუში თავისი შეფასების რუბრიკით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თემის ფარგლებში გეოგრაფიაში წარმოდგენილია, არის გამჭირვალე თუმცა სხვა საგნებში აღნიშნული არ არის წარმოდგენილი. ისტორიაში და მოქალაქეობაში არ არის წარმოდგენილი თუ როგორ ფასდება მოსწავლე (შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი)

უცხოური ენები - სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს - შედეგების ინდიკატორებისაგან შექმნილ რუბრიკებს. შექმნილი აქვთ პრეზენტაციის და წერითი დავალების შეფასების რუბრიკები; გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/სრულყოფას. კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემებს დააამუშავებენ მე-2 დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის შეფასების რუბრიკის მიხედვით. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასება სასწავლო პროცესის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები აგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. შესაბამისად, შეფასება ხდება ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, შეფასების სანდოობას განსაზღვრავს.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში არ არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა არსებობს მისი შემუშავების მზაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმით და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავდება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებისს ნარატივში ასევე მასწავლბელებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ სკოლაში შემუშავდება სამომავლოდ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თვითშეფასების ნარატივში საუბარია შეფასების გამჭირვალობაზე მშობლებთან შეფასების ინსტრუმენტების გაზიარებაზე, ასევე გაზიარების ინსტრუმენტებზე თუმცა ამის დასადასტურებლად მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი. **რჩევა** სკოლამ განახორციელოს შეფასების სისტემის პერიოდული მიმოხილვა და აუდიტი, რათა გამოავლინოს ხარვეზები ან გაუმჯობესების სფეროები. ეს შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის რათა ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას, მოსწავლეებთან და მშობლებთან შეფასების კრიტერიუმების, შეფასების რუბრიკების გაზიარებით.

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა, სადაც დაგეგმილი აქვს განხორციელების ეტაპები. ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა ემსახურება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლას ამ ეტაპზე ერთ დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. მასში გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები და ძირითადი მიმართულებები. სასურველია, მომავალ სასწავლო წელს სკოლამ ცალკე დოკუმენტად შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთ მექანიზმებს შექმნის, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით ამისათვის განკუთვნილ სივრცეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი ნარატივიდან ჩანს რომ სკოლაში დაცულია საშუალო საფეხურზე სემესტრული, წლიური ანგარიშები კლასის აკადემიური მოსწრება ხდება ნიშნის ელექტრონული წარმოება ისე მატერიალური სახით. მატერიალური ჟურნალები დაცულია უსაფრთხოდ, კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

უცხოური ენები - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები*
- *კლასების საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები;*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის სასწავლო გეგმა;*
- *კომპლექსური დავალების ბარათი;*
- *კათედრების ოქმები;*
- *პედ. საბჭოს ოქმი;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ვერიფიკაციის მექანიზმი.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში წარმოდგენილი მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა,

მათემატიკა - საბაზო საფეხურის მათემატიკის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი სასწავლო გეგმით და სკოლის თვითშეფასების ფორმით. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასებაში იკვეთება თანამშრომლობის კულტურა, თანამშრომლობა კათედრების მონათესავე თანამშრომლობა ამ ნარატივს ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუშიც აღნიშნეს ურთიერთდასწრება.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრება და ურთიერთშეფასება პედაგოგების მიერ. გარდა ამისა, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფუნქციების გადანაწილება გუნდური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა, ორგანიზება შექმნა. სკოლამ წარმოადგინა ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე საგან მოქალაქეობასა და ისტორიაში არ იყო წარმოდგენილი თუ როგორ წარიმართებოდა მოსწვალეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. კათედრამ წარმოადგინა საგნობრივ კურიკულუმში მოქლაქეობასა და ისტორიაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი კომპლექსური ტიპის დავალებების განსაზღვრით.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორინტირებულად, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ხმა და არჩევანი, რასაც უზრუნველყოფს კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწვალის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია კომპენტეციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებული პროექტებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი.

მათემატიკა - საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებებით მათემატიკის სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაშიც და მასწავლებელებთან ინტერვიურების დროსაც, იკვეთება თანამშრომლობის კულტურა, ურთიერთდასწრება კათედრაზე აზრის გაზიარება, კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემა, რასაც ადასტურებან კოლეგები ინტერვიურების პროცესში

უცხოური ენები - სკოლაში პირდაპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუ, მათ მიერ განხორციელებული და წარმოდგენილი და სასკოლო აქტივობები და პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოებს წევრებს შორის.

მათემატიკა - მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიურების პროცესში იგრძნობოდა კოლეგებს შორის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. რასაც ნარატივშიც აღწერენ.

უცხოური ენები - სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღ და პოზიტიურ კლიმატის შექმნა სკოლაში. სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ასევე, სასკოლო საზოგადოებაში დანერგილია წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. ასევე თანამშრომლობასა და ურთიერთპატივიცემაზე დაფუძნებული გარემოს ორგანიზება და შენარჩუნება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კათედრის სხდომის ოქმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებზე. წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკის მიხედვით გაცემული რეკომენდაციებიც მონიტორინგის მექანიზმებია. სკოლას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ახალი სასწავლო წლიდან გაწერს თუ როგორ ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რითაც სრულყოფილად წარმოაჩენს მეთოდოლოგიის არსს. მასწავლებლებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მონიტორინგს უფრო სპონტანური ხასიათი აქვს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას ზეპირსიტყვიერად სასწავლო წლის ბოლოს, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას, რომელიც განპირობებულია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: მონაცემების მიზნობრიობის, მათი შეგროვებისა და ვადების განსაზღვრით, რაც ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მასწვლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები მუსიკა/ხელოვნება წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება, თუმცა ინსტრუმენტები თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის განვითარების განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვება. კათედრაზე განხორციელდა გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, ასევე, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესი. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სადაც აღწერს რომ „ურთიერთშეთანხების შედეგად ხდება კურიკულუმის დანერგვა, რაც გულისხმობს შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება: მოსწავლის (ნანო) დონე, მასწავლებლის (მიკრო დონე), სკოლის (მეზო) დონეზე. თითოეულ დონეზე მიმდინარე პროცესებს მასწავლებლები აღწერენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების მიხედვით. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. სკოლა ვალდებულია განახორციელოს გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც განისაზღვრება და დგინდება მიმდინარეობს და სრულდება თუ არა კურიკულიუმით დადგენილი პროცესები. აღნიშნული პროცესების დროს ხდება, როგორც დადებითად შესრულებული, ისე არასრულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულებული საკითხების გამოკვლევა და შეფასება. სკოლის მიერ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას წინა წლების გამოცდილება. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე''.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** არსებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. დირექციის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს.

უცხოური ენები - კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით ასევე მოხდება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლა აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა, თუმცა როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა უფრო მეტად ემსახურება პრობლემის იდენტიფიცირებას, ხოლო როგორ ხდება იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრა ბუნდოვანია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი და შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები.

უცხოური ენები - კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს შეუწყობს პრობლემის განსაზღვრასა და გადაჭრის გზებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმი;*
- *განმავითარებელი შეფასებები;*
- *კომპლექსური დავალება ,,ცხოველები მუსიკაში,, შეფასება;*
- *განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასებები დონეების მიხედვით;*
- *სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე, რომელიც წარმოაჩენს წყაროებს, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. თუმცა სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყობს მათ გამოცდილებას და მზაობას შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ისე სასკოლო დონეზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. სკოლას აქვს შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ამჟამად სკოლა საბაზო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე, კომპლექსური დავალებისთვის. გეოგრაფიის მაგალითზე წარმოდგენილია თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ასევე წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში შეფასებისას გათვალისწინებულია მხოლოდ ზოგიერთი კონტექსტი, ისეთები როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწარება, მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, თუმცა შეფასების ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა მათი მზაობა შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინების.

ესთეტიკური აღზრდა - როგორც სკოლის ავტორიზაციის მაძიებლის ფორმაში ვკითხულობთ 2022-23 წელს სკოლას არჩეული ჰქონდა მუსიკა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ ყველა მოსწავლე შეაფასეს ზეპირი განმავითარებელი შეფასებით. სკოლა იყენებდა შეფასების პირველ მოდელს. VII-IX კლასები სისტემატიურად ფასდებიან როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებებით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე აძლევდნენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს, ასევე აქვთ წინასწარ შემუშავებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და იმის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აფასებენ. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის უკეთ დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივ კურიკულუმში არ იყო წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფდა. სკოლა ადასტურებს რომ მან გაითვალისწინა აღნისნული მიდგომა გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების წარმოდგენით.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში, ამიტომ, ცდილობენ გააუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს, რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. ასევე გასაუბრებისას აღნშნეს, რომ შეფასებისას გამოიყენებენ მულტიფაქტორულ მიდგომას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმები.*
- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.,*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე.*
- *უცხოური ენის კათედრის სხდომის ოქმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** გამოიკვეთა კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომლის შერულებასაც კათედრა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს და გასათვალისწინებელია, რომ კონსტრუქტივიზმის ყველა პრინციპზე იყოს ნაფიქრი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

ესთეტიკური აღზრდა - მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში იკითხება რომ შემუშავების პროცესშია. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად თანამშრომლობენ ქოუჩებთან, აქვთ მათგან მხარდაჭერა და მათთან თანამშომლობით ინერგება სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი. მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს რომ კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელებასთან ერთად. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა, რომელიც ემსახურება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ვინაიდან, კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე.

ესთეტიკური აღზრდა - ამ ეტაპზე აქტიურად მიმიდინარეობს სამუშაო პროცესი კუკრიკულუმების დახვეწაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში შემუშავებულია წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი, (სკოლა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტს შეიმუშავებს) კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას წინა წლების გამოცდილება. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სასკოლო კურიკულუმი ხელოვნება/მუსიკა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *თვითშეფასების კითხვარი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☐ **შეესაბამება** **▉ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	▉ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ▉ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ▉ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	▉ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლას არ წარმოუდგენია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მონაწილეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. წარმოდგენილი აქვთ კურიკულიმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (პროექტი),

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების კითხვარი, რომელშიც ჩანს, რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები და მათ საფუძველზე ხდება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავება. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები მუდმივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფორმირებული არიან საკუთარი შვილების მიღწევებზე. მოსწავლეებს და მათ მშობლებს ეგზავნებათ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ბარათები და პედაგოგები ითვალისწინებენ თითოეულ უკუკავშირს. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება გამახვილებულია კონცეპტუალურ ჩარჩოზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, კურიკულუმის დიზაინზე, კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულებსა და შუალედური სასწავლო მიზნებსა და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებზე. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის რევიზიის, განვითრების პროცესში იხელმძღვანელებს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული უკუკავშირების საფუძველზე, ასევე დაეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, რაც ნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების კითხვარი, რომელშიც ჩანს რომ კურიკულუმების შექმნის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შედეგები და მათ საფუძველზე ხდება მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავება. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებული არიან საკუთარი შვილების მიღწევებზე. მშობლებს ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად, მისი განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ნამდვილად გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს წინა წლის სასწავლო პროცესზე დაკვირვების, ანალიზისა და შეფასების გათვალისწინებით, ასევე, მოსწავლეთა შედეგებზე დაყრდნობით, ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებითაა შემუშავებული მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. სკოლის ნარატივიდან ცხადი ხდება, რომ მშობლები მასწავლებლებისა და დამრიგებლების საშუალებით მუდმივად ეცნობიან საკუთარი შვილების მდგომარეობას. მშობლებს ეგზავნებათ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი კომპლექსური დავალების ბარათები, სკოლა იღებს უკუკავშირს და მისი გათვალისწინებით დავალება იცვლის ფორმასა თუ შინაარსს.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმაში და გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების პროირიტეტები, ასევე წარმოჩენილია საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში.

მათემატიკა - სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი, საიდანაც ირკვევა, რომ ცალკეული მასწავლებელი ვალდებულია სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიის მაგალითიდან ჩანს, რომ ახალი კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი სასწავლო წლის კურიკულუმების გაანალიზება და მის საფუძველზე ახალი კურიკულუმების შექმნა მოსწავლეთა, მშობელთა და კათედრის წევრთა ჩართულობით. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს და მასზე დაფუძნებით სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას, ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში შეიძლება ვთქვათ, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების ასახვა ზემოთ აღნისნული საგნის კურიკულუმშიც. საგან ისტორიაში და სამოქალაქო განათლებაში მასწავლბელებთან ინტერვიუს დროს დგინდება, რომ ახალი სასწავლო წლიდან ამ საგნებშიც იქნება ასახული.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშორმობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სასკოლო კურიკულუმში კარგად ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები მკაფიოდ იკვეთება სასკოლო კურიკულუმში. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ მექანიზმებიდან, რომლის საშუალებითაც შექმნილი და შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი. თითოეული მასწავლებელი ამ პროცესში თავის როლს თამაშობს. სასკოლო კურიკულუმის ამსახველ მასალებს დროულად უგზავნის დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილავს ყველა იმ ცვლილებას, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რადგან მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კათედრაზე განიხილავენ კურიკულუმს, განსახორციელებელი კომპლექსური დავალების ადაპტირებას სსსმ მოსწავლისთვის და მისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში ჩართულია სპეცმასწავლებელი.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის საგნობრივი (მათემატიკა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია მათემატიკის კათედრაზე და მის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრების აზრია გათვალისწინებული, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტით და პედაგოგებთან ინდივიდუალური ინტერვიუებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ნარატივში კურიკულუმის თავდაპირველი ვერსიის შემუშავებაზე არაფერია ნათქვამი, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ასევე მზაობა ამ ჩართულობის გასაძლიერებლად წარმოდგენილია სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, სასკოლო კურიკულუმი მომზადდა სასკოლო საზოგადოების შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად ზემოთაღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი. სასკოლო განვითარების გეგმის შემუშავება ხდება სკოლის პერსონალის სრული ჩართულობით, ანუ დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემუშავება ხდება მხარეთა მონაწილეობითა და წარმოდგენილი საკითხების ანალიზის შედეგად მიღწეული შეთანხმებებით. კურიკულუმს გეგმავს მთელი სკოლის პერსონალი და არა ერთი მასწავლებელი. ცალკეული მასწავლებელი ვალდებულია სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები, დროულად გაუგზავნოს დირექტორს, მის მოადგილეებს და სამეურვეო საბჭოს წევრებს. მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

ქართული ენა და ლიტერატურა - დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია კათედრაზე. მის საბოლოო სახით შემუშავებაში გათვალისწინებულია საზოგადოების სხვა წევრების აზრი, ინტერესები და პრიორიტეტები. ეს ყველაფერი დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარისა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტით, პედაგოგებთან გასაუბრებაც ამის დასტურია. ამ კრიტერიუმით სკოლა შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად. ისინი აღნიშნავენ, რომ საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმის დანერგვას, გარდა ამისა, კურიკულუმი ხელმისაწვდომი და საჯაროა ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რასაც სოციალური ქსელით და საზიარო ღრუბლოვანი სივრცით.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში საშუალო საფეხურზე აქტიურად იყო კათედრა ჩართული ასევე იკვეთება სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში გაძლიერება. სკოლა ასევე მიზნად ისახავს უფრო მეტი აქცენტების გამოკვეთას ახალი სასწავლო წლიდან და მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. შესაძლოა ითქვას, რომ ეს კომპონენტი დაკმაყოფილებულია.

უცხოური ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების მიერ კურიკულუმის გაზიარების მექანიზმი. სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი გაკვეთილის ჩატარებასთან ერთად ვალდებულია აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშორმობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ნათლად ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. ამდენად იგი გაზიარებულიცაა სასკოლო საზოგადოების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *უცხოური ენის კათედრის სხდომის ოქმი;*
- *სასკოლო სასაწავლო გეგმა.*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო ყველა საგნის (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

ესთეტიკური აღზრდა - საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკა. სკოლას აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული ეტაპები, მაგრამ არ აქვს წარმოდგენილი 2023-2024 წლის კურიკულუმი, მასწავლებლემა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ იგივე პროექტებს განახორციელებენ მუსიკაში, რაც წინა წელს ჰქონდათ, რადგან ამით სასურველ შედეგზე გავიდნენ. ყოველივე ზემოთხსენებულის დაყრდნობით ინდიკატორთან მიმართით დადგინდეს შესაბამისობა

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულემებში არაა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი არცერთი კომპლექსური დავალება, ასევე არაა თემის ფარგლებში მისაღწევი სამიზნე ცნებების და ქვეცნებების ჩამონათვალი. პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ და აქვს კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. საჭიროა, რომ სკოლამ ეს გამოცდილება ასახოს სასკოლო მათემატიკის კურიკულუმებში და და რამდენიმე სასწავლო თემა განახორციელოს კომპლექსური დავალებების დახმარებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების, კერძოდ გეოგრაფიის მაგალითზე სკოლის მიერ წარმოდგენილი ნარატივისა და მასწავლებელთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და საგნობრივ ჯგუფის მასწავლებელებთან გასაუბრების შემდეგ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ეფუძნება ესგ-ს და საგნობრივ სტანდარტებს, ასევე გათვალისწინებულია სასკოლო თემის და საზოგადოების ინტერესები. კურიკულემებში არ იყო წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი არცერთი კომპლექსური დავალება, ასევე არ იყო განსაზღვრული თემის ფარგლებში მისაღწევი სამიზნე ცნებების და ქვეცნებების ჩამონათვალი. საზ. მეცნიერების მიერ შემუშავებული კურიკულუმი/ები საგან ისტორიაში და მოქალაქეობაში არ წარმოადგენდა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. სკოლამ უზრუნველყო ზემოთაღნისნულ საგნობრივ კურიკულუმებში სამიზნე ცნებების/გრძელვადიანი მიზნების შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმის წარმოდგენა

სპორტი - ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკური აღზრდა და სპორტი საშუალო საფეხურის 10-12 კლასების კურიკულუმის შესწავლისას გამოიკვეთა რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კოპლექსური დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის მიღწევისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომდევნო სასავლო წელს იგეგმება არსებული კურიკულუმების გადახედვა, ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და კომპლექსური დავალებების შედგენა. სკოლას მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნოს ელექტრონული რესურსები, რადგანაც საშუალო საფეხურზე ჯანსაღი ცხოვრების თემის ფარგლებში კურიკულუმებში მოცემულია იგივე პრეზენტაციის ლინკი, რაც დაწყებით და საბაზო საფეხურზე.

უცხოური ენები - სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა პირველი და მეორე უცხოურ ენების კურიკულუმები. პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ თემები. არ ჩანს რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს სკოლა პირველი უცხოური ენის საშუალო საფეხურზე მომავლ სასწავლო წელს. კურიკულუმებში მეორე უცხოურ ენაში წარმოდგენილია მხოლოდ თემები და საკითხები, შესაბამისად რა სამიზნე ცნებები დამუშავდება კონკრეტული თემის ფარგლებში არ ჩანს. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებს ბარათების სამუშაო ვერსია, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ითქვას რომ სკოლას აქვს მზაობა მოამზადონ 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლის კურიკულუმები დაეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმი შედგენილია სახელმძღვანელოზე დაყრდნობით. შერჩეულია სავალდებულო მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საუკეთესოდ ასახავენ მათი თანადროული ეპოქების სპეციფიკას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკურ შეხედულებებს. წარმოდგენილ მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს, საკითხთთა მრავალფეროვნებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კონტექსტ-მაგალითებად შეარჩიეს ისეთი მხატვრული თუ არამხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც იწვევს მოსწავლეთა დიდ ინტერესს ან რაღაც ნიშნით არის მამოტივირებელი ახალი ცოდნის მიღებისა, მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის კითხვისა. სასურველია, მომავლი სასწავლო წლიდან მეტი ყურადღება მიაქციონ, გარდა მითითებული სასკოლო სახელმძღვანელოსი, თემასთან შესაბამისი სხვა მრავალფეროვანი რესურსების შერჩევას.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისად, საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო ყველა საგნის (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) კურიკულუმში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნება ზუსტად არის მიმართული სამიზნე ცნებასა და საკითხზე. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების.

ესთეტიკური აღზრდა - საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულო პროექტული სწავლების სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტული სწავლების სახით არჩეული ჰქონდა მუსიკა. სკოლას წარმოგდენილი აქვს მტიცებულების სახით, პროექტის მიზანი და მისი აღწერა ასევე ის აქტივობები, რაც პროექტის მსვლელობის დროს განხორციელდა, თუმცა არ აქვს წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა. სკოლამ ინტერვიუს დროს აღნიშნა რომ მომავალ სასწავლო წელს იგივე პროექტს განახორციელებს მუსიკაში, რაც წინა სასწავლო წელს განახორციელა, ეროვნული იდენტობა და ეროვნული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში.“ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში რა პროექტი განხორციელდება ჯერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

არ არის ცნობილი, მასწავლებელმა ინტერვიუს დროს გამოთქვა მოსაზრება, რომ მას სიღრმისეულად სურს თითოეული პროექტის გაცნობა და გააზრება და სექტემბრამდე ის გაამზადებს მასალას თუ რომელ პროექტსაც განახორციელებს, პროექტული სწავლება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) თუმცა ეს ყველაფერი არ არის სრულყოფილად წერილობით ჩამოყალიბებული და მხოლოდ ინტერვიუს დროს იკვეთება ამიტომ შესაბამისობასია ინდიკატორთან.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მე-10 და მე-12 კლასების მათემატიკის კურიკულუმებში არ იყო ჩაწერილი 2023-2024 სასწავლო წელს განსახორციელებელი არცერთი კომპლექსური დავალება, ასევე არ იყო თითოეული შესასწავლი თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა მე-10 კლასის შესწორებული კურიკულუმი, რომელშიც სწორად და ზუსტადაა ჩაწერილი მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება თავისი ქვეცნებებით. ამ კურიკულუმში ასევე გაწერილია განსახორციელებელი კომპლექსური დავალება. რაც შეეხება მე-12 კლასის კურიკულუმს იგი წარმოდგენილია ისევ ძველი ფორმით. რადგან სკოლამ ახალი მასალებით წარმოადგინა მე-10 კლასის სწორად და კარგად შევსებული კურიკულუმი, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სკოლის საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრას აქვს შესაძლებლობა სწორად წარმართოს სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურის სამივე კლასში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზ. მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა სრულყოფილი სახით გეოგრაფიის კურიკულუმი რომელიც ესგ-ის და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს ეფუძნება. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება კურიკულუმების საფუძველზე იგეგმება, შესაბამისად პედაგოგები იზიარებენ კურიკულუმების მნიშვნელობას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელების საქმეში. მოქლაქეობაში და ისტორიაში კურიკულუმები არ არის სრულყოფილი, დამუშავების პროცესშია, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად გამართავენ აღნიშნულ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოს. საზ. მეცნიერების კათედრაზე გეოგრაფიის საგნის მაგალითზე საგნის კათედრაზე არის პოტენციალი კოლეგებმა ურთიერთდახმარებით შეძლონ კურიკულუმის ჩარჩოს დახვეწა/სრულყოფა. აღნიშნული ხაზგასმულია კურიკულლუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. ისტორიის და მოქალაქეობის კურიკულუმები არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი სამიზნე ცნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტი - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმის განხორციელების პროცესში გაწერილია თემებთან შესაბამისი სპორტული ინვეტარი და სასწავლი ელექტრონული რესურსები, რაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლი გეგმის გრძელვადიან მიზნებზე გასვლის წინაპირობაა

უცხოური ენები - სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმადგინა პირველი და მეორე უცხოურ ენების კურიკულუმები. პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ თემები, რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს სკოლა პირველი უცხოური ენის საშუალო საფეხურზე მომავლ სასწავლო წელს კურიკულუმებში არ ჩანს. მეორე უცხოურ ენაში წარმოდგენილია მხოლოდ თემები და საკითხები, შესაბამისად რა სამიზნე ცნებები დამუშავდება კონკრეტული თემის ფარგლებში არ ჩანს. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალების ბარათების სამუშაო ვერსია, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა მოამზადონ 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმები, რომლებიც მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ, ორიენტირებული იქნება მოსწავლეს განუვითაროს გლობალურ-ფუნქციური უნარები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სკოლის კურიკულუმები დაეყრდნობა კომპლექსურ დავალებებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, რეფერატი, ნარკვევი, მემუარი, რაც, თავისთავად, იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეს სასწავლო პროცესში განუვითარდეს გლობალურ-ფუნქციური უნარები, გამოიყენოს დასწავლის სხვადასხვა სტრატეგია. შერჩეული ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები ეხმარება მოსწავლეს მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და კულტურული ცნობიერების ამაღლებაში. მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაცია, თემასთან და შესასწავლ საკითხთთან დაკავშირებით მიზნობრივად შეირჩეს ისეთი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ფუნქციური კომპეტენციების განვითარებაში.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სსსმ პირთათვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც წარმოდგენილია დიფერენცირება, როგორც შინაარსის, ისე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მათი განხორციელების პროცესი.

ესთეტიკური აღზრდა - საშაულო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყეებითი ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულო პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტით სწავლება არჩეული ჰქონდა მუსიკაში პროექტის მიზანი და აქტივობები სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით, სკოლას წარმოდგენილი არ აქვს 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროექტში მუშაობის დროს მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური და დიფერენცირებული დავალებევბი ხორციელდებოდა ეტაპების დროს. შესაბამისად, დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგაბში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორტან მიმართების დგინდება შესაბამისობა.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილია მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ კათედრა ავალდებულებს თითოეულ პედაგოგს წარმოადგინოს ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები. ცხადია ამ კრიტერიუმებში გათვალისწინებული იქნება დიფერენცირებული მიდგომები და მოსწავლეთა ინდივიდუალიზმი. მასწავლებლებთან ინტერვიუთი და სკოლის თვითშეფასების მიხედვით გამოიკვეთა რომ სკოლას ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელი აქვს საკუთარი გამოცდილება. კერძოდ პედაგოგებმა ჩაატარონ საჩვენებელი გაკვეთილები, სკოლამ იზრუნოს პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - თვითშეფასების ნარატივში და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი ჩარჩოს გეოგრაფიის საგნის კურიკულუმის მაგალითზე და კათედრასთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა დიფერენცირებული მიდგომები, კათედრამ წარმოადგინა ინდ. გეგმები თუმცა არა სრულყოფილი, მომდევნო სასწავლო წლიდან დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით თითოეულ კურიკულუმში გაწერილი თემების დაფარვა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად, საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრაზე გასაუბრებისას ისაუბრეს როგორ გააუმჯობესებენ ამ პრაქტიკას ზემოთაღნიშნულის საფუძველზე. შესაძლოა დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესებენ ამ მიმართულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტი - ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა მომავალში უზრუნველყობს ფიზიკური აღზრდის სასწალო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნა (მე-4 კლასის სსსმ მოსწავლის მაგალითი უკვე გადმოგზავნილია) და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, მომავალში სასურველია ნათლად აისახოს სასწავლო გეგმებში და მოსწავლეების საჭიროებებისადმი ჩაშენებული იყოს კომპლექსურ დავალებებში რაც უზრუვნელყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცეში.

უცხოური ენები - სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმეტაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში გთვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლება. სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში უცხოურ ენებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი რესურსებში იკვეთება დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სკოლამ ასევე მოგვაწოდა სამუშაო ვერსია კომპლექსური დავალების ბარათის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით, სადაც ჩანს დიფერენცირებული სწავლების მიდგომები.

ქართული ენა და ლიტერატურა - სწავლების ერთ-ერთ ძლიერი მხარედ მოსწავლეთა ინდივიდუალური მხარდაჭერა ითვლება. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მხარდაჭერა განსაკუთრებით პრიორიტეტულია ამ საფეხურზე. მოსწავლეებისათვის შექმნილია თავისუფალი გარემო, სადაც ისინი საგნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად, ინტერესებიდან გამომდინარე, განიხილავენ ფილმებს, კლასგარეშე საკითხავ მხატვრულ ლიტერატურას, მსჯელობენ ცხოვრებისეულ საკითხებზე, დღევანდელი დღისთვის აქტუალურ საკითხებზე. ახორციელებენ პროექტებს, რომელიც მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ გათავისებული და გააზრებული აქვთ, რომ შეფასება გარდა იმისა, რომ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ახდენს მათი მიღწევების შეფასებას, ასევე, უნდა უზრუნველყოს სწავლის პროცესის გაუმჯობესება.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტული სწავლება, რომელიც სკოლას მეათე კლასში არჩეული ჰქონდა საგანი მუსიკა, პროექტის განხორციელების დოკუმენტაცია სკოლას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულების სახით, ასევე სკოლამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასების რუბრიკა თუ როგორ შეაფასა განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები. ასევე პროექტის მსვლელობისას მასწავლებელი ყველა გაკვეთილზე მოსწავლეებს აძლევდა განმავითარებელ კომენტარს, რომლებიც ეხმარებოდათ მოსწავლეებს პროგსების საწარმოებლად. ყოველივე ზემოთქმულით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს და ინდიკატორის მიმართებით დგინდება შეესაბამება.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იყო მოცემული თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, ასევე არ იყო წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, ასევე სხვადასხვა აქტივობების დროს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლამ ასევე წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და ერთი შემაჯამებელი წერის ნიმუში თავისი შეფასების რუბრიკით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს – საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი შეფასებების შედეგების მიხედვით. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია გეოგრაფიაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კოლეგებთან გასაუბრების დროს აღნიშნავენ რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მომდევნო სასწავლო წლისთვის ყველა თემის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით სასწავლო პროცესის წარმართვა, თუმცა კათედრის სხვა საგნებში არ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება არ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს მოქალაქეობასა და ისტორიაში

სპორტი - ინტერვიუს დროს გამოჩნდა მასწავლებლების მზაობა მომავალში გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ ეტაპზე პედაგოგები იყენებენ სიტყვიერ განმავითარებელ შეფასებას, მათ არ აქვთ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები ფიზიკურ აღზრდაში. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშავონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რადგან წერილობით კომენტარები დაეხმარებათ მათ თითოეული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე უფრო სიღრმისეული წარმოდგენის შექმნაში და მისი პროგრესის დაფიქსირებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უცხოური ენები - საშუალოო საფეხურზე პირველ უცხოურ ენის კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, ასევე არ არის წარმოდგენილი თემასთან მიმართებაში რომელი საკითხები და სამიზნე ცნებები დამუშავდება. თუმცა, სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათის სამუშაო ვერსია, სადაც სწორად იყო გააზრებული თემასთან და საკითხთან მიმართებაში სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. კომპლექსური დავალების ბარათს თან ახლდა შეფასების რუბრიკები როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. აღნიშნული შეფასების რუბრიკები მიემართებოდა გრძელვაიან მიზნებს და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ქართული ენა და ლიტერატურა - გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში კარგად იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმებს. შეფასების შედეგებს საშუალო საფეხურზე ხშირად განიხილავენ დირექციასთან, პერიოდულად აანალიზებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. გასაუბრებისას მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, რომ ავტორიზაციის პროცესში შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაამუშაონ კომპლექსურ დავალებებთან კავშირში სამიზნე ცნებების გათვალისწინებით და ახალი სასწავლო წლიდან აქტიურად გამოიყენონ.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში არ არის გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. მასწავლებლებთან ინტერვიუს მეშვეობით არ გამოიკვეთა, როგორ ხდება, რა გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, კურიკულუმის განვითარება, რამ განაპირობა ცვლილებები წლევანდელ კურიკულუმში. თუმცა არსებობს იმის მზაობა მასწავლებლებში, რომ მოახდინონ რეფლექსია და ცვლილებები გახდეს მიზანმიმართული

ესთეტიკური აღზრდა - კათედრამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სავალდებულო პროექტის შერჩევისას პრიორიტეტი მიანიჭა ისეთი თემის არჩევას, რომელიც მოსწავლეებს გაუღრმავებდა ცნობიერებას. ეტაპების განხილვისას მოსწავლეების საბოლო შექმნილი პროდუქტი აქვთ წარმოდგენილი მაგრამ არ არის გაწერილი მომავალი 2023-2024 წლის პროექტის დასაბუთებული მტკიცებულებებში კათედრას საშუალო საფეხურზე, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშერს, რომ კვლავ ამ პროექტს განახორციელებდნენ ახალ მეათე კლასში რადგან სასურველ შედეგზე გავიდნენ, ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლის თვითშეფასების კითხვარით და სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, ასევე USAID-ის დაწყებითი განათლების პროექტში, ამიტომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო თემის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

კომპლექსური დავალების დახმარებით განხორციელებაში. შესაბამისად, ახალ სასწავლო წელს მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საშუალო საფეხურზე კათედრაზე მასწავლებელების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების (შუალედური სასწავლო მიზნები) ფარგლებში შექმნილი პროდუქტები მოითხოვენ მოსწავლეების აქტიურ და შემოქმედებითი უნარების წარმოჩენას, მათ წინარე ცოდნის გააქტიურებას, რაც ნათლად ჩანს გეოგრაფიის კურიკულუმის მაგალითზე. საშუალო საფეხურზე საგან მოქალაქეობის და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში არ იყო გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. შესაბამისობის გეგმასთან ერტად წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ აღნიშნული საგნის კურიკულუმებში, ახლა უკვე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებული გამოცდილება /ანალიზი.

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმიებიდან არ ჩანს, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ წარმატებულ გამოცდილებას, წინარე ცოდნას და ორიენტირებულები არიან შედეგების გაუმჯობესებაზე. მაასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ მომავალში ჩაატარონ უფრო სიღრმისეული წინარე გამოცდილების ანალიზი.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. გამოცდილებისა და შედეგების გაზიარება ხდებოდა სიტყვიერად. თუმცა, სკოლას უკვე შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მექანიზმი, რის საფუძველზეც მოხდება მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვა.

ქართული ენა და ლიტერატურა - სასკოლო სასწავლო გეგმისა (სასკოლო კურიკულუმის) და საგნობრივი კურიკულუმების გაცნობისას ცხადი გახდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს. საშუალო საფეხურისათვის შექმნილია ახალი სტანდარტი. წინარე გამოცდილებამ კარგი საფუძველი ჩაუყარა სტანდარტის შესაბამისად ახალი კურიკულუმის დაგეგმვასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მის მორგებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *საგნობრივი კურუკულუმები*
- *ინდ. გეგმები*
- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები;*
- *მუსიკა- მე-5 კლასში შემაჯამებელი დავალების ნიმუში და შეფასების რუბრიკები*
- *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება განხორციელებული პროექტი „ ჩემი საქართველო“*
- *მუსიკაში მეხუთე კლასში და მერვე კლასის თემატური მატრიცა*
- *სავალდებული პროექტული სწავლების მუსიკა - პროექტის მიზნები და ეტაპები რაც განხორციელდა სწავლების დროს.*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *საგნობრივი ჩარჩო დოკუმენტები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *კომპექსური დავალების ბარათები*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებუის მეთოდოლოგია,*
- *შვიდწლიანი განვითარების გეგმა.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობა იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან შუალედურ მიზნები ზოგიერთ თემასთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, აუმაღლებს თვითეფექტურობას და ზრდის შინაგან მოტივაციას. ამის გარდა, განხორციელებული პროექტები საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმებით პროცესში.

ესთეტიკური აღზრდა - კათედრასთან ინტერვიუს დროს ასევე წარმოდგენილი დოკუმენტით, სადაც აღწერილია პროექტის მიზანი და განხორცილებული აქტივობები, გაირკვა, რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, თუმცა სკოლას არ აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში კი იგივე პროექტის განხორციელებას გეგმავენ რაც 2022- 2023 სასწავლო წელს განახორციელეს. აქედან გამომდინარე მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. ინდიკატორთან მიმართებით დასკვნის სახით შესაბამისობა დადგინდეს,

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მომავალ სასწავლო წელს განხორციელდება ორი კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალება (ყოველ სემესტრში ერთი). ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს_სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ იძლლეოდა იმის დადგენის საშუალებას, უზრუნველყოფდა თუ არა სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამკსობი სგეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა სასწავლო კურიკულუმი საზ. მეცნიერებების კათედრაზე, სადაც წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომელიც იძლევა შესაძლებლობას სასწავლო პროცესი იყოს აქტიური და შემოქმედებითი.

სპორტი - წარმოდგენილი დოკუმენტები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ, იძლევა თუ არა სასწავლო პროცესი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრა აპირებს გაითვალისწინოს მოსწავლეების აზრი, მხარი დაუჭიროს მოსწავლეების ინიციატივებს და მათ განხორციელებას. მაგრამ რა ფორმით არ არის დაკონკრეტებული. კათედრას მიეცა რეკომენდაცია, დაგეგმონ და განახორციელონ პროექტები, არაფორმალური აქტივობები იმგვარად, რომ ნაცნობ კონტექსტში მოხდეს ახალი ინფორმაციის მიწოდება, ნაცნობი თემატიკის ირგვლივ ახალი ცოდნის კონსტრუირება.

უცხოური ენები - საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები. მაგრამ სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს, რომ სკოლა უცხოური ენების საშუალო საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, რომელიც საინტერესო დავალებას სთავაზობს მოსწავლეებს. ამავე დროს, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული კომპლექსური დავალებების ამსხველი ფოტო მასალა, რომლებზეც ჩანდა მოსწავლეების შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შედეგი. ამგვარად, სკოლას ნამდვილად აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს, სადაც მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებთ პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა მიეცემა.

ქართული ენა და ლიტერატურა - გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ, რომ მოსწავლეებს განუვითარონ გამომგონებლობის უნარი. პროექტების საშუალებით ახერხებენ შემოქმედებითი ძალების გააქტიურებას და მათი სწავლის, ახლის შეცნობის მოტივაციის ამაღლებას. ამისთვის იყენებენ ისეთი ტიპის დავალებებს, როგორიცაა: გააგრძელე მოთხრობა, შეცვალე მთავარი გმირი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გამოიგონე ახალი პერსონაჟი, მისწერე წერილი ავტორს, მოიფიქრეთ, მასალიდან გამომდინარე, ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი მოსაზრება და სხვ.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რასაც ადასტურებს სასწავლო პროცესში გამოყენებული და მასწავლებლების მიერ აღწერილი აქტივობები. ამას ასევე უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებების კონტექსტი.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აქვს წარმოდგენილი, მაგრამ არ აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები მუსიკაში. თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლები მსჯელობენ, რომ იგივე პროექტს განახორციელებენ 2023-2024 წლებში, რაც წინა სასწავლო წელს განხორციელდა. შესაბამისად, საბაზო საფეხურზე მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება საბაზო საფეხურზე ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.

მათემატიკა - სკოლა 2021-2022 წლებში ჩართული იყო „ახალი სკოლის“ მოდელში, რომლის ფარგლებში მოხდა კომპლექსური დავალებების განხორციელება სხვადასხვა კლასებში და შესაბამისი გამოცდილების მიღება. საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო პროცესი ასევე წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო თემები თანმიმდევრობა ისეა წარმოდგენილი, რომ ყოველი ახალი თემის შესწავლა მოითხოვს წინარე ცოდნის საფუძვლიან ცოდნას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზ. მეცნიერებების კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტები არ იძლეოდა შესაძლებლობას განგვესაზღვრა თუ როგორ უნდა წარმართულიყო სასწავლო პროცესი, როგორ იქნებოდა გათვალისწინებული მოსწავლის ჩართვა შემოქმედებით პროცესში. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები სადაც განსაზღვრა კომპლექსური დავალებები, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფს გრძელვადიანი მიზნის მიღწევას და მეორეს მხრივ დავალება შემოქმედებით პროცესს გააქტიურებს სწავლა-სწავლების პრიცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სპორტი - სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების საშულო საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების ბუნება კი გულისხმობს ახალი ცოდნის შეძენას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, სადაც სწორად და საინტერესოდ იყო ჩამოყალიბებული დავალების პირობა, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ ახალი ცოდნის მიღება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით მოხდეს.

ქართული ენა და ლიტერატურა - მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა იმის დანახვის საშუალებას, რომ აშკარად დაინახო გზა, თუ როგორ მიჰყავს მას მოსწავლე ახალი ცოდნისა და უნარების დაუფლებისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ ნაცნობი, უკვე გაკვალული ბილიკებიდან ჯერ კიდევ უცნობ, გაუკვალავ გზაზე. ამას საფუძველს უმზადებს მკაფიოდ გაწერილი მიზანი, რისკენაც მიჰყავს მასწავლებელს მოსწავლე. ამის ამოკითხვის საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმში მოცემულმა კომპლექსურმა დავალებებმა და მასწავლებელთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს უსვავენ მეტაკოგნიტურ კითხვებს და ხელს უწყობენ მოსწავლეების რეფლექსიას.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აქვს აღწერილი, არ აქვს წაროდგენილი2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები. მასწავლებლები ინტერვიუს დროს საუბრობენ, რომ ისინი იგივე პროექტის განხორციელებას გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს, რადგან გავიდნენ სასურველ შედეგზე. შესაბამისად დგინდება თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებში სწავლის სწავლის უნარების ხელშეწყობას.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მომავალ სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სპორტი - სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს (მოძრავი თამაშები, სასკოლო ფესტივალები).

უცხოური ენები - სკოლა უცხოური ენების საშუალო საფეხურზე 2023-2024 წელს განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსურ დავალების ბუნება კი გულისხმობს რომ აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კერძოდ, მასწავლებლის მიერ გეზის მიმცემი კითხვების მომზადება და სტრატეგიების გაანალიზება, რაც ეხმარება მოსწავლეს გაანალიზოს როგორ ხდება სწავლის სწავლა. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი, რომელის განხორციელების ეტაპებზეც მასწავლებლებმა გასაუბრებისას იმსჯელეს. მასწავლებლების მიერ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების ხედვა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა დაგეგმოს სასწავლო პროცესი, სადაც აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - უმეტესად უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სწავლის სტრატეგიების დაუფლებას, თუმცა მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ ამ საფეხურზე ბავშვებს ეს უნარები მეტ-ნაკლებად უკვე გამომუშავებული აქვთ, რაც მეტად ეხმარება მასწავლებელს უკვე დიდტანიანი ნაწარმოების გააზრებასა და გაანალიზებაში. ამიტომ აქ უკვე მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს აარჩევინონ მათთვის შესაბამისი ხერხები და მიდგომები, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმარება საუკეთესოს არჩევაში ამა თუ იმ კონკრეტული მიზნის მისაღწევად, განსახორციელებელ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვასა და კოორდინირებაში, რაც ზრდის მოსწავლის ქმედ-უნარიანობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ საფეხურზე ძალიან მოსწონთ მოსწავლეებს, როცა თვითონვე აფასებენ საკუთარ ნაშრომს - რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკვლავდა ხელშემშლელ ფაქტორებს, როგორ იმოქმედებდა იმ შემთხვევაში, ხელახლა რომ იწყებდეს დავალებაზე მუშაობას, რას ურჩევდა თავის თანაკლასელს, როგორ გაუზიარებდა გამოცდილებას და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექურ დავალებებზე და მათი განხორციელების ეტაპებზე დაყრდნობით, ასევე მასწავლებლებთან ინტრვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, რადგან მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იყენებენ ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებასაც უწყობს ხელს.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის და მათთან ინტერვიუს შედეგად, შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ საშაულო საფეხურზე მუსიკაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) ყოველივე ზემოთხსენებულით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რომ საშუალო საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და ინდიკატორთან შესაბამისობასია

მათემატიკა - საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები, სპორტი - ვიზიტის დროს სკოლის მიერ გადმოგზავნილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ იყო წარმოდგენილი ისეთი თემების, რომლის სწავლების დროს გამოჩნდებოდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და გამოაგზავნა შესწორებული კურიკულუმები.

უცხოური ენები - სკოლა 2023-2024 წელს აპირებს განახორციელოს კომპლექსური დავალებები უცხოური ენების საშუალოო საფეხურზე. კომპლექსური დავალებები კი იძლევა საშუალებას აქცენტი გაკეთდეს ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სკოლამ წარმადგინა კომპლექსური დავალების ბარათის სამუშაო ვერსია, რომლის განხორციელებაც საჭიროებს სამივე კატეგორიის ცოდნის გააქტიურებას. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესში უზრუნველყოს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქართული ენა და ლიტერატურა - დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა, მოიაზრებს ფაქტების, თეორიებისა და წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას – რა ვიცი? ამიტომ ამ საფეხურზე მასწავლებლები, უმეტესად, უკვე ცოდნის მეორე და მესამე საფეხურებზე მუშაობენ. პროცედურული და პირობისეული ცოდნა დინამიკურია. პროცედურული ცოდნა იძლევა რეალიზების საშუალებას და პასუხობს კითხვას – როგორ გავაკეთო? პორობისეული ცოდნა კი გულისხმობს პირობების/არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას სხვადასხვა კონტექსტში და პასუხობს კითხვას – როდის/რა შემთხვევაში/რატომ უნდა გამოვიყენო ეს ცოდნა? სწორედ აქედან გამომდინარე მასწავლებლები ამ საფეხურზე უფრო სერიოზული კომპლექსური დავალებებით არიან მზად მომავალი სასწავლო წლისათვის.

5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, კლუბური მუშაობის დროს განხორციელებული აქტივობები, რომელთა განხორცილებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის პროექტით სწავლება, განხორციელებული პროექტის მიზნები და აქტოვობები სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით, მასწავლებლებთან ინტერვიუდან საუბრისას კი ირკვევა რომ სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს მუსიკაში იგივე პროექტის განხორციელებას აპირებს, სახვით და გამოყენებით ხელოვნების პედაგოგს ჯერ არ აქვს არჩეული თუ რომელ პროექტს განხორციელებს. ორივე საგნის პროექტში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) არის განსაზღვრული სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/სწავლების სტრატეგიები, რომელიც დაფუძნებულია ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრების, ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებასთან. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მათემატიკა - კომპლექსური დავალების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში საგან მოგალაქეობაში და ისტორიაში არ დასტურდებოდა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლამ წარმოადგინა საზ მეცნიერების კათედრაზე საგან მოქალაქეობას და ისტორიაში საგნობრივი კურიკულუმი სადაც გამოკვეთილია კომპლექსური ტიპის დავალებები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ,რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირებას.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. კურუკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. მართალია, კურიკულუმებში არ არის გაწერილი მომავალი სასწავლო წლისთვის ინტეგრირებული დავალებები, მაგრამ ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

უცხოური ენები - სკოლა 2023-2024 წელს აპირებს განახორციელოს კომპლექსური დავალებები უცხოური ენების საშუალო საფეხურზე. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები კი მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების სამუშაო ვერსია, რომლის შესრულება საჭიროებს მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა, შექმნას სასწავლო პროცესი, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლის მიერ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების შესაძლებლობა.

ქართული ენა და ლიტერატურა - მასწავლებლები ამ საფეხურზე ცდილობენ ნაწარმოების ანალიზებით, ესეების წერით, გრამატიკაში ტექსტების რედაქტირებით შეაძლებინონ მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და მისი ორგანიზება, რათა ნებისმიერ სიტუაციაში მათ მოახერხონ საკუთარი ძალების მობილიზება და საჭირო დროს საჭირო ცოდნის გამოყენება. ეს განსაკუთრებით მათ აბიტურიენტობის პერიოდში სჭირდებათ. ამიტომ მათთვის ასეთ მომავალზე ზრუნვა დიდი მოტივაციის საფუძველია-აღნიშნეს გასაუბრების დროს მასწავლებლებმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კომპლექსური დავალების ბარათი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვეცნებები განსაზღვავენ კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს და უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების გათავისებას. ამასთანავე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოლოდინების განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყობა სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. სამიზნე ცნენები ქვეცნებები მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კერძოდ მოქალაქეობასა და ისტორიაში არ იკვეთებოდა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირი, არ იყო გათვალისწინებული სამიზნე ცნებები, არ იყო განსაზღვრული თემის ფარგლებში საკითხები, კომლექსური არ იყო განსაზღვრული ტიპის დავალებები სკოლამ წარმოადგინა და გაითვალისწინა საგან მოქალაქეობასა და ისტორიიის სწავლებისას გრძელვადიანი მიზნები /სამიზნე ცნებები, გაითვალისწინა საგნობრივი საკითხები გრზელვადიან მიზნებთან შესაბამისობასი. განსაზღვრა შუალედური მიზნები გააშენა კურიკულუმში კომპლექსური ტიპის დავალებები.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის საბაზო საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნოვრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნოვრივ საკითხებს, საკვანძო შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება.

უცხოური ენები - სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა პირველი და მეორე უცხოურ ენების კურიკულუმები. პირველი უცხოური ენების კურიკულუმებში მოცემულია მხოლოდ თემები, რა სკითხების და ქვესაკითხების დამუშავებას აპირებს სკოლა პირველი უცხოური ენის საშუალო საფეხურზე მომავლ სასწავლო წელს კურიკულუმებში არ ჩანს. მეორე უცხოურ ენაში წარმოდგენილია მხოლოდ თემები და საკითხები, შესაბამისად რა სამიზნე ცნებები დამუშავდება კონკრეტული თემის ფარგლებში არ ჩანს. თუმცა, გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ განაგრძობენ კურიკულუმზე მუშაობას, წარმოადგინეს კომპლექსური დავალებს ბარათების სამუშაო ვერსია, სადაც სწორად იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ქართული ენა და ლიტერატურა - მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საკვანძო შეკითხვა, რომელიც ეხმარება მათ სამიზნე ცნებაზე გასასვლელად, ფოკუსირებულია მოსწავლეთათვის მნიშვნელოვან იდეებზე, რომელთა გაგების/შემეცნების სურვილი ან მოთხოვნილება მათ აქვთ. იგი მიმართულია იმ ძირითადი ცნებების სიღრმისეული გააზრებისკენ, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სხვა პრობლემებთან და სიტუაციებთან მიმართებითაც. კათედრა, როგორც ჩანს მუშაობს და თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კარგად ფიქრობს საკვანძო შეკითხვაზე, რომელსაც არ აქვს ერთი „სწორი“ პასუხი. სასურველია, რომ იგი იძლეოდეს განსხვავებულ შეხედულებებსა და მოსაზრებებზე მსჯელობის საშუალებას. საკვანძო შეკითხვას არ აქვს ისეთი პასუხები, რომელთა პოვნაც შესაძლებელია წიგნებში ან ინტერნეტით, მასზე გაცემული პასუხები უნდა იყოს მოფიქრებული, დასკვნების შეჯერების შედეგად მიღებული. საკვანძო შეკითხვა მოსწავლეებს უბიძგებს, მონაწილეობა მიიღონ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში. ის ხელახლა ისმება დროთა განმავლობაში და ხელახლა მივყავართ პასუხებამდე, რომლებიც უფრო და უფრო დახვეწილია. ამით მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმში სავალდებულო თემებში, წარმოდგენილი ძირითადი საკითხები ისეა შერჩეული, რომ ცხადია, გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები და ორიენტირებულია მის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე.

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება, რომელიც სკოლას მეათე კლასში ჰქონდა არჩეულილი, წარმოდგენილია დოკუმენტის სახით, სადაც აღწერილია განხორციელებული პროექტის, მიზანი და აქტივობები. ეს ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავასკვნათ ინდიკატორთან შესაბამისობა - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ საშუალო საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესი უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - პედაგოგები ორიენტირებულები არიან მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე და მათ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლის მხრიდან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოსწავლეებთან და მათთვის სასიამოვნო და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/შეფასება/ მონიტორინგის და თვითშეფასების შემადგენელ ნაწილს.

სპორტი - სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები სპორტული თემატიკაზე შექმნილი ფილმები. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორცმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას

უცხოური ენები - სკოლამ უცხოური ენის საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში არ წარმოადგინა კომპლექსური დავალების იდეები. თუმცა, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს, რომ სასწავლო პროცესში განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფაებით, რომლის გათვალისწინებით, მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპების სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შეიძლება ვივრაუდოთ რომ საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. სკოლა შუალედურ მიზნად იყენებს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალების ბუნება კი მოითხოვს სკაფოლდინგის მეშვეობით და საკვანძო კითხვების მეშვეობით როგორც კოგნიტურ ისე სოციო-ემოციურ კეთილდღეობაზე ფოკუსირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობით. შექმნილია მოსწავლეთა უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელშიც იკითხება, რომ სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის შექმნილი, რომ მან მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები, აგრეთვე გამოიყენოს სკოლის რესურსები. მოსწავლეს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი. ცალკეული მოსწავლეების მხრიდან კონკრეტული დარგით დაინტერესების შემთხვევაში სადამრიგებლო პროექტების ფარგლებში ყველა პედაგოგი უზრუნველყოფს ასეთი ინიციატივების მხარდაჭერასა და შემდგომ რეალიზებას. სკოლამ ცალკე წარმოადგინა მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები. ეს ყველაფერი მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ზრუნვის გამოხატულებაა. ხშირად მასწავლებლები და დამრიგებლები იყენებენ ამონარიდებს ცნობილ მწერალთა ნაწარმოებებიდან, სახელმძღვანელოებიდან, რითაც აჩვენებენ ბავშვებს ამ საკითხების მარადიულობას და მის ღირებულებებზე დააფიქრებენ. ისინი ხშირად იყენებენ ამისთვის როლურ თამაშებს და აგრძნობინებენ ერთმანეთის ტკივილსა თუ სიხარულს. ეს ეხმარება მათ ემპათიის გრძნობის ჩამოყალიბებაში.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილ შეფასების მასალების (მოსწავლეთა შეფასება სოლო-ტქსონომიით) გაცნობამ ცხადყო, რომ შეფასებისას მასწავლებლები აქცენტს აკეთებს როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რაც ადასტრებს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ესთეტიკური აღზრდა - მეათე კლასის პროექტული სწავლება, რომელიც 2022-2023 წელს განხორციელდა საგან მუსიკაში მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასებით, სკოლას აქვს წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი სადაც ასახულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ პროექტული სწავლება შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით. და ყველა ნაბიჯზე მათ ეძლეოდათ განმავითარებელი კომენტარი რომელიც ორიენტირებული იყო მოსწავლეების განვითარებაზე.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იყო მოცემული თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, ასევე არ იყო წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე სხვადასხვა აქტივობების დროს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლამ ასევე წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და ერთი შემაჯამებელი წერის ნიმუში თავისი შეფასების რუბრიკით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზ. მეცნიერებების კათედრას არ ჰქონდა განსაზღვრული თემის ფარგლებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. არ იყო მკაფიო თუ როგორ ფასდებოდა მოსწავლე ჰოლისტურად. შესაბამისობი სგეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

სპორტი - ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საგანში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ გამოასწორა ეს ხარვეზი და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

უცხოური ენები - სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ერთიანი ინსტრუმენტი უცხოური ენების საშუალო საფეხურზე. სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს - შედეგების ინდიკატორებისაგან შექმნილ რუბრიკებს. შექმნილი აქვთ პრეზენტაციის და წერითი დავალების შეფასების რუბრიკები; გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/სრულყოფას. კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემები დამუშავდება მე-2 დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის შეფასების რუბრიკის მიხედვით. რადგან სკოლა გეგმავს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას შეფასება, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ქართული ენა და ლიტერატურა - კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, (კითხვის, წერის, ჩართულობის, ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის) ასევე, გაგვიზიარეს გამოცდილება სოლო ტაქსონომიით მოსწავლის შეფასებისა. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა სწავლა-სწავლების პროცესში. 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე, 2023-2024 სასწავლო წლიდან თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მასწავლებლები იცნობენ შეფასების პრინციპებს და აქვთ გამოცდილება შექმნან ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

სამართლიანი შეფასების სისტემა, ჩანს მზაობა გაანალიზონ ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის აღქმა-გააზრებისათვის.

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იყო მოცემული თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, ასევე არ იყო წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, ასევე სხვადასხვა აქტივობების დროს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლამ ასევე წარმოადგინა ერთი თემის სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და ერთი შემაჯამებელი წერის ნიმუში თავისი შეფასების რუბრიკით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი მოქლაქეობაში და ისტორიაში შეფასების რუბრიკები, არ იყო მკაფიო თუ როგორ ფასდებოდა მოსწავლე ობიექტურად და გამჭირვალედ. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა თემის ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

უცხოური ენები - სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს - შედეგების ინდიკატორებისაგან შექმნილ რუბრიკებს. შექმნილი აქვთ პრეზენტაციის და წერითი დავალების შეფასების რუბრიკები; გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/სრულყოფას. კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიქმნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. შეირჩა დიაგნოსტიკური შეფასების მე-2 ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ. მონაცემებს დააამუშავებენ მე-2 დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის შეფასების რუბრიკის მიხედვით. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა შექმნას შეფასების სისტემა, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ქართული ენა და ლიტერატურა - შეფასება სასწავლო პროცესის აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრას შემუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების პროექტი. მასწავლებლები შემუშავებული აქვთ შეფასების მეთოდოლოგიის პროექტი. კათედრა გაითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდება და გამოკვეთს, რომელ შედეგს მიემართება შეფასება, რომ შეფასება იყოს ვალიდური. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, შეფასების სანდოობას განსაზღვრავს.

5. **მათემატიკა -** სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმით და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავდება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებისს ნარატივში ასევე მასწავლბელებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში შემუშავდება სამომავლოდ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თვითშეფასების ნარატივში საუბარია შეფასების გამჭირვალობაზე მშობლებთან შეფასების ინსტრუმენტების გაზიარებაზე, ასევე გაზიარების ინსტრუმენტებზე თუმცა ამის დასადასტურებლად მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი. რჩევა სკოლამ განახორციელოს შეფასების სისტემის პერიოდული მიმოხილვა და აუდიტი, რათა გამოავლინოს ხარვეზები ან გაუმჯობესების სფეროები. ეს შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის რათა ხელი შეუწყოს გამჭვირვალობას, მოსწავლეებთან და მშობლებთან შეფასების კრიტერიუმების, შეფასების რუბრიკების გაზიარებით.

უცხოური ენები - სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა, სადაც დაგეგმილი აქვს განხორციელების ეტაპები. ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა ემსახურება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

ქართული ენა და ლიტერატურა - სკოლას ამ ეტაპზე ერთ დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. მასში გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები და ძირითადი მიმართულებები. სასურველია, მომავალ სასწავლო წელს სკოლამ ცალკე დოკუმენტად შექმნას ვერიფიკაციის მექანიზმი. რომელიც სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ისეთ მექანიზმებს შექმნის, რომელიც სტანდარტის ყველა გამოწვევას უპასუხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით ამისათვის განკუთვნილ სივრცეში.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი ნარატივიდან ჩანს, რომ სკოლაში დაცულია საბაზო საფეხურზე სემესტრული, წლიური ანგარიშები კლასის აკადემიური მოსწრება, ხდება ნიშნის როგორც ელექტრონული წარმოება, ისე მატერიალური სახით. მატერიალური ჟურნალები დაცულია უსაფრთხოდ, კერძოდ, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

უცხოური ენები - სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი*
- *კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*
- *კომპლექსური დავალების ბარათი;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *კათედრების ოქმი;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რასაც უპირველეს ყოვლისა ადასტურებს შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში წარმოდგენილი მისია და ხედვა, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული, ასევე სკოლაში არსებული პოზიტიური კლიმატი, მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა,

მათემატიკა - საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი სასწავლო გეგმით და სკოლის თვითშეფასების ფორმით. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის თვითშეფასებაში იკვეთება თანამშრომლობის კულტურა, თანამშრომლობა კათედრების მონათესავე თანამშრომლობა ამ ნარატივს ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუშიც აღნიშნეს ურთიერთდასწრება.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრება და ურთიერთშეფასება პედაგოგების მიერ. გარდა ამისა, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. პედაგოგებთან გასაუბრების დროსაც იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ფუნქციების გადანაწილება გუნდური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფისათვის, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნა, ორგანიზება შექმნა. სკოლამ წარმოადგინა ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება.

მათემატიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - მოქალაქეობასა და ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში არ იყო განსაზღვრული და წარმოდგენილი თუ როგორ წარიმართებოდა მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესი. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა სასწავლო კურიკულუმი რომელშიც განსაზღვრა გრძელვადიანი და შუალედური მიზნები ,რაც იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

უცხოური ენები - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორინტირებულად, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ხმა და არჩევანი, რასაც უზრუნველყოფს კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწვალის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია კომპენტეციებზე დაფუძნებული პროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებული პროექტებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მათემატიკა - საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალებებით მათემატიკის სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაშიც და მასწავლებელებთან ინტერვიურების იკვეთება თანამშრომლობის კულტურა, ურთიერთდასწრება კათედრაზე აზრის გაზიარება, კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემა, რასაც ადასტურებენ კოლეგები ინტერვიურების პროცესში.

უცხოური ენები - სკოლაში პირდაპირი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარების, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრის და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების, სხვა საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობის აუცილებლობა.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუ, მათ მიერ განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები და პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოებს წევრებს შორის.

მათემატიკა - მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ინტერვიურების პროცესში იგრძნობოდა კოლეგებს შორის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. რასაც ნარატივშიც აღწერენ.

უცხოური ენები - სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღ და პოზიტიურ კლიმატის შექმნას სკოლაში. სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ასევე, სასკოლო საზოგადოებაში დანერგილია წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. ასევე თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს ორგანიზება და შენარჩუნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *მატრიცა მუსიკაში;*
- *კლასების საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *კათედრის სხდომის ოქმები.*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება დაფუძნებულია საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშებზე. წინასწარ შემუშავებული შეფასების რუბრიკის მიხედვით გაცემული რეკომენდაციებიც მონიტორინგის მექანიზმებია. სკოლას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, თუმცა ახალი სასწავლო წლიდან გაწერს თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რითაც სრულყოფილად წარმოაჩენს მეთოდოლოგიის არსს. მასწავლებლებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ მონიტორინგს უფრო სპონტანური ხასიათი აქვს.

ესთეტიკური აღზრდა - სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგსა და შეფასებას ზეპირსიტყვიერად, როგორც სასწავლო პროცესის ნაწილს, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულებას, რომელიც განპირობებულია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: მონაცემების მიზნობრიობის, მათი შეგროვებისა და ვადების განსაზღვრით, რაც ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. მასწვლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მომავალი წლიდან გეგმავს მონიტორინგის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. ასევე მოცემულ დოკუმენტაციაში საგნობრივი ოქმები მუსიკა/ხელოვნება წარმოდგენილია ახალი სასწავლო წლისთვის შერჩეული მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტების დასახელება, თუმცა ინსტრუმენტები თან არ ახლავს მოცემულ დოკუმენტს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - კურიკულუმის განვითარების განუყოფელი ნაწილია მონიტორინგი და შეფასება, რასაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას კათედრაზე განხორციელდა გაკვეთილებზე დაკვირვება და მასწავლებლებს მიეცათ შესაბამისი უკუკავშირი, ასევე, დაკვირვების პროცესში მთავარი აქცენტი კეთდება, თუ როგორ ხორციელდება კომპლექსური დავალებები და როგორ ხდება მოსწავლეთა შეფასება ამ დავალებებზე მუშაობის პროცესი. მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა აპირებს, რომ მეტი ყურადღება გამახვილდეს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაზე.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სადაც აღწერს რომ „ურთიერთშეთანხების შედეგად ხდება კურიკულუმის დანერგვა, რაც გულისხმობს შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა. კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება: მოსწავლის (ნანო) დონე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მასწავლებლის (მიკრო დონე), სკოლის (მეზო) დონეზე. თითოეულ დონეზე მიმდინარე პროცესებს მასწავლებლები აღწერენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების მიხედვით. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. სკოლა ვალდებულია განახორციელოს გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც განისაზღვრება და დგინდება მიმდინარეობს და სრულდება თუ არა კურიკულიუმით დადგენილი პროცესები. აღნიშნული პროცესების დროს ხდება, როგორც დადებითად შესრულებული, ისე არასრულად შესრულებული საკითხების გამოკვლევა და შეფასება. სკოლის მიერ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას წინა წლების გამოცდილება. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე’’.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** არსებული მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რასაც ადასტურებს მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. დირექციის წარმომადგენლები მეტ-ნაკლებად ამოწმებენ და აფასებენ სწავლის პროცესს/ხარისხს, კათედრების მუშაობას, აანალიზებენ და აფასებენ საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებს.

უცხოური ენები - კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას. მათი გათვალისწინებით ასევე მოხდება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლა აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა, თუმცა როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, უფრო მეტად ემსახურება პრობლემის იდენტიფიცირებას, ხოლო როგორ ხდება იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრა ბუნდოვანია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საგნობრივ კურიკულუმში არ იყო წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფდა. შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა გამსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული მიდგომა.

უცხოური ენები - კურიკულუმის დანერგვის პროცესში შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს შეუწყობს პრობლემის განსაზღვრასა და გადაჭრის გზებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპლექსური დავალება ,,ცხოველები მუსიკაში,, შეფასება;*
- *განმსაზღვრელი შეფასება, განმავითარებელი შეფასებები დონეების მიხედვით;*
- *სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *კურიკულუმები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

5. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
6. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
7. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
8. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს ცალკეულ ინსტრუმენტებზე და პრაქტიკებზე, რომელიც წარმოაჩენს წყაროებსა, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომელთა საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. თუმცა სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს მათ გამოცდილებას და მზაობას შეფასება დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს. ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო მექანიზმის შემუშავებას და ანალიტიკური რუბრიკების უფრო ხშირად გამოყენებას რათა განმავითარებელი შეფასების დანერგვას შეუწყონ ხელი.

ესთეტიკური აღზრდა - შეფასების სისტემა, როგორც საკლასო ისე სასკოლო დონეზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა,რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკითხება, რომ შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ამჟამად სკოლა იყენებს განმავითარებელ, ასევე, განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრები გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების გამოყენებას, როგორც გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობებისათვის, ასევე, კომპლექსური დავალებისთვის. გეოგრაფიის მაგალითზე წარმოდგენილია თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, ასევე წარმოდგენილია მტკიცებულებების სახით სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში შეფასებისას გათვალისწინებულია მხოლოდ ზოგიერთი კონტექსტი, ისეთები როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწარება, მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, თუმცა შეფასების ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა მათი მზაობა შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინების.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურზე სკოლაში სავალდებულო პროექტების სახით ისწავლება მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. სკოლას 2022-23 წელს არჩეული ჰქონდა მუსიკა. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ყველა მოსწავლე შეფასდა განმავითარებელი კომეტარით რომელიც ზეპირსიტყვიერად განხორციელდა. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის უკეთ დახვეწას, რომელიც უფრო გაუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. იკვეთება მასწავლებლების მზაობა ამ ინდიკატორთან მიმართებაში.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვა და სხვა მეთოდები. თუმცა კონკრეტულად რა კონტექსტის გათვალისწინება ხდება სასწავლო პროცესის შეფასებისას არ ჩანს.

3. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს, ივსება სხვადასხვა ტიპის კითხვარები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების ნაწილობრივ მრავალფეროვანი მეთოდები; არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მტკიცებულება, რომელთა ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. სკოლისთვის გამოწვევაა გამოვლინდეს სხვადასხვა ჭრილში მოსწავლის ინტელექტი, მეტად ჩაუღრმავდეს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გათვალისწინებული იქნეს შეფასების პროცესში, ამიტომ, ცდილობენ გაუმჯობესონ ისეთი სტრატეგიების დანერგვა, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარი დადგენაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკითხება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ნაწილობრივ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ რა საშუალებებით მექანიზმებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ამ მიმართულებით კათედრამ მეტი სამუშაო უნდა გაწიოს.

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერს რომ სასწავლო პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სხვასახვა მეთოდები. კერძოდ, აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. ასევე გასაუბრებისას აღნშნეს, რომ შეფასებისას გამოიყენებენ მულტიფაქტორულ მიდგომას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმი*
- *კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე*
- *უცხოური ენის კათედრის სხდომის ოქმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

5. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
6. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** გამოიკვეთა კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომლის შესრულებასაც კათედრა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს და გასათვალისწინებელია, რომ კონსტრუქტივიზმის ყველა პრინციპზე იყოს ნაფიქრი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში.

ესთეტიკური აღზრდა - მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში სკოლის მაძიებლის თვითეფასების ფორმაში იკითხება, რომ შემუშავების პროცესშია. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად თანამშრომლობენ ქოუჩებთან, აქვთ მათგან მხარდაჭერა და მათთან თანამშომლობით ინერგება სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე სკოლაში შექმნილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრების ხელმძღვანელები, ყველა საგნის თითო მასწავლებელი. მონაცემების დამუშავების საფუძველზე სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს: რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უცხოური ენები - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ჩანს რომ კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელებასთან ერთად. სკოლავას ასევე შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის განხორციელების გეგმა, რომელიც ემსახურება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

2. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -** ვინაიდან, კურიკულუმის დანერგვის პროცესი მუდმივ ინტერაქციას გულისხმობს, სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე.

ესთეტიკური აღზრდა - ამ ეტაპზე აქტიურად მიმიდინარეობს სამუშაო პროცესი კუკრიკულუმების დახვეწაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - დოკუმენტაციიდან იკითხება, რომ სკოლაში შემუშავებულია წინა კურიკულუმის გადასინჯვის მექანიზმი, (სკოლა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტს შეიმუშავებს) კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია მეტწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

უცხოური ენები - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სკოლის მიერ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას წინა წლების გამოცდილება. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სკოლის თვითშეფასების ფორმა;*
- *სასკოლო კურიკულუმი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/მუსიკა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

……
……

04.10.2023
თარიღი

Tamar Odzelashvili 01024059703
Digitally signed by Tamar Odzelashvili
Date: 2023.10.04 21:52:32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---